

ცესკოს, საზოგადოებრივი ტელევიზიისა და სახელმწიფო ბერბის "რესტავრაცია" A2



ვარდები ირაკლი ტუღუშისთვის A4



ტერორისტი ტრაგედიის ოფიციალურად გავრცელებულ ვერსიას უარყოფს A7


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 4 ივნისი, 2005 წელი. №124 (984)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.** A8

## ამინდი

| | 4/06 | 5 /06 | 6 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 22 | 27 |
| ქუთაისი | 23 | 20 | 26 |
| ბათუმი | 19 | 17 | 25 |
| სოხუმი | 25 | 20 | 23 |
| ფოთი | 24 | 19 | 26 |
| თელავი | 20 | 22 | 26 |
| ზუგდიდი | 25 | 21 | 26 |
| გორი | 18 | 16 | 23 |
| ახმეტა | 21 | 22 | 27 |
| ჭიათურა | 23 | 18 | 25 |
| გაგრა | 23 | 22 | 24 |
| სამტრედია | 24 | 20 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8224 |
| ევრო | 2.2372 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3137 |
| რუბლი | 0.0642 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ტენდერი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| ეკონომიკა | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ვითომ სამიტი - სამიტისათვის



უკრაინამ, ისევე როგორც საქართველომ მხოლოდ დოკუმენტების მცირე ნაწილს მოაწერა ხელი.

*დსთ-ს მთავრობების მეთაურთა გუშინდელი სამიტის ოფიციალური ნაწილი, რომელიც სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" მიმდინარეობდა, რეკორდულად სწრაფი ტემპით წარიმართა და, დაახლოებით, ორ საათში დამთავრდა, რის შემდეგაც დელეგაციათა თავკაცებმა მომზადებულ დოკუმენტებს მოაწერეს ხელი. ე, წ. პრემიერ-სამიტზე, ძირითადად, ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები იხილებოდა. ამის მიუხედავად, გუშინ ერთსულოვნება ნამდვილად არ იგრძნობოდა. აქედან გამომდინარე, სტუმრებიც და მასპინძლებიც იძულებული გახდნენ, ხმამაღლა განეცხადებინათ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმიანობა და კოორდინაცია დასახვეწი და გასაუმჯობესებელია და ერთმანეთს უკეთესი მომავლის იმედით დამშვიდობებოდნენ.*

თამარ მჭედლიშვილი

მედიასა და დელეგაციათა წევრებისათვის მთავრობათა მეთაურების გუშინდელი შეხვედრის ზოგიერთი (და საკმაოდ მნიშვნელოვანი) მომენტი გასაიდუმლოებული დარჩა. საქმე ის არის, რომ შეხვედრამ, ოფიციალურად გახსნისთანავე, გარკვეული დროით, "დახურული კარის" რეჟიმით განაგრძო მუშაობა. მას მხოლოდ დელეგაციათა თავკაცები ესწრებოდნენ. მოგვიანებით სხდომა კვლავ გაიხსნა და მას დელეგაციათა რიგითი წევრები შეუერთდნენ. მედიის წარმომადგენლები კი სხდომის მიმდინარეობას პრესისთვის გამოყოფილი ოთახიდან ადევნებდნენ თვალს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რაციონალური ინტერესი - დამოუკიდებლობა

რიჩარდ პაიპსი დემოკრატიისა და აშშ-ს საგარეო პოლიტიკის შესახებ

ხათუნა გაბიევი

**"პოლიტიკა მათემატიკა არ არის. არ არსებობს მხოლოდ შავი და თეთრი. როგორც წესი, აშშ დემოკრატიულ სახელმწიფოებს უჭერს ხოლმე მხარს, მაგრამ თუ ამას მსოფლიო მასშტაბის უსაფრთხოება მოითხოვს, მას თანამშრომლობა არადემოკრატიულ ქვეყნებთანაც შეუძლია,"** - აცხადებს თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის მრჩეველი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ პაიპსი.

ცნობილი ისტორიკოსი თბილისს პოლიტიკური სწავლების სკოლის მოწვევით ესტუმრა და 2 ივნისს ამავე სკოლის კურსდამთავრებულებს, საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა "თი ბი სი ბანკის" შენობაში შედგა. ამავე შენობაში გუშინ რიჩარდ პაიპსის წიგნის - "საკუთრება და თავისუფლება" - პირველი ქართულენოვანი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები ესწრებოდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



საკუთარი წიგნის ქართული გამოცემის პრეზენტაციაზე რიჩარდ პაიპსი ხალისით არიგებდა ავტოგრაფებს.

## "საქართველო რუსეთთან სრულიად გახსნილია"

აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი

ვერიკო თევზაძე

*რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დათბობის მიმანიშნებელი აშკარა განცხადებები გაკეთდა გუშინ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის რუსეთის პრემიერ-მინისტრთან, მიხაილ ფრადკოვთან შეხვედრის შემდეგ. დახურულ კარს მიღმა საუბრები ერთობლივი ბრიფინგებით დასრულდა.*

საქართველოს პრეზიდენტი გუშინ რუსეთისა და რუსი ხალხისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი და გულუხვი იყო: **"საქართველო სრულიად გახსნილია რუსეთთან და გულწრფელად ცდილობს, ამ ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. ჯერჯერობით ცალმხრივად გავამარტივეთ სავიზო რეჟიმი. რუსებს შეუძლიათ, ჩვენთან უვიზოდ ჩამოვიდნენ. ჩვენ გვინდა, რომ ისინი ჩამოვიდნენ. ჩვენ გვინდა, ამ ადამიანებმა გაიგონ, რომ ხელოვნური ბარიერებისა და წარსულის გადმონაშთების გარდა, არაფერი გვყოფს,"** - განაცხადა კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## უკან მიდევნებული კრიტიკა

მონიტორინგის ჯგუფი და ყოფილი ხელმძღვანელობა "თბილგაზის" საქმიანობას განსხვავებულად აფასებენ

თამარ დვალი

*ორი დღის წინ "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ თანამდებობა დატოვა. ჯერ კიდევ აპრილის თვეში საკრებულოს წევრებს "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ წერილობით მიმართა და "თბილგაზში" არსებული დარღვევების გამოკვლევა და ფინანსური რევიზიის ჩატარება სთხოვა. "თბილგაზის" საქმიანობას სწავლობდა მონიტორინგის ჯგუფიც, სადაც გაერთიანებული იყვნენ საკრებულოს დეპუტატები, ენერგეტიკის ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. გუშინ მონიტორინგის ჯგუფმა მორჩილაძის საქმიანობის შესახებ საგანგებო ბრიფინგი გამართა.*

მონიტორინგის ჯგუფი, სააქციო საზოგადოება "თბილგაზში" ერთთვიანი მუშაობის შემდეგ, მართვის სისტემაში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებსა და ფინანსურ კრიზისზე საუბრობს.

**"თბილგაზის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, პოსტის დატოვების შემდეგ, თავისი პიარ კამპანიის დამაგვირგვინებელი თეატრალიზებული პრესკონფერენცია გამართა, რომლის ქვეტექსტი ადვილი წასაკითხია; "მე ავაშენე წარმატებული კომპანია "თბილგაზი" და სწორი მენეჯმენტის პირობებში მომავლისათვის თბილისს გაზმომარაგება გარანტირებული ექნება". ჩვენ გვაინტერესებს, ვინ იქნება პასუხისმგებელი, როდესაც მორჩილაძის "მოღვაწეობის" შედეგად ზამთარში თბილისს გაზი არ ექნება?," -** კითხულობენ მონიტორინგის ჯგუფის წევრები, რომელთა მონაცემებით "თბილგაზს" 18,5 მილიონი ლარიდან, რომელიც მას ქალაქის მერიამ დახმარებისა და სუბსიდიის

გაგრძელება A2 გვერდზე

# უკან მიდევნებული კრიტიკა

პირველი გვერდიდან

სახით გამოუყო, დარჩენილი აქვს მხოლოდ 2,6 მილიონი ლარი. რაც, რეალურ საშიშროებას ქმნის, რომ თბილისს ზამთარში გაზმომარაგება შეუწყდეს.

**"სასამართლოს განჩინებით, "თბილგაზს" 9 თვეში უნდა წარმოედგინა სარეაბილიტაციო გეგმა. ვადა 23 მაისს ამოიწურა. რადგან გეგმა წარდგენილი არ იყო, "თბილგაზის" ანგარიშებს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ ყადაღა დაადო. 2004 წლის 1 აგვისტოდან 2005 წლის 31 მარტამდე "თბილგაზის" დავალიანება 30,4 მილიონი ლარით გაიზარდა. მათ შორის: "გაზექსპორტის" - 282,1 ათასი ლარი; საბაჟო გადასახადი - 6,9 მლნ ლარი; გაზის ტრანსპორტირების კომპანიის -5,4 მლნ ლარი; საგადასახადო დავალიანება - 18,1 მლნ ლარი. გარდა ამისა, დებიტორული დავალიანება გაიზარდა 12 მლნ ლარით,"** - განაცხადა "განვითარებისა და ინტეგრაციის ინსტიტუტის წარმომადგენელმა პაატა შუბითიძემ. მისივე თქმით, მკვეთრადაა გაუარესებული გაზსადენების და მათზე განთავსებული ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა. არ ტარდება არავითარი სამუშაოები გაზსადენების ტექნიკური მდგომარეობის გამოსაკვლევად და ქალაქში ამ კუთხით მომატებული რისკის მქონე უბნების დასაფიქსირებლად.

სანამ დავით მორჩილაძე თავის თანამდებობას დატოვებდა, მის წინააღმდეგ საკრებულოს წევრები არაერთხელ გამოვიდნენ. გავრცელებული ხმების თანახმად, საკრებულოს ზოგიერთ წარმომადგენელს თავისი პირადი ინტერესები ჰქონდა და სწორედ ამიტომ უპირისპირდებოდნენ მორჩილაძეს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იანვრის თვეში წარმოქმნილი დაპირისპირების დროს, დაინტერესებულ პირებად ინტეგრაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარეს ნინო მირიანაშვილსა და ფრაქცია "ნაციონალების" ლიდერს ნანული ქაჩიბაიას ასახელებდნენ.

მორიტორინგის ჯგუფის წევრები საკრებულოს მხრიდან პირად დაინტერესებას კატეგორიულად უარყოფენ.

**"არანაირი პირადი ინტერესები არ არსებობს, თავად ციფრები მეტყველებენ იმას, რომ "თბილგაზი" გაკოტრების პირასაა მისული. მოვითხოვთ, რომ მუნიციპალიტეტმა მომავალშიც არ გააგრძელოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი პიროვნებების ლობირება. ამავე დროს, ვითხოვთ, კარგად იქნეს შესწავლილი და შეფასებული მორჩილაძის პოლიტიკა. ჩვენ მისი პასუხისმგებლობის საკითხსაც დავაყენებთ, თუ ამის დამადასტურებელ საბუთებს სარევიზიო კომისია წარმოგვიდგენს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას პაატა შუბითიძემ.

სარევიზიო კომისიის წევრი ზურაბ მინდელი აცხადებს, რომ კომისია საქმის განხილვას მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს, როდესაც ექსპერტები თავიანთ დასკვნებს წარუდგენენ. ეს კი მომავალ კვირას მოხდება. მორიტორინგის ჯგუფის მოსაზრებებზე დაყრდნობით, მინდელი "თბილგაზში" ადმინისტრაციული, ფინანსური და ტექნიკური დარღვევების არსებობაზე საუბრობს.

თავად დავით მორჩილაძის თქმით, "თბილგაზი" თეორიულად არის წამგებიანი ორგანიზაცია და რა კარგი მენეჯმენტიც არ უნდა ჰყავდეს, ვალი მაინც დაგროვდება.

**"ჩემი მთავარი ამოცანა იყო, მიმწოდებელთან არ გვქონოდა დავალიანება. გასულ ზამთარს "გაზპრომთან" არანაირი დავალიანება არ გვქონია. რაც შეეხება ვალების გაზრდას, ეს არის მერიის დაკრედიტება, რომელიც განსაზღვრული იყო ხელშეკრულებით. ასევეა დღგ-ს დავალიენება, თუმცა წინასწარვე იყო ცნობილი, რომ "თბილგაზი" ამის გადახდას ვერ შეძლებდა. "გაზპრომის" 11,5 მილიონი დოლარის დავალიანება კი 7 მილიონამდე შემცირდა,"** - განაცხადა მორჩილაძემ.

# ამერიკელი სენატორი შეშფოთებულია

თბილისში აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი, სენატორი ნებრასკას შტატიდან რიჩარდ ჰეიგელი და აშშ-ს ევროპელი სარდლების მეთაურის მოადგილე, სამხედრო საჰაერო ძალების ოთხვარსკვლავიანი გენერალი ჩარლზ უილდი იმყოფებიან. სენატორი რიჩარდ ჰეიგელი თბილისში ერევნიდან ჩამოვიდა, სადაც განაცხადა, რომ სომხეთში რუსეთის სამხედრო ნაწილების ყოფნა-არყოფნის საკითხი რუსეთ-სომხეთის ხელისუფლებების გადასაწყვეტია. საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას კი "კარგი ამბავი" უწოდა. რაც შეეხება საქართველოდან სომხეთში რუსული სამხედრო ტექნიკის გადატანას, სენატორმა ჰეიგელმა განაცხადა, რომ სომხეთი სუვერენული სახელმწიფოა და გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს. თუმცა სენატორმა იქვე შენიშნა, რომ რეგიონში გარეშე სამხედრო ძალების არსებობა ეთნოკონფლიქტების მოგვარებას ხელს უშლის. "სომხეთში, სადაც ჩვენ მშვიდობისა და აღორძინების ხილვა გვსურს, უცხო ქვეყნის დამატებითი შეიარაღებული ძალების ყოფნა ამას ხელს შეუშლის", - განაცხადა ერევანში რიჩარდ ჰეიგელმა.

*მედიანიუსი*

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

# ცესკოს, საზოგადოებრივი ტელევიზიისა და სახელმწიფო გერბის "რესტავრაცია"

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. ცესკო-ს თავმჯდომარედ არჩეულია გია ქავთარაძე, რომელსაც 147-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. პარლამენტართა ასეთივე ერთსულოვნების წყალობით, ცესკო-ს წევრები გახდნენ ლუხუმ ბურჯალიანი, გიზო მჭედლიძე, ელდარ ფაჟავა, ალექსანდრე ღონღაძე და გურამ ჩალადაშვილი.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი სახეები - გეცნობათ პროფესიონალები?*

ცესკო-ს ახალი ადმინისტრაციის დამტკიცებაში ოპოზიციას მონაწილეობა არ მიუღია - პროტესტის ნიშნად, "მემარჯვენე ოპოზიციამ", "კონსერვატორებმა" და "რესპუბლიკელებმა", კენჭისყრების დაწყების წინ, სხდომათა დარბაზი დატოვეს. საპარლამენტო უმრავლესობამ ისინი ტაშით გააცილა.

როდესაც პრეზიდენტის მიერ პარლამენტში წარდგენილი 11 კანდიდატურა იხილებოდა (თამარ ქაროსანიძემ ჯერ კიდევ განხილვის დაწყებამდე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა), ოპოზიცია თითოეული მათგანის ბიოგრაფიაში გულმოდგინედ ეძებდა სუსტ წერტილებს და მათზე პედალირებას ახდენდა. ხელისუფლების ოპონენტი დეპუტატებისთვის ბოლომდე აუხსნელი დარჩა, როგორ შეირჩა კანდიდატურები პროფესიული ნიშნით, როდესაც ძალიან ბევრ მათგანს საარჩევნო სფეროსთან დღემდე საერთოდ არ ჰქონია შეხება. ოპოზიცია ასევე გააღიზიანა ერთ-ერთი კანდიდატის, ნაზი ტყებუჩავას განცხადებამ, რომ 2004 წლის 28 მარტის არჩევნების დროს საუბნო კომისიის თავმჯდომარედ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებთან პირადი ნაცნობობის წყალობით დაინიშნა.

**"ახლაც პირადი ნაცნობობით აპირებთ ცესკოში მოხვედრას?"** - "დაინტერესდა" დეპუტატი კახა კუკავა, თუმცა, ინტრიგა გაქრა, როდესაც კენჭისყრების შემდეგ გაირკვა, რომ ნაზი ტყებუჩავამ ცესკო-ს ახალ შემადგენლობაში შესასვლელად საჭირო ხმები ვერ მოაგროვა.

დარბაზიდან გასვლის წინ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა საკმაოდ ხმაურიანი განცხადებები გააკეთეს.

**"ეს ხალხი** (ცესკოს წევრობის კანდიდატები, - გ.ა) **არჩევნების ობიექტურად ჩასატარებლად კი არ შეირჩა, არამედ იმისთვის, რომ არჩევნების დროს ხელისუფლების მიერ მიწოდებული ციფრები დაადასტუროს. ცესკო-ს ახალი შემადგენლობა ყოველგვარი დამორცხვების გარეშე გააყალბებს არჩევნებს,"** - ვარაუდობს ზვიად ძიძიგური.

**"2005 წლის 3 ივნისიდან ხალხი ისევ დაიწყებს გაბრაზებას,"** - ცესკო-ს ახალი შემადგენლობის შემხედვარე, ახალი რევოლუციის მოლოდინშია მამუკა კაციტაძე.

**"ახალი ცესკო "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ განყოფილებას წარმოადგენს, რომელიც ვაკის, ზუგდიდის და სხვა რაიონების პარტიული აქტივისტებით არის დაკომპლექტებული,"** - აცხადებს კახა კუკავა.

ოპოზიციონერთა მრავალრიცხოვანი ბრალდებები, საბოლოო ჯამში, იმაზე დაიყვანება, რომ ახალი საარჩევნო ადმინისტრაცია ერთპარტიულია. ამაზე საპარლამენტო უმრავლესობას შემდეგი პასუხი აქვს: საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიული ნიშნით დაკომპლექტდა და ეს იძლევა შანსს, რომ მომავალში არჩევნები პოლიტიკური ვაჭრობის საგანი აღარ იქნება.

**"ეს მოდელი პასუხისმგებლობას მთლიანად ჩვენ, ხელისუფლებას გვაკისრებს და პირობას ვდებთ, რომ არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს დავამკვიდრებთ,"** - ერთხმად აღნიშნავენ გიგა ბოკერია და რატი სამყურაშვილი.

გუშინდელი დებატების სიმწვავე ვერც იმან გაანელა, რომ სხდომის მიმდინარეობისას დარბაზი უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ დაამშვენა. რევოლუციონერმა ქალბატონმა ტაში და ყვავილები მოსწყვიტა ქართველ დეპუტატებს და პარლამენტიდან მალევე წავიდა, რის შემდეგაც პოლიტიკური დისკუსია ახალი ძალით გაჩაღდა.

გუშინ პარლამენტმა საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოში არსებული სამი ვაკანსიაც შეავსო და ცესკო-სთან ერთად, აღნიშნული სტრუქტურაც მთლიანად დააკომპლექტა: რამდენიმე თვის წინათ დამტკიცებულ სამეურვეო საბჭოს ექვს წევრს ლევან თარხნიშვილი, რუსუდან სებისკვერაძე და მამუკა ხერხეულიძე დაემატნენ.

გარდა ამისა, კანონმდებლებმა სახელმწიფო გერბის "რესტავრირებაც" მოასწრეს. მართალია, მასში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ შესულა, მაგრამ უამრავი ცალკეული დეტალი დაიხვეწა. კერძოდ, გერბზე გაჩნდა სახელმწიფო დროშაზე გამოსახული ჯვარი (ორი); შეიცვალა იმ ფარის ფორმა, რომელზეც წმინდა გიორგია გამოსახული; დაიხვეწა გვირგვინის ზოგიერთი დეტალი; ლომებს "თვალები აეხილათ", - დღემდე ისინი გერბზე თვალდახუჭულნი იყვნენ...

აღნიშნული ცვლილებები საქართველოს სახელმწიფო გერბში ბრიტანელი ჰერალდიკოსების რეკომენდაციების საფუძველზე შევიდა.

თვალსაზრისი

# გზა უმაღლეს საზოგადოებაში

*წერილის სათაური უფროსი თაობის წარმომადგენლებს ალბათ წინა საუკუნის 50-იანი წლების ცნობილ ინგლისურ რომანს გაახსენებს და სწორედ ეს სათაური მიესადაგება ყველაზე მეტად განხილვის თემას - საქართველოს სწრაფვას ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ. ერთი შეხედვით, მიზანი ნათელი და ბევრის მომტანია, მაგრამ ცოტაოდენი დაფიქრება დაგვარწმუნებს, რომ ეს იდეა სამომავლოდ მრავალ საფრთხეს შეიცავს და ჩვენი ქვეყნისათვის შეიძლება, არც ისე სასურველი იყოს.*

ბორის ცოცხალაშვილი

"ევროპა გველოდება!"- ასეთი მოწოდება სულ უფრო ხშირად გაისმის ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონებიდან და რიგითი მოქალაქეების გონებაში დაახლოებით იგივე გრძნობებს აღძრავს, რომლითაც ბალზაკის გმირმა ახალგაზრდა ეჟენ დე რასტინიაკმა პირველად შეაბიჯა პარიზის "ბომონდში", რათა დაეპყრო და იქ თავისიანი გამხდარიყო.

ჩვენი არჩევანი არის ევროპა! აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმაც საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვაში იგივე პერსპექტივა დაგვისახა - ევროპა და ნატო. მაგრამ რამდენად რეალურია და როდის აღსრულდება ეს პერსპექტივა, რისი დათმობა მოგვიწევს და რას მივიღებთ სამაგიეროდ? - ამ კითხვებზე უნდა გასცეს პასუხი თითოეულმა ქართველმა.

ამთავითვე მინდა დავამშვიდო აფორიაქებული გონებები - ევროპა არ გველოდება! მიუხედავად გლობალიზაციის პროცესების სწრაფი განვითარებისა და ახალი სივრცეების ჩართვისა, დღევანდელ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს დროში, არ ემუქრება. ჯერ ერთი, ჩვენზე წინ დგანან ქვეყნები, რომელნიც ყველა პარამეტრით ევროპასთან უფრო ახლოს არიან და მეტად იმსახურებენ ამ პატივს. თანაც ცნობილია ევროკავშირის სიმტკიცე და კონსერვატიზმი გაწევრიანების მსურველთა მიმართ წაყენებული მოთხოვნების მხრივ. აქედან გამომდინარე, გზა ევროპამდე შორია და ამას ჯორჯ ბუშის მიმართვაც ადასტურებს. მან ნათლად აგვიხსნა, თუ როგორი საქართველო სჭირდება ცივილიზებულ დემოკრატიულ ევროპას. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ბუშის სიტყვის ძირითადი ლაიტმოტივები:

- მშვიდობიანი გზით გამთლიანებული ტერიტორია,

კეთილი და მყარი ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან,

- თავისუფალი საზოგადოება, ადამიანის, მათ შორის უმცირესობების უფლებები,

დემოკრატიული მმართველობა და ინსტიტუციები,

- აწყობილი პოლიტიკური სისტემა, ძლიერი ოპოზიცია,

განვითარებული ეკონომიკა,

- მოსახლეობის სოციალური პირობები.

ეჭვგარეშეა, რომ იგივე და კიდევ სხვა მოთხოვნებს (მათ შორის თურქი მესხების დაბრუნებას) წამოგვიყენებს ევროკავშირი.

ჩემი შეხედულებით, თუ ყველა ჩამოთვლილი პრობლემა იმ დონეზე გადაწყდა, რომ ევროპა კარს გაგვიღებს, ჩვენვე უნდა ჩავკეტოთ ეს კარი და კარგადაც ჩავრაზოთ, რათა არავინ შემოიპაროს. არ შემოიპაროს ჩვენთან, ვინაიდან ამის მსურველი ბევრი გაჩნდება და ზიანი მეტი იქნება, ვიდრე სიკეთე.

აქ გასათვალისწინებელია რამოდენიმე გარემოება. საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით შეიძლება, ჩაითვალოს შვეიცარიის ანალოგ ქვეყნად, მხოლოდ არა ევროპის, არამედ ევროპა-აზიის კონტინენტალური მასშტაბით და მისთვის შვეიცარიის მსგავსად პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი იქნება ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი. ამავე დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ სხვა მხრიდანაც. მსოფლიოში ჩამოყალიბებული ეკონომიკისა და წარმოების გადანაწილების პირობებში საქართველო მოიაზრება ძირითადად არა მწარმოებელ, არამედ მომხმარებელ ქვეყნად. განვითარების მთავარ პრიორიტეტად ტრადიციული აგრარული სექტორის გარდა, მიჩნეულია ტურიზმი, დასვენების სფერო, კურორტები, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, საბანკო საქმიანობა. სხვა დარგების თვალსაჩინო განვითარება, ორიოდე გამონაკლისის გარდა, მეტად სათუოა, ჩამოთვლილისათვის კი ყველაზე ხელსაყრელ პირობებს, ისევ და ისევ, ნეიტრალური სტატუსი ქმნის, რაც ქვეყნისათვის მაქსიმალურად სასარგებლო საკანონმდებლო ბაზის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

არავინ არ უარყოფს ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა თანამშრომლობის აუცილებლობას. მაგრამ არა ნაკლებად მნიშვნელოვანია ურთიერთობები უახლოეს მეზობლებთან, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც. საბედნიეროდ, გეოგრაფიული მდებარეობა ამაში ხელს გვიწყობს. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ევროკავშირში შესვლის შემთხვევაშიც დავრჩებით ევროპის პერიფერიად, ეგზოტიკურ გარეუბნად. ამავე დროს, ნათელია საფრთხეები, რომელიც დაგვემუქრება გაწევრიანების შედეგად.

1. საქართველო ავტომატურად ხდება საერთაშორისო ტერორიზმის სამიზნე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში გამომუშავებულია ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდები (ჩემი აზრით, არც ისე ეფექტური) და ცივილიზებული სამყარო დაგვიცავს, თავად საშიშროების არსებობა ვერ შეუწყობს ხელს ზემოხსენებული პრიორიტეტების განვითარებას და საზიანო იქნება ქვეყნისათვის.

2. დემოგრაფიული პრობლემის გამძაფრება. საქართველო უკვე დგას ამ პრობლემის წინაშე, ხოლო ევროკავშირის წევრობა უეჭველად გამოიწვევს მიგრანტების ისეთ მომრავლებას, რომელთანაც თურქი მესხების საკითხი მონაგონი გახდება. ისეთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი სახელმწიფოები, როგორიც არიან საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და სხვები, უკვე შეეჩეხნენ ამ პრობლემას და ვერ უმკლავდებიან მას. წარმოიდგინეთ, რა მოხდება საქართველოში, როდესაც მას მოაწყდება მიგრანტების ტალღები, რა იქნება საქართველო თუნდაც 20-30 წლის შემდეგ.

3. ე.წ. "რელიგიური ტერორიზმი", ანუ უცხო რელიგიების მომძლავრება და სექტების შემოსვლა. ეს პრობლემაც უკვე საკმაოდ მწვავედ დგას და ერთიათად გართულდება თუნდაც მიგრაციის შედეგად.

4. ეროვნული მენტალიტეტის დაკარგვა. სამწუხაროდ, ეს პროცესი, რომელიც დამღუპველია ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისათვის, უკვე დაწყებულია და ევროკავშირში გაწევრიანებისას გაცილებით სწრაფად განვითარდება.

5. უცხო კაპიტალის შემოსვლა. ერთი შეხედვით სასურველი რამ დიდ საფრთხეს შეუქმნის მკვიდრ მოსახლეობას, ვინაიდან აშკარაა, რომ კაპიტალი წარიმართება საუკეთესო მიწებისა და ობიექტების შესყიდვაზე. პირველ რიგში ეს იქნება ზღვისპირეთი, საკურორტო-დასასვენებელი ზონები, შემდეგ მიწათმოქმედების ფართები, ქალაქების პრესტიჟული უბნები. ჩვენი მთავრობის მიერ დეკლარირებული და აღებული კურსის გამო ყველაფრის, მათ შორის მიწის, გაყიდვაზე მოვლენების ამგვარი განვითარება საკმაოდ რეალურია.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, მთავარი საშიშროებაა ქართველების გადაქცევა საკუთარ ქვეყანაში მეორე ხარისხის მოქალაქეებად.

ოპონენტები იტყვიან, რომ აღწერილი სურათი ზედმეტად გამუქებულია და ამის წინააღმდეგ შეიძლება ზომების მიღება. რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ დამოუკიდებლობას შევინარჩუნებთ. მაგრამ თუ ევროკავშირში შევალთ, იძულებული გავხდებით, მივიღოთ მისი კანონები და დავემორჩილოთ მათ.

დავფიქრდეთ, ავწონ-დავწონოთ - რას მივიღებთ და რას დავკარგავთ. იქნებ ევროპის გარეუბნობას ისევ ამიერკავკასიის შუაგულობა სჯობს! საქართველო ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე, იყო ამიერკავკასიის რეგიონული ლიდერი და უპირველეს ყოვლისა მან ეს ისტორიული მისია უნდა აღიდგინოს. საქართველოს მნიშვნელობა წლების მანძილზე უსათუოდ გაიზრდება, ისევე როგორც ამის შესაბამისი მიმზიდველობა და მეგობარი ქვეყნების კეთილგანწყობა. ვიყოთ დამოუკიდებლები, შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა, ტრადიციები, ავაშენოთ ნორმალური ქვეყანა და მშვიდად ვიცხოვროთ!

სხვათა შორის, ვისაც წაკითხული აქვს ჯონ ბრეინის რომანი "გზა უმაღლეს საზოგადოებაში", ეხსომება, რა დანაკარგების ფასად ალისრულა მისმა გმირმა ეს მიზანი.

და ყველა შემთხვევაში საქართველოს ნებისმიერი გაწევრიანება-არგაწევრიანება არ არის რამოდენიმე ადამიანის გადასაწყვეტი, ასეთი საკითხები საყოველთაო რეფერენდუმებით წყდება.

P.S.ევროკავშირის ერთიანი კონსტიტუციის მიღებაზე ჯერ საფრანგეთის და შემდეგ ნიდერლანდების მოსახლეობის უმრავლესობამ უარი განაცხადა.

რას უნდა ნიშნავდეს ეს დამაფიქრებელი ფაქტები?!

მოკლედ

# აფხაზური პარტიები ერთიანდებიან

სოხუმში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ერთიანი აფხაზეთის" მესამე რესპუბლიკური კონფერენცია გაიმართა. მოძრაობის ლიდერი არტურ მიქვაბია, რომლის მოხსენების შემდეგ, კონფერენციამ, აფხაზეთის "პრეზიდენტად" არჩევის გამო, სერგეი ბაგაფშს ორგანიზაციაში წევრობა შეუჩერა. მოძრაობის ხელძღვანელობა დატოვეს, აგრეთვე, სერგეი შამბამ და ნოდარ ხაშბამ. სერგეი ბაგაფში, პრემიერ-მინისტრ ალექსანდრ ანქვაბთან და პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბასთან ერთად, კონფერენციაში მონაწილეობდა. კონფერენციას, აგრეთვე, ესწრებოდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების "ამცახარას" და "აიტაირას" წარმომადგენლები. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოძრაობა "ერთიანი აფხაზეთის" პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების მიზნით კონსულტაციებს გამართავს. მოძრაობის ლიდერმა არტურ მიქვაბიამ მოუწოდა "ამცახარას", "აიტაირას" და "თავისუფალი პროფკავშირების ფედერაციას", ერთ პარტიად ჩამოყალიბდნენ.

*მედიანიუსი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** ორ-სამ ივნისს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ეგიდით, საშტაბო-სამეთაურო სწავლებები მიმდინარეობდა. სწავლების თემა იყო სახელმწიფო საზღვარზე და საზღვრისპირა რეგიონებში სხვადასხვა საფრთხეების წარმოშობისას, უწყებათშორის კოორდინირებული მოქმედება. სწავლებაში სასაზღვრო დეპარტამენტის პირად შემადგელობასთან ერთად, შინაგან საქმეთა ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სამინისტროების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტიქიით დაზარალებულ რაჭაში მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ონის მაჟორიტარი დეპუტატის დავით საგანელიძის თქმით, თუკი იქ რაიმე კეთდება, ისევ მოსახლეობის ძალისხმევით. "ერთადერთი, რაც ხელისუფლებამ სტიქიური უბედურების ზონისთვის გაიღო, ტრაქტორია, რომელიც ადიდებული რიონის კალაპოტს ათავისუფლებს, თუმცა, ვინაიდან ჯებირის გასამაგრებლად თანხა არ არის გამოყოფილი, არ არის გამორიცხული, მდინარე კალაპოტიდან ისევ გადმოვიდეს და ყველაფერი, რაც ამჯერად კეთდება, წყალში ჩაიყაროს", - აცხადებს დეპუტატი. დავით საგანელიძის თქმით, დაზარალებულ ოჯახებს არც საკომპენსაციო თანხა მიუღიათ. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში 2005 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე ქონებრივი დეკლარაცია 102 თანამდებობის პირს არ წარუდგენია. მათ შორის არიან პარლამენტარი ვანო ხუხუნაიშვილი, ყოფილი პარლამენტარი გია ყარყარაშვილი და კოდორის ხეობის ყოფილი გუბერნატორი ემზარ კვიციანი. ქონებრივი დეკლარაციების შევსების წესის დამრღვევთა საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში გადაიგზავნება, სადაც მათი დაჯარიმებისა და დეკლარაციის დაუყოვნებელი შევსების საკითხი გადაწყდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. თურქი მესაზღვრეები ქართველ კოლეგებს ხუთ "ლენდ-როვერის" მარკის მაღალი გამავლობის სამხედრო ავტომანქანებსა და 500-ნომრიან ავტომატურ სატელეფონო სადგურს გადასცემენ საჩუქრად. დახმარება, რომელიც უახლოეს დღეებში ჩამოვა საქართველოში, სასაზღვრო უწყებასა და თურქეთის გენერალურ შტაბს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## დაზარალებულებს არაფერი შეხვდებათ

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის საკრებულოს უახლოესი სხდომა, სავარაუდოდ, ხმაურის გარეშე არ ჩაივლის. აჟიოტაჟს კი გამოიწვევს ქალაქის მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ქალაქის ბიუჯეტის 20 მილიონი ლარით გაზრდილი ხარჯებიდან, დაზარალებული მოსახლეობისთვის ერთი თეთრიც არ არის გათვალისწინებული.*

ქალაქის 2005 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულების გამო, ბიუჯეტში 20-მილიონიანი რეზერვი გაჩნდა. ქალაქის მთავრობამ ეს თანხა პრიორიტეტებად შერჩეულ სფეროებზე გადაანაწილა. ანუ მთავრობის დადგენილებით, აღნიშნული 20 მილიონი ლარიდან გზების საფარის აღდგენით სამუშაოებზე, დამატებით, 12 მილიონ 750 ათასი ლარი დაიხარჯება, გარე განათების ქსელის ექსპლუატაციაზე - 2 მილიონ 500 ათასი, ფასადების შეკეთებაზე - 3 მილიონ 500 ათასი. დანარჩენი თანხა კი "თბილწყალკანალს", სპორტისა და კულტურის სფეროებს მოხმარდება - "თბილწყალკანალს" კაპიტალური ხარჯებისთვის მილიონი ლარი დაემატება, სპორტის სამსახურს, ამავე მიზნისთვის - 200 ათასი ლარი, დარჩენილი 50 ათასი ლარით კი ახალგაზრდა შემოქმედთა მოღვაწეობა დაფინანსდება.

საკრებულოს უახლოეს სხდომაზე სწორედ ეს დადგენილების პროექტი უნდა დამტკიცდეს. უმრავლესობა, როგორც წესი, ქალაქის მთავრობის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს დაუჭრეს მხარს, ოპოზიცია კი შეეწინააღმდეგება. ფრაქცია "მემარჯვენეები" საპროტესტო გამოსვლისთვის ემზადებიან და უმრავლესობის წევრებს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა წერილობით მოთხოვნებს "თვალებზე აფარებენ". **"ეს 20 მილიონი ლარი, რომელიც ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტს ემატება, ისევ გზების შეკეთებას ხმარდება, მიწისძვრით დაზარალებულთა, "თბილტრანსის" მძღოლებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრებისთვის კი არაფერია გათვალისწინებული. ქალაქის მთვრობამ როდემდე უნდა ატყუოს ეს ათასობით დაზარალებული ადამიანი. ამ ხალხს დახმარებას ჯერ კიდევ 2005 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე ჰპირდებოდნენ, მაგრამ ზუსტად ბიუჯეტის დამტკიცების წინა დღეს "თბილტრანსის" მძღოლთა ოჯახების კომპენსირებისთვის გათვალისწინებულ 1 მილიონ 250 ათას ლარს 500 ათასი ჩამოაჭრეს, კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთა კომპენსაცია ბიუჯეტიდან საერთოდ ამოიღეს, ავარიული მაღალსართულიანი კორპუსების აღსადგენად გათვალისწინებული 10 მილიონი კი 2 მილიონ 200 ათასით შეამცირეს და პრეზიდენტის რეზიდენციის მიდამოებში მცხოვრებთა (რომელთაც ამ ადგილებიდან ასახლებენ) კომპენსაციებზე გადაანაწილეს,"** - აცხადებს "მემარჯვენეების" ლიდერი გიორგი მოსიძე.

სხვათა შორის, მიწისძვრით დაზარალებულთა, "თბილტრანსის" მძღოლებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთა გასაჭირი მათი გურწფელი მხარდამჭრებისთვისაც აქტუალური თემაა და ამომრჩეველთა თვალში ქულების ჩასაწერადაც წარმატებით გამოიყენება. ამიტომაც, ქალაქის ბიუჯეტის ყოველი კორექტირებისას ეს თემა აქტიურად ფიგურირებს. უახლოეს სხდომაზე, გამორიცხული არ არის, საკრებულოს ოპოზიციას მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებიც შეუერთდნენ. ახლახან მათ წერილობით მიმართეს ქალაქის მთავრობასა და საკრებულოს ხელმძღვანელობას და უახლოეს მომავალში მათგან რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემას ითხოვენ. **"რაში იხარჯება ბიუჯეტიდან მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემის მოსაგვარებლად გამოყოფილი თანხები, რატომ რემონტდება ერთი და იგივე სახლები და რატომ გვიშლით ინვესტორებთან ურთიერთობას?"** - კითხულობენ დაზარალებულები.

ასე რომ, საკრებულოს დეპუტატებს მორიგი დაძაბული დღე ელით, დაზარალებულებს კი - მორიგი იმედგაცრუება. უმრავლესობა, სავარაუდოდ, ქალაქის მთავრობის ზემოთ აღნიშნულ დადგენილებას, ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დაამტკიცებს და 20 მილიონიანი რეზერვიდან დაზარალებულებს არაფერი შეხვდებათ. **"გზების, გარეგანათებისა და ფასადების მოწესრიგება 2005 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებად დაისახა და გვინდა, ეს საქმე კარგად გავაკეთოთ. სჯობს, ცოტა პრობლემა მოგვარდეს სრულყოფილად, ვიდრე ბევრი - ცუდად. ამ პრინციპით, საბოლოოდ, უფრო ნაკლები დაიხარჯება,"** - აცხადებს ქალაქის მთავრობა.


ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

ხალხის ტრიბუნა ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე





საქართველოში დაარსდა paintball club.

წამყვანები: ნინო კორძახია, გაგა [illegible]

სტუმარი: სანდრო ვაშაკიძე, საქართველოს ფეინთბოლის კლუბის "სპა"-ს დამფუძნებელი.

სანდრო ვაშაკიძე: ხვალ, 4 ივნისს 13 საათზე კუს ტბაზე შედგება საქართველოს პეინთბოლ კლუბ (ფეინთბოლ კლუბის) პრეზენტაცია. კლუბის სახელი „სპა" [illegible]


# ვითომ სამიტი - სამიტისათვის

პირველი გვერდიდან

დოკუმენტებზე ხელმოწერას ნახევარსაათიანი პრესკონფერენცია მოჰყვა. სწორედ ამ დროს გახდა ცნობილი, რომ ქართულმა მხარემ მხოლოდ ცხრა დოკუმენტს მოაწერა ხელი. დანარჩენი შეთანხმებები კი ქვეყნის ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. გუშინ არ დაკონკრეტებულა, რა საკითხებს ეხებოდა ჩვენი მხარის მიერ ხელმოწერელი დოკუმენტები. შესაძლოა, თემები საქართველოსთვის იმდენად არააქტუალური იყო, რომ ზურაბ ნოღაიდელმა, ჟურნალისტებთან საუბრისას, მათი ჩამოთვლა საჭიროდ არ მიიჩნია. სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ **"ყველა ქვეყნისთვის მთავარი ეროვნული ინტერესების დაცვაა და ნებისმიერ დოკუმენტზე ხელმოწერისას, სწორედ ეს ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული".**

ასევე მოიქცა უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკოც, რომლისთვისაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა დსთ-ს წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთვაჭრობაზე შეზღუდვების მოხსნის ვადები. მან განაცხადა, რომ უკრაინა ამ შეზღუდვების მოხსნას რაც შეიძლება სწრაფად ელის. შესაბამისად, იგი არ დაეთანხმა რუსეთის მხარის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, რომელიც ვაჭრობაზე შეზღუდვების გაუქმებას 2012 წლიდან გულისხმობს.

პრესკონფერენციაზე საკმაოდ ბევრი ითქვა დსთ-ს მომავალზე. როგორც დსთ-ს აღმასრულებელმა მდივანმა ვლადიმირ რუშაილომ განაცხადა, საქმიანობის რეფორმირება აუცილებელია და მთავარი პრიორიტეტი ეკონომიკური ინტეგრაცია, ჰუმანიტარული ურთიერთობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა გახდეს. მანვე აღნიშნა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშავდება რეფორმირების ოპტიმალური გეგმა, რომელიც დსთ-ს უფრო ქმედითუნარიანს გახდის. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომაც აღნიშნა, რომ იგი თანამშრომლობის შეწყვეტის წინააღმდეგი არ არის, ოღონდ თანამეგობრობის საქმიანობის რეფორმირება აუცილებელია. მანვე აღნიშნა, რომ სუამი და დსთ არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც ერთმანეთის ალტერნატივა. იგივე პოზიციაზე იყვნენ საქართველოსა და მოლდოვას პრემიერ-მინისტრები (სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, სულ მალე ყირგიზეთი სუამის წევრი ქვეყანა გახდეს).



*დსთ-ს ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა შეხვედრაზე სამუშაო დრო რეკორდულად მცირე აღმოჩნდა.*

როგორც ჩანს, 26 აგვისტოს ყაზანში დაგეგმილ დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტების შეხვედრაზე ამ ორგანიზაციის რეფორმირების თემა მსჯელობის მთავარ საგნად იქცევა. ამავე შეხვედრაზე გადაწყდება, როდის შეიკრიბებიან კვლავ თორმეტი ქვეყნის მთავრობათა მეთაურები.

გუშინ დელეგაციათა თავკაცებმა დსთ-ს მთავრობების მეთაურთა საბჭოს ახალი თავმჯდომარე აირჩიეს. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხაილ ფრადკოვმა ამ პოსტზე მოლდოვას პრემიერ-მინისტრი ვასილი ტარლევი შეცვალა.

პრესკონფერენციაზე საუბარი საქართველოსა და რუსეთის შორის არსებულ სავიზო რეჟიმსაც შეეხო. ვლადიმირ რუშაილომ განაცხადა, რომ ამ პრობლემის მოგვარებისთვის გარკვეული ნაბიჯები კეთდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსული მხარე აშკარად არ ჩქარობს არსებული ვითარების შეცვლას.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ მაღალი რანგის სტუმრებმა "შერატონ მეტეხი პალასი" დატოვეს და მეორე სასტუმროში - "ქორთიად მარიოტში" გადაინაცვლეს, სადაც მათ ოფიციალური სადილი და საქართველოს პრეზიდენტი ელოდებოდა.

მიხეილ სააკაშვილმა დსთ-ს მთავრობების მეთაურთა შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა. პრეზიდენტმა განსაკუთრებული აქცენტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე გააკეთა. მისი თქმით, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მიაღწია რუსეთთან შეთანხებას სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. **"ეს იყო ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი, რომელიც ხელს უშლიდა ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებას. დარმწუნებული ვარ, რომ ახლა დაიწყება ახალი ეტაპი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. მინდა, განსაკუთრებით ხაზი გავუსვა რუსეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკურ გამბედაობას და პოლიტიკურ ინტუიციას, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო იმის მიუხედავად, რომ არსებობდა საკმაოდ დიდი ზემოქმედება, რათა ეს საკითხი კვლავაც გადაუჭრელი ყოფილიყო,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. მეორე საკითხი კი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტებია. **"რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებობს ქიმერები, რომელსაც მოცილება უნდა, რადგან მათ უკან არაფერი დგას. გადავწყვიტეთ საკითხი და არაფერი საშინელება არ ხდება. პირიქით - გაჩნდა ჩვენი ურთიერთობების გაუმჯობესების ისტორიული შანსი,"** - განაცხადა სააკაშვილმა. მანვე დაარწმუნა სტუმრები, რომ საქართველო არ აპირებს რევოლუციის ექსპორტს დსთ-ს სივრცეში და ისიც აღნიშნა, რომ საქართველო დსთ-ს არ დატოვებს.

მიხეილ სააკაშვილმა საქართველოზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლების მთავარი მიღწევები საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, პოლიციის რეფორმა, ენერგოკრიზისის შემსუბუქება და მოსახლეობისთვის ხელფასებისა და პენსიების დროულად გაცემაა. **"საქართველოს წინა პრეზიდენტის მმართველობის ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ქვეყნის ბიუჯეტი 350 მილიონ ლარს არ აღემატებოდა, სამართალდამცველები ხელფასებს თვეობით ვერ იღებდნენ, ხოლო სახელფასო და საპენსიო დავალიანება ხშირად 18 თვეს აღწევდა. საქართველო მწვავე ენერგოკრიზისს განიცდიდა,"** - განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ახალი ხელისუფლების თვრამეტთვიანი მმართველობის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები, გატარდა პოლიციის და ჯარის რეფორმა. **"საბიუჯეტო შემოსავლები იმის ხარჯზე გაიზარდა, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკები ფულს აღარ იპარავენ და ქვეყანაში არნახული რაოდენობის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა,"** -განაცხადა პრეზიდენტმა.

ოფიციალური სადილის დასრულების შემდეგ რუსეთის პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო კანცელარიისაკენ გაემართა, სადაც საქართველოს პრეზიდენტს პირისპირ შეხვდა. დღის მეორე ნახევარში კი დელეგაციებმა, ერთმანეთის მიყოლებით, საქართველოს დედაქალაქი დატოვეს.

"სამიტი სამიტისათვის" - ასე მონათლეს, თავის მხრივ, ჟურნალისტებმა გუშინდელი შეხვედრა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ ბუნდოვანი მომავალი აქვს და მისი წევრი ქვეყნების უმრავლესობა ამ პოლიტიკურ წარმონაქმნს ხელოვნურად უნარჩუნებს სიცოცხლეს.

# დავა ბაზრის გარშემო გრძელდება

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

კონფლიქტურმა სიტუაციამ სოხუმის ბაზარში - აფხაზეთის მთავარ სავაჭრო მოედანზე, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ჩარევა მოითხოვა. კონფლიქტი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ წარმოიშვა, როდესაც აფხაზეთის ყოფილი სამრეწველო ფლაგმანის - ქარხანა "სუხუმპრიბორის" ბაზაზე ბაზრობის გახსნის შემდეგ იქ საყოფაცხოვრებო საგნებით ვაჭრობის გადატანა ცენტრალური ბაზრიდანაც გადაწყდა. ამან ვაჭრების აღშფოთება გამოიწვია, რომლებიც აქ უკვე ათი წელია, ვაჭრობენ და ახალი ადგილის ათვისება სულაც არ ეხატებათ გულზე. თანაც ბაზრობის გადატანა სავაჭრო მოედნის ადმინისტრაციის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება, რომელიც ადგილების გაქირავებიდან შემოსავალს კარგავს. კონფლიქტზე მაშინაც მთავრობის დონეზე მსჯელობდნენ, რომელმაც მაშინ მოვაჭრეების აზრი გაითვალისწინა და მათ კვლავ ცენტრალურ ბაზარში მუშაობის უფლება დაუტოვა.

წელს კონფლიქტი განახლდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქალაქის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ბაზრის მთავარი კორპუსი რემონტის მიზეზით იკეტება, რემონტის შემდეგ კი აქ მხოლოდ კვების პროდუქტებით ვაჭრობის განყოფილებები განთავსდება. მოვაჭრეები აღშფოთდნენ, რადგან მიიჩნიეს, რომ ბაზრის რემონტი მხოლოდ საბაბია მათ გასაძევებლად.

მათ გაფიცვა გამოაცხადეს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთანაც შეიკრიბნენ. ამავე დღეს მათ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და სოხუმის მერი ასტამურ ადლეიბა შეხვდნენ. თუმცა, ამჯერად მეწარმეებმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. ხელისუფლების განცხადებით, ერთადერთი დათმობა ის იქნება, რომ მოვაჭრეები ძველ ადგილებზე ვაჭრობას 15 იანვრამდე შეძლებენ, სანამ შენობაში რემონტი გაგრძელდება. ანუ შენობა მთლიანად არ დაიხურება, როგორც ეს აქამდე იყო დაგეგმილი. მაგრამ ამ დროის განმავლობაში მოვაჭრეები ან "სუხუმპრიბორის" ბაზრობაზე უნდა გადავიდნენ, ან ხალი სამუშაო მოძებნონ. ამავე დროს, ზოგიერთი კომერსანტი ამბობს, რომ "სუხუმპრიბორში" გადასვლის წინააღმდეგნი არ არიან, მით უმეტეს, რომ ეს მოედანი გაცილებით უკეთაა მოწყობილი, თუმცა მათ ახალი ბაზრობის მფლობელების მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების პირობები არ აკმაყოფილებთ.

კერძოდ, მათი თქმით, ისინი ხდებიან უფრო რეალიზატორები, ვიდრე სავაჭრო ადგილების სრულუფლებიანი მფლობელები. ბაზრის ადმინისტრაცია მათგან მუშაობის გრაფიკის მკაცრ დაცვას მოითხოვს. თუ რამდენიმე დღე სამსახურში არ გახვალ, შეიძლება ადგილიც დაკარგო. გარდა ამისა, ბაზრის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, რჩევები მისცეს მოიჯარეებს, საქონლის რომელი ასორტიმენტით ივაჭრონ. თუმცა, ახლა მეწარმეებს საამისო დრო აქვთ, ხელშეკრულების პირობების შეცვლას მიაღწიონ.

# რაციონალური ინტერესი - დამოუკიდებლობა

პირველი გვერდიდან

**"საქართველოში პირველად 1957 წელს გახლდით, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმი მართავდა. მაშინ ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ აქაურები უფრო თავისუფლები იყვნენ, ვიდრე დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკების მცხოვრებნი. მაშინ ვერც წარმომედგინა, რომ ოდესმე ჩემი რომელიმე ნაწერთაგანი აქ ითარგმნებოდა, ან გამოქვეყნდებოდა,"** - წერს რიჩარდ პაიპსი "საკუთრება და თავისუფლების" ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში.

ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი ამერიკელი ექსპერტის წიგნის ოფიციალურად წარდგენის შემდეგ, თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დამფუძნებელმა და დირექტორმა არმაზ ახვლედიანმა საპატიო სტუმარს ამავე სკოლის პოლიტიკურ მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

2 ივნისს კი, საქართველოში თავისუფლებისა და დემოკრატიის მნიშვნელობაზე, ცნობილი მეცნიერი უშუალოდ ქართულ საზოგადოებასთან შეხვედრისას საუბრობდა. თუმცა, შეხვედრის თემა მხოლოდ ამ საკითხით არ ამოწურულა. საკითხთა ფართო სპექტრი მოიცავდა: აშშ-ს თანამედროვე საგარეო პოლიტიკას, რუსეთის დამოკიდებულებას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, აშშ-რუსეთის ურთიერთობებს და ა.შ.

ცნობილი მეცნიერი მიიჩნევს, რომ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა საქართველოსთვის არც ისე იოლი იქნება, რასაც თავად რუსეთის რთული ფენომენი განაპირობებს.

**"ისინი ყოფილ კოლონიებს თანასწორად არ აღიქვამენ. მათ თვალში თქვენ ყოველთვის დამორჩილებული იქნებით. თუმცა, ამის მიუხედავად, როგორც ვხედავთ, დათმობებზე წასვლა მათ მაინც მოუხდათ. მხედველობაში მაქვს ბაზების საკითხი, მაგრამ საამისოდ, მათ ჯერ დადებული პირობა უნდა შეასრულონ. ყოფილი კოლონიების მიმართ მოსკოვის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ უკრაინაც საკმარისია, თანაც, თუ იმ ფაქტორსაც მოვიშველიებთ, რომ ეს ქვეყანა რუსული ცივილიზაციის აკვანს წარმოადგენს, რუსეთზე მთლიანი სურათის შექმნა რთული აღარ იქნება,"** - აღნიშნა რუსეთ-საქართველოს საკმაოდ რთულ ურთიერთობებზე საუბრისას რიჩარდ პაიპსმა.

თუმცა, იქვე დასძინა, რომ მომავალში თანასწორ პარტნიორად საქართველოს აღიარება რუსეთს მაინც მოუწევს.

**"თუ რუსეთი საქართველოს ახლო აღმოსავლეთზე კონტროლის მოპოვების პლაცდარმად განიხილავდა, ვფიქრობ, მომავალში სურათი მაინც უნდა შეიცვალოს,"** - თქვა რუსეთის საკითხებში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად აღიარებულმა ექსპერტმა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ და რუსეთი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მოკავშირეებად განიხილებიან, სხვაობა, თანაც არცთუ ისე უმნიშვნელო, მაინც არსებობს. კერძოდ, თუ რუსეთისათვის ტერორიზმის საფრთხე უშუალოდ ჩეჩნეთთან მიმართებაში იგულისხმება, აშშ გაცილებით უფრო მასშტაბური გამოწვევის პირისპირ დგას. პაიპსის თქმით, ჩეჩნური საფრთხე "ალქაიდას" საქმიანობას არც შეედრება.

**"რასაკვირველია, ჩეჩნეთი რუსეთისათვის მტკივნეული საკითხია. ომის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ რუსეთი ჩეჩნეთს დამოუკიდებლობას მისცემს. თუმცა, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ უდავოა, პუტინი გამოცდილი ფსიქოლოგია და ამ თვისებას პარტნიორისა თუ მეტოქის შეფასებისას კარგად იყენებს. ზოგადად კი, შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთს დაშლა არ ემუქრება,"** - განაცხადა რიჩარდ პაიპსმა.

რაც შეეხება რუსეთის დემოკრატიზაციის პერსპექტივას, ცნობილი მეცნიერი ამას მაინცდამაინც ოპტიმისტურ ჭრილში არ განიხილავს.

**"ამ საკითხს, მრავალი მიზეზის გამო, ძალზე პესიმისტურად ვუყურებ. ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი კი ისტორიული ტრადიცია გახლავთ. მოვლენათა განვითარების ისტორიულ ჯაჭვს თუ გავადევნებთ თვალს, დავინახავთ, რომ თვითმპყრობელობა რუსეთში ანარქიაში გადაიზარდა. ამას მე დავარქვი "გაქცევა თავისუფლებისგან". რუსებმა თავისუფლება და ანარქია ერთ სიბრტყეზე დადეს. რუსული ცნობიერებიდან გამომდინარე, მათ მუდმივად სჭირდებათ ძლიერი ხელი. მისგან დემოკრატიას არ უნდა ველოდოთ. მაქსიმუმი, რის მიღწევასაც რუსეთი შეძლებს, "კეთილი დიქტატურა", ანუ, სხვების მიმართ ლოიალური განწყობა იქნება,"** - აღნიშნა პაიპსმა.

# "საქართველო რუსეთთან სრულიად გახსნილია"

საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის პრემიერ-მინისტრთან დიალოგს კონსტრუქციული უწოდა. სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბაზების საკითხის მოგვარებამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გააადვილა. პრეზიდენტმა გაიხსენა შარშან ზაფხულში თბილისში რუს ბიზნესმენთა დიდ ჯგუფთან გამართული შეხვედრა და დასძინა, რომ ასეთ კარგ წამოწყებას ცხინვალში განვითარებულმა მოვლენებმა შეუშალა ხელი. **"ახლა ახალი სუნთქვა იხსნება. იმედია, არ ვცდები. ჩვენ განწყობილი ვართ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები,"** - ასეთია საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია.

მიხაილ ფრადკოვმა საუბარი **"ნდობის გაძლიერებით"** დაიწყო. მისი თქმით, ნდობის ასეთი ზრდა სერიოზული პირობაა პრაქტიკული შედეგების მისაღწევად. **"საჭიროა სიტუაციის რეალურად შეფასება და ჩვენი შესაძლებლობების შეთავსება იმ პერსპექტივებთან, რომელიც ორმხრივი ინტერესებით არის განპირობებული,"** - ამ სიტყვების ავტორი მიხაილ ფრადკოვი ქართული მხარისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო.

რაც შეეხება ბაზებს, რუსეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, აღნიშნული საკითხის მოგვარება გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. **"ამ ეტაპზე დეტალები ზუსტდება,"** - შენიშნავს ფრადკოვი. ქართველი ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებზე მიხაილ ფრადკოვი ზოგად კონტექსტში დასძენს, რომ აზერბაიჯანი არ უნდა გააღიზიანოს იმ ფაქტმა, თუ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების ნაწილი სომხეთში იქნება გადატანილი.

ცალკე გამართულ ნოღაიდელი-ფრადკოვის ბრიფინგზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ რუს კოლეგასთან მისი საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობები იყო. **"ივლისის თვეში თბილისში გაიმართება ორი ქვეყნის სამთავრობო ეკონომიკური კომისიის სხდომა, სადაც საუბარი იქნება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, საინვესტიციო კლიმატზე,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

ფრადკოვის თქმით, ახლო მომავალში რუსეთ-საქართველოს მონაწილეობით ბიზნეს-ფორუმიც უნდა ჩატარდეს. **"რუსული მხარე დაინტერესებულია, საქართველოში არსებული საპრივატიზაციო ობიექტებით. ძირითადი ინტერესის სფეროებია ტრანსპორტი, ენერგეტიკა, მეტალურგია,"** - აღნიშნავს რუსეთის პრემიერ-მინისტრი და ჟურნალისტებთან საუბარში დასძენს, რომ ნოღაიდელთან მისი საუბარი, ასევე, შეეხო ტურიზმის განვითარებას, აფხაზეთში რკინიგზის აღდგენას. **"300 მილიონიანი ფულადი ბრუნვა ცუდი არ არის, მაგრამ არც საბოლოო ზღვარია,"** - რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ფრადკოვი იმედის თვალით უყურებს.

კანცელარიას გუშინ უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკოც სტუმრობდა. იგი შეხვდა ეკონომიკური ბლოკის ხელმძღვანელებს. ერთობლივ ბრიფინგზე ტომოშენკომ განაცხადა, რომ საჭიროა დსთ-ს რეფორმირება. იგი ასევე აუცილებლად მიიჩნევს პოსტრევოლუციურ ქვეყნებში ეკონომიკის ძირეულ შეცვლას.

უკრაინის პრემიერ-მინისტრის თქმით, მრავალი იდეა არსებობს, რომელიც რუსეთ-უკრაინის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას ეხება, მაგრამ ქალბატონი ტიმოშენკო ამ იდეების გაცხადებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

# სტუდენტებმა ბავშვთა სახლს საჩუქრები გადასცეს

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გუშინ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები, უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრები და შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია სურამის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს ეწვივნენ და საჩუქრები ჩაუტანეს.

**"აქ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვების ინიციატივით წამოვედით და საჩუქრები ჩამოვიტანეთ. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, როცა ცხინვალის უნივერსიტეტის ბავშვებმა გამოთქვეს ეს ინიციატივა, ეს არის ღვთის საქმე,"** - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა.

**"ჩვენი სურვილი იყო, ჩამოვსულიყავით ჩვენს პატარა მეგობრებთან და გაგვეხარებინა. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, ჩვენ აქ კიდევ ჩამოვალთ. ყველაფერში დაგვეხმარა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვინორ ახალაია და ცხინვალის ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარე სოსო ვახტანგაშვილი,"** - განაცხადა ცხინვალის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ ნათია კახნიაშვილმა.

მიხეილ ქარელმა ბავშვების მონათვლის ინიციატივაც გამოთქვა და სახლის დირექტორს 12 ივნისისთვის, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, ხელახლა სტუმრობა აღუთქვა.

სურამის ბავშვთა სახლის დირექტორმა მევლუდ გოგოლაძემ მადლობა გადაუხადა ცხინვალის უნივერსიტეტის სტუდენტებს: **"ამ ეკონომიკური გაჭირვების პერიოდში, სტუდენტებმა გამონახეს საშუალება და ჩამოვიდნენ საჩუქრებით ხელდამშვენებულები. საოცარია, როცა დევნილი უნივერსიტეტი ასეთ მზრუნველობას იჩენს. მადლობას ვუხდით ასევე მიხეილ ქარელს, ჩვენ ხშირად მიგვიღია საჩუქრად ჩამორთმეული კონტრაბანდული ტვირთი."**

**"კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით, ძალიან გამიხარდა საჩუქრები,"** -გვითხრა პატარა ჯიმი ბერუაშვილმა, რომელიც კონფლიქტის ზონიდან, სოფელ ერედვიდანაა.

სურამის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში 78 ბავშვია, მათ შორის 12 - სკოლამდელი ასაკის. აქ უდედმამო ბავშვი მხოლოდ ერთია, დანარჩენებს ერთი მშობელი აკლია, ან ხელმოკლე ოჯახებიდან არიან.

სურამის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლი ცენტრალური ბიუჯეტის დაქვემდებარებაზეა, რაც აქ მყოფ ბავშვებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ უფასო სამედიცინო მომსახურებით, ნორმალური კვებით და სათანადოდ შეიმოსონ.

# აშშ "რევოლუციონერებს" მხარს დაუჭერს

"უკრაინაში, საქართველოსა და ყირგიზეთში იმედისმომცემი გარდაქმნები მიმდინარეობს. სირთულეების გადალახვასა და თავისუფალი საზოგადოების შექმნაში ამ ქვეყნებს ყველანაირად დავუჭერთ მხარს,"- განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.

კონდოლიზა რაისმა ეს განცხადება ვაშინგტონში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ჟან ესელბორნთან, ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარ ბენიტა ფერერო-ვალდნერთან და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჰავიერ სოლანასთან შეხვედრის შემდეგ ბრიფინგზე განაცხადა. კონდოლიზა რაისმა დემოკრატიულ პრინციპებზე ისაუბრა და საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში განვითარებული მოვლენები სწორედ ამ კონტექსტში გაიხსენა. "თავისუფლება და ახალი იმედი წინ მიიწევს უკრაინაში, საქართველოსა და ყირგიზეთში. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ქვეყნებს, რადგან ისინი თავისუფალი საზოგადოების შექმნის პროცესში ბევრი გამოწვევის წინაშე დგანან,"- აცხადებს სახელმწიფო მდივანი. კონდოლიზა რაისთან ევროკავშირის ლიდერების შეხვედრაზე განიხილეს თემები, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობას, თავისუფლებას, შიმშილისა და სიღარიბის დაძლევას უკავშირდებოდა.

*მედიანიუსი*

# ვარდები ირაკლი ტუღუშისთვის



*დაპირისპირებული მხარეები - ირაკლი ტუღუში და ირაკლი პეტრიაშვილი, შუაში კი ბნელით მოცული ქართული პროფკავშირები.*

*"გადადექი! გადადექი!" - ასეთი შეძახილით საქართველომ ბოლოს ედუარდ შევარდნაძე გააცილა. გუშინ ასეთი შეძახილით პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს, ირაკლი ტუღუშს მიმართავდნენ. ასოციაცია ბუნებრივად ჩნდება - ირაკლი ტუღუში უკანასკნელია, ვინც საზოგადოებას ექს-პრეზიდენტს აგონებს.*

მაკა ჭაიანი

ჯანსაღი პროფკავშირები ამგვარ ასოციაციას არ უნდა იწვევდეს - თავისი არსით, ეს ოპოზიციური ორგანიზაციაა. სამწუხაროდ, ქართულ პროფკავშირს ირაკლი ტუღუშის თამადობით, ხელისუფლებასთან ალიანსში, პროფკავშირული ქონების დაბრუნებით და არა პროფკავშირების წევრების უფლებებისთვის ბრძოლით უფრო იცნობენ. თუმცა გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც არსებობს - ლაშა ჭიჭინაძე, გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, "პროფკურორტის" ერთ-ერთი დირექტორი, გაერთიანების ადვოკატი - პროფკავშირების ის წევრი აღმოჩნდა, რომლის დასაცავად ირაკლი ტუღუში პროფკავშირული ქონების გირაოში ჩადებასაც არ ერიდება (ჭიჭინაძე თაღლითობის ბრალდებითაა დაკავებული, მის საქმეს პროფკავშირებთან არანაირი კავშირი არა აქვს, მაგრამ ტუღუში საპირისპიროს აცხადებს: "რეალურად, ეს არის პროფკავშირებზე ზეწოლა, ლაშა ჩამოგვაცილეს იმიტომ, რომ ვილაცას ხელს უშლიდა, ლაშა არის უძლიერესი იურისტი, ჩემი საკმაოდ დიდი ძალა").

გუშინ, ჯერ პროფკავშირების კულტურის, შემდეგ კი შრომის სასახლეში მოვლენები დრამატულად განვითარდა. კულტურის სასახლის წინ საპროტესტო აქცია ტუღუშის მიმართ ოპოზიციურად განწყობილებმა გამართეს. მათ მასწავლებელთა პროფკავშირების - "სოლიდარობის" ხემძღვანელი მანანა ღურჭუმელიძე და მისი წევრებიც შეუერთდნენ. ამ უკანასკნელთა აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ საბჭო ქუთაისის ბავშვთა საჭადრაკო კლუბ "აიას" გაყიდვის საკითხის განხილვას აპირებდა. **"ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დღის წესრიგში რამდენიმე ობიექტის, მათ შორის "აიას" გაყიდვის საკითხი იდგა,** - განმარტავს მანანა ღურჭუმელიძე, - **რამდენიმე წლის წინათ ტუღუშმა ქუთაისელ ბავშვებს გაუყიდა საცურაო აუზი, ბავშვები დატოვა ისე. ეს არ არის ტუღუშის ქონება, ეს ხალხის საკუთრებაა და ხალხმა უნდა გადაწყვიტოს მისი ბედი. მე მგონია, ტუღუშს უნდა, მოასწროს ყველაფრის გაყიდვა იქამდე, ვიდრე აქაურობის სათავეშია. ხელი თუ არ შევუშალეთ, ის ამას მოახერხებს, რადგან გაერთიანების წესდება, წესდება კი არა, ადამიანის უფლებების შემლახველი დოკუმენტია. რაც მოხდა, სწორედ იმან გამოიწვია, რომ ბატონ ირაკლი პეტრიაშვილს არ მისცეს ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დღის წესრიგში შეტანის საშუალება."**

შემდეგ რაც მოხდა, იმას პროფკავშირების გაერთიანების მოქმედი თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში ძალადობას უწოდებს: **"ჩვენ არ დაგვიწყია არაფერი, არაფრის გაყიდვის საკითხი არ დაგვიყენებია. გამგეობის სხდომა, ფაქტობრივად, ჩაშალეს. ეს იყო ძალადობა. მანანა ღურჭუმელიძე ჩვენი წევრი არც არის. მან "მარშრუტკით" მოიყვანა ხალხი. ხომ ჩანს აქედანაც, რომ ეს იყო პროფკავშირებზე ზეწოლა?"**

მას შემდეგ, რაც ირაკლი ტუღუშმა სხდომა დატოვა და დარბაზში დარჩენილებმა ხელახალი რეგისტრაცია გაიარეს, მოვლენებმა შრომის სასახლეში გადაინაცვლა. ირაკლი ტუღუშს კაბინეტის კარი დაუკეტეს და პროფკავშირების რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. **"ჩვენ ბეწვის ხიდზე გავდივართ, მაგრამ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს,** - ამბობს მომსახურების სფეროს მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი, - **ირაკლი ტუღუში პროფკავშირების გუშინდელი დღეა, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მშრომელებს ნამდვილი, მოქმედი პროფკავშირები ესაჭიროება, პროფკავშირები, რომელიც რეალურად დაიცავს მოსახლეობის შრომით უფლებებს, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, ბევრი ქვეყნის პროფკავშირის საქმიანობას გავცნობივარ, დამერწმუნეთ, ასეთი უსუსური არც ერთი არ არის."**

ამ ერთი კვირის წინათ, ბრიუსელში, პროფკავშირების კონფედერაციის შეკრებაზე საქართველოს საკითხი მეტად საინტერესო ასპექტში განიხილებოდა. ირაკლი ტუღუშის მორიგი საჩივრის მიხედვით, ახალი ხელისუფლება ირაკლი ტუღუშს იმიტომ დევნის, რომ იგი ქართველი მშრომელების ინტერესებს იცავს და ამ დევნის დადასტურება მისი მოადგილის, ლაშა ჭიჭინაძის დაპატიმრებაა. მსგავსი განცხადებები, ალბათ 6-7 ივნისს ჟენევაშიც გაიჟღერებს, სადაც გაერთიანების თავმჯდომარე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მიდის. ჟენევაში გამგზავრებას ირაკლი პეტრიაშვილიც აპირებს. **"წავალ იმისთვის, რომ ნიღაბი ავხადო ტუღუშის ვითომდა პრობლემებს და საერთაშორისო საზოგადოებას იმ რევოლუციის შესახებ ვამცნო, რომელიც გუშინ საქართველოს პროფკავშირებში მოხდა,"** - აცხადებს იგი.

**"იქამდე არ გადავდგები, ვიდრე ვარდებს არ მომიტან,"** - ასეთი იყო ირაკლი ტუღუშის პასუხი.

# გლობალურ ეკოლოგიური პრობლემები და მათთან ბრძოლის გზები

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან კაცობრიობა გლობალური გარემოს უპრეცედენტო ცვლილების პერიოდში შევიდა. ადამიანის საქმიანობამ უკიდურესად შეცვალა და დააზიანა კაცობრიობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სისტემები, როგორიცაა ბიოსფერო და მისი შემადგენელი ნაწილები - ატმოსფერო, ჰიდროსფერო და ლითოსფერო. ამ სისტემებზე ზემოქმედების შედეგები - ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება, კლიმატის ცვლილება, ოკეანეების და სხვა საერთაშორისო წყალსატევების, ტყის რესურსებისა და ნიადაგის დეგრადაცია საფრთხეს უქმნის როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობების არა მხოლოდ კეთილდღეობას, არამედ თვით არსებობასაც კი. გლობალური გარემოს შენარჩუნება და, სადაც ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია, აღდგენა, დღეს საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნული პრობლემები გლობალური ხასიათისაა და არც ერთ ცალკეულ ქვეყანას, რაოდენ მდიდარი და ძლიერიც არ უნდა იყოს ის, არ ძალუძს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს მათ. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა გლობალურად შეთანხმებული საერთაშორისო, რეგიონული და ლოკალური მასშტაბის ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ამის გათვალისწინებით, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიოს ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა და ამოქმედდა რიგი საერთაშორისო შეთანხმებები - კონვენციები, რომლებიც მიზნად ისახავენ დედამიწაზე გლობალური ეკოლოგიური დეგრადაციის პროცესების შეჩერებას და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობას. ეს შეთანხმებები განსაზღვრავენ სამომავლო მიზნებს და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელ ქმედებებს, რომლებიც სავალდებულოა კონვენციების მხარე ქვეყნებისათვის. ამ კონვენციათა შორის ყველაზე მასშტაბურია სამი კონვენცია: "გაეროს კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ" (დღეისათვის მასში მონაწილეობს 189 ქვეყანა), "კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ" (მონაწილეობს 188 ქვეყანა) და "გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია" (მონაწილეობს 191 ქვეყანა). ამ კონვენციებს სხვაგვარად "რიოს კონვენციებს" უწოდებენ, რაც იმასთან არის დაკავშირებული, რომ პირველი ორი მათგანი 1992 წელს რიო დე ჟანეიროში (ბრაზილია) გამართულ გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე იქნა ხელმოწერილი ქვეყნების მიერ. ამავე შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მომზადებულიყო "გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია", რომელიც მიღებულ იქნა 1994 წელს პარიზში (საფრანგეთი). საქართველო ამ კონვენციებს 1994 და 1997 წლებში შეუერთდა, რითაც იკისრა ვალდებულება, განახორციელოს კონვენციების ცალკეული მოთხოვნები ქვეყანაში და ითანამშრომლოს საერთაშორისო საზოგადოებასთან ამ საკითხებზე.

კონვენიცები მონაწილე ქვეყნებისაგან მოითხოვს განახორციელონ შემდეგი ქმედებები:

შეიმუშაონ ბიომრავალფეროვნების დაცვის და მდგრადი გამოყენების, კლიმატის ცვლილების და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამები;

- მოახდინონ კონვენციების მოთხოვნების გათვალისწინება და ინტეგრაცია ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარების გეგმებში;

რეგულარულად მოამზადონ ანგარიშები კონვენციის სამდოვნოებისათვის, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ქვეყნების მიერ კონვენციის რეალიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ;

- ხელი შეუწყონ საზოგადოების მონაწილეობას დაგეგმვის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

ხელი შეუწყონ განათლებას და მეცნიერების განვითარებას გარემოს დაცვის სფეროში;

- ითანამშრომლონ სხვა ქვეყნებთან გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების შემუშავების და გადაცემის საკითხებში; და ა.შ.

2003 წელს გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (Global Environmental Facility) დაფინანსებით საქართველოში დაიწყო პროექტი "გლობალური გარემოს დაცვის თვალსაზრისით საქართველოს შესაძლებლობების შეფასება", რომელიც მიზნად ისახავს "რიოს კონვენციების" განხორციელებისათვის საქართველოში არსებული ფინანსური, ტექნიკური, ინსტიტუციონალური და ადამიანური რესურსების და შესაძლებლობების შეფასებას, ასევე ამ შესაძლებლობების განსავითარებლად შესაბამისი სტრატეგიის და პროგრამის შემუშავებას. პროექტს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) ერთად.

პროექტი ითვალისწინებს კონსულტაციების საფუძველზე პრიორიტეტებისა და საჭიროებების განსაზღვრას გლობალური გარემოს დაცვის თვალსაზრისით ქვეყნის შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროექტში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა დაინტერესებული ორგანიზაციები, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეებზე.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა გამოკვლევამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, რაც ხელს უშლის საქართველოში გლობალური გარემოს დაცვას და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციების ეფექტურ რეალიზაციას, არის საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე ამ საკითხებთან დაკავშირებით. ცოდნა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების, მათი მიზეზების, შედეგების, პოტენციური რისკების და მათთან ბრძოლის გზების შესახებ დაბალია, როგორც სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე, ასვე მთლიანად საზოგადოებაში. სწორედ ამ საკითხების შესახებ ქვეყანაში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა წიგნი "გლობალური გარემოს დაცვა: ეკოლოგიური პრობლემები, საერთაშორისო მექანიზმები, ორგანიზაციები".

წიგნი ეყრდნობა გაეროს განვითარების პროგრამის ევროპისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის რეგიონული ბიუროს პუბლიკაციას *Environmental Governance Sourcebook: Challenges, Laws, Instruments, Institutions (2003)*[1]. გამოცემის მიზანია ფართო საზოგადოებას და გადაწყეტილების მიმღებ პირებს გააცნოს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც დგას დღევანდელი კაცობრიობის წინაშე; საერთაშორისო მექანიზმები - კონვენციები, რომლებიც მიმართულია ამ პრობლემების გადაჭრისაკენ და საქართველოს მიერ ამ კონვენციების ფარგლებში აღებული ვალდებულებები. წიგნში წარმოდგენილია ასევე ინფორმაცია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დახმარებას უწევენ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად გამიზნული ღონისძიებების განხორციელებაში.

დაინტერესებულმა მკითხველა წიგნი უფასოდ შეიძლება მიიღოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. ხოლო მისი ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია პროექტის ვებ გვერდზე www.ncsa.ge ქვესათაურით "პუბლიკაციები". ვფიქრობთ, წიგნი საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის, ის მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შესახებ ქართველი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და ამ პრობლემების გადასაჭრელად განსახორციელებელ ქმედებებში ფართო საზოგადოების მონაწილეობას.

ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ მკითხველი მოგვაწვდის შენიშვნებს და წინადადებებს პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რათა ისინი გავითვალისწინოთ წიგნის შემდგომ გამოცემაში. ამასთანავე, გვინდა მკითხველს ვაცნობოთ, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაინტერესებულია მიიღოს კონკრეტული წინადადებები გლობალური გარემოს დაცვასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამღლების მიზნით საქართველოში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

მალხაზ ადეიშვილი
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
პროექტების კოორდინაციის და მომზადების სამმართველოს უფროსი




[1] *Environmental Governance Sourcebook: Challenges, Laws, Instruments, Institutions*. UNDP Regional Bureau for Europe and the Commonwealth of Independent States, Bratislava, Slovak Republic, 2003.

# ლიბანის ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს

*ლიბანის გაზეთ "ან-ნაჰარის" ცნობილი მიმომხილველის სამირ კასირის მკვლელობას ოპოზიციონერთა ქუჩაში გამოსვლა და საპროტესტო აქციები მოჰყვა. ოპოზიციონერები პროსირიული ორიენტაციის პრეზიდენტის ემილ ლაჰუდის გადადგომას მოითხოვენ, რაც, მათივე თქმით, "თავისუფალი, დემოკრატიული და სუვერენული ლიბანის შექმნის" ერთადერთი გზაა.*

ბეირუთის ქრისტიანულ რაიონში ხუთშაბათს ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობის ფაქტმა ოპოზიციურ წრეებში აღშფოთება გამოიწვია. ლიდერებმა პარასკევი გლოვის დღედ გამოაცხადეს, ქვეყნის ყველა ოპოზიციურ ძალას კი გაერთიანებისკენ მოუწოდეს.

**"ოპოზიციამ, ამ საზარელი დანაშაულის საპასუხოდ, პრეზიდენტის გადადგომა უნდა მოითხოვოს. ემილ ლაჰუდმა და ლიბანისა და სირიის სადაზვერვო სამსახურებმა თავისუფალი პრესის სიმბოლო მოკლეს,"** - განაცხადა ლიბანის მემარცხენე დემოკრატიული მოძრაობის მაღალჩინოსანმა ელიას ატალაჰმა ტელეკომპანია "ალ არაბიანსთან" საუბრისას, ბეირუთის ერთ-ერთ სასტუმროში ოპოზიციის შეხვედრის შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა დაგმო თავდასხმის ფაქტი და ლიბანის მთავრობას ობიექტური გამოძიების ჩატარება მოსთხოვა.

საერთაშორისო გამოძიების დაუყოვნებლივ ჩატარებას ითხოვს გარდაცვლილი ჟურნალისტის მეუღლეც. მას ამ პროცესში საფრანგეთის მთავრობის ჩართვა სურს, რამდენადაც კასირს ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა - ლიბანის და საფრანგეთის.

ოპოზიციის ლიდერებმა ლიბანის უშიშროების სამსახურებს მკვლელობაში მონაწილეობაში დასდეს ბრალი და მათ, ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, კასირის დაკრძალვაზე დასწრება არ ურჩიეს.



*ლიბანელი ჟურნალისტის მკვლელობას ოპოზიციონერთა საპროტესტო აქციები მოჰყვა.*

"ან-ნაჰარის" მთავარი რედაქტორი ჯიბრან ტრუენი აფეთქების მოწყობაში სირიას ადანაშაულებს და აცხადებს: **"სირიელები ყოველთვის ცდილობდნენ ლიბანში თავისუფალი სიტყვის ჩახშობას, თავისუფალი ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის ლიკვიდირებას. ის, რაც დღეს ხდება, ამ რეჟიმის პოლიტიკის გაგრძელებაა."**

კასირმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა, რომ მას დაზვერვის სამსახურები უთვალთვალებდნენ. უკანასკნელ საგაზეთო წერილში მან მწვავედ გააკრიტიკა სირიის მმართველი "ბაასის" პარტია ოპოზიციური აზრის იგნორირებისთვის. ამ ყველაფრის მიუხედავად, არ არსებობს პირდაპირი სამხილი, რომელიც ჟურნალისტის მკვლელობაში სირიის მონაწილეობას ადასტურებს.

ბრალდებები კი კვლავაც გრძელდება, თუმცა ლიბანისა და სირიის მთავრობები ამ საქმეში თანამონაწილეობას კატეგორიულად უარყოფენ.

*24 საათი*

# თურქეთი ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება

ნიკა თარაშვილი

საფრანგეთისა და ჰოლანდიის რეფერენდუმების უარყოფითი შედეგების შემდეგ ბევრი მკვლევარი ევროკავშირის მომავალმა სერიოზულად ჩააფიქრა. დღეს ყველაზე ოპტიმისტებიც კი ერიდებიან პროგნოზების გაკეთებას ერთიანი ევროპის ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით; მით უმეტეს, ძნელია წინასწარმეტყველება ახალი წევრების მიღების პერსპექტივაზე. ცხადია, ფრანგებისა და ჰოლანდიელების უარს ყველაზე მტკივნეულად ის ქვეყნები განიცდიან, ვინც მოუთმენლად ელის ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ ევროკავშირში ახალი წევრების მიღება კარგა ხნით შეუძლებელი იქნება. ის კანდიდატებიც კი, რომელთა გაწევრიანების პროცედურა დაწყებულია (ასეთი ორია - ბულგარეთი და რუმინეთი. ეს ქვეყნები 2007 წლის 1 იანვარს უნდა შესულიყვნენ გაერთიანებაში), შიშობენ, რომ პროცესი დაგეგმილზე გაცილებით დიდხანს გასტანს; ხოლო მათ, ვინც კანდიდატებად ითვლებიან (თურქეთი), მაგრამ ჯერ მოლაპარაკებები არ დაუწყიათ, ბუნებრივია, გაცილებით მეტი საფიქრალი გაუჩნდებოდათ. მიუხედავად ამისა, თურქეთი აღებულ ვალდებულებებს (ჯერჯერობით) არ ღალატობს და კვლავაც ცდილობს, მიუახლოვდეს კოპენჰაგენის სტანდარტებს.

შეუძლებელია საფრანგეთის რეფერენდუმის შედეგებს საგონებელში არ ჩაეგდო "გაევროპელების" მოსურნე თურქები; მით უმეტეს, რომ არც ნიდერლანდებში დაგეგმილი რეფერენდუმის პროგნოზირება იყო რთული. მაგრამ, ანკარამ მაინც არ თქვა უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - სისხლის სამართლის ახალი კოდექსი მიიღო.

საკანონმდებლო სისტემის რეფორმის ფარგლებში 1 ივნისს ძალაში შევიდა თურქეთის სისხლის სამართლის ახალი კოდექსი. მეჯლისის (თურქეთის საკანონმდებლო ორგანო) მიერ ერთი კვირის წინ დამტკიცებულ დოკუმენტს თურქეთის პრეზიდენტმა აჰმეთ ნეჯდეთ სეზერმა სამშაბათს შუაღამის დადგომამდე მოაწერა ხელი.

უნდა ითქვას, რომ თურქეთში არც ერთ ნორმატიულ დოკუმენტს არ შეხვედრია ამდენი წინააღმდეგობა, რაც ამ კანონთა კრებულს.

კოდექსმა ძლივს მიიღო პარლამენტართა მხარდაჭერა: რაღაც ეტაპზე, ევროკავშირთან სერიოზული უთანხმოების გამო, იგი დღის წესრიგიდანაც მოხსნეს. მეორე შემთხვევაში, დოკუმენტის მიღება ჟურნალისტთა საპროტესტო აქციის გამო გადაიდო.

უფლებათადამცველებმა უკვე გამოხატეს კმაყოფილება თურქეთის ხელისუფლების მიერ კრიმინალურ სამართალში შეტანილი შესწორებების გამო, განსაკუთრებით - ქალებისა და ბავშვების წინაღმდეგ დანაშაულთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის ზოგიერთი პუნქტი ევროპული ღირებულებების მიმართ თურქეთის მუსლიმური საზოგადოების არაერთგვაროვან დამოკიდებულებასაც ცხადყოფს.

თურქების აზრით, ზოგიერთი ახალი პუნქტი მკვეთრად ეწინააღმდეგება მათ ტრადიციულ შეხედულებებს - მაგალითად, როცა ხელისუფლებამ გადაწყვიტა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის მიეკუთვნებინა ქორწინების გარეშე კავშირები, ევროკავშირის მხრიდან მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა. შედეგად, თურქებს ამ პუნქტის კოდექსიდან ამოღება მოუხდათ.

ახალი კოდექსის განხილვამ ჟურნალისტთა საპროტესტო მოძრაობაც გამოიწვია. პრესის წარმომადგენელთა აზრით, ახალი კოდექსი სიტყვის თავისუფლების შემზღუდველ პუნქტებს შეიცავდა, რის გამოც, კიდევ ერთი მუხლის ამოღება გახდა აუცილებელი.

თუმცა, ახალი კოდექსი კვლავაც ითვალისწინებს სასჯელს სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების შეურაცხყოფასა და ისეთი მასალების გამოქვეყნებაზე, რომელიც "ფუნდამენტურ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება".

მიუხედავად კომპრომისებისა, მეჯლისში ახალი კოდექსის ბედი ბოლომდე მაინც გაურკვეველი რჩებოდა.

სხვათა შორის, ოპოზიციას არც მიუცია მისთვის ხმა. ოპოზიციის დეპუტატებმა ბოიკოტი გამოუცხადეს კენჭისყრას, რადგანაც, მათი აზრით, კოდექსი შეიცავს მუხლს, რომელიც სახელმწიფოსა და რელიგიას შორის არსებულ გაყოფას უთხრის ძირს.

ასე რომ, ოფიციალური ანკარა, გაურკვევლობის მიუხედავად, თავისი წილი ვალდებულების შესრულებას მაინც ახერხებს. თუმცა, თურქეთის ისედაც ბუნდოვანი პერსპექტივა დღითი დღე კიდევ უფრო გაურკვეველი ხდება.

# ვერბალური ომი

*ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ არ დაბრუნდება მოლაპარაკების მაგიდასთან, ვიდრე შეერთებული შტატები შეურაცხმყოფელი კომენტარებისთვის ბოდიშს არ მოიხდის.*

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ ორშაბათს "სი-ენ-ენ"-თან ინტერვიუში ჩრდილოეთი კორეის ხელმძღვანელს კიმ ჩენ-ირს "მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უპასუხისმგებლო ლიდერი" უწოდა, რომელიც საკუთარ ხალხს აშიმშილებს და "პოლიციურ სახელმწიფოს" ხელმძღვანელობს. ჩეინიმ, ასევე, შეშფოთება გამოთქვა კიმ ჩენ ირის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობასთან დაკავშირებით: "მას მსოფლიოში ყველაზე მილიტარისტული მისწრაფებები აქვს. მისი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უკიდურეს სიღარიბესა და შიმშილს იტანს. მას კი საკუთარი ხალხის ბედი ოდნავადაც არ აღელვებს. ნათელია, რომ მას სურს, გავლენა გაზარდოს და ბირთვული სახელმწიფო გახდეს.

საპასუხოდ, ხუთშაბათს კორეის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს (KCNA) ცნობით, ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ ჩეინი "სძულთ, როგორც ყველაზე სასტიკი ურჩხული და სისხლისმსმელი მხეცი".

ორი ქვეყანა, უკვე დიდი ხანია, ერთმანეთთან "ვერბალურ ომს" აწარმოებს. ამიტომაც, ამ უკანასკნელ კომენტარებში ჩეინის საუბრის ტონალობა უჩვეულო არ ყოფილა.

ჯონ ბოლტონმა, რომელიც ამჟამად ჯორჯ ბუშის მიერ გაერო-შია ელჩად წარდგენილი, 2003 წელს ქვეყნის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნისას კორეელ კომუნისტთა წინამძღოლს "დესპოტი დიქტატორი" უწოდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა კი კომუნისტური სახელმწიფო - "ტირანიად", თავად კიმი კი "საშიშ პიროვნებად" მონათლა.

KCNA-ის თანახმად, ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ ბირთვულ განიარაღებაზე საუბარს კვლავაც გააგრძელებდა, თუ აშშ-ს ოფიციალური წარმომადგენლები თავიანთ სიტყვებს უკან წაიღებდნენ და ბოდიშსაც მოიხდიდნენ.

ადრე რაისმა კომენტარებისთვის ბოდიშის მოხდაზე უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ მან მხოლოდ "სიმართლე" თქვა.

დაწყებიდან ორწელიწადნახევრის შემდეგ კორეის ნახევარკუნძულის ბირთვულ პრობლემებთან დაკავშირებული ექვსმხრივი მოლაპარაკებები (აშშ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, რუსეთი, ჩინეთი და იაპონია), ფაქტობრივად, ჩიხში შევიდა. ოფიციალურად, ფხენიანი უარყოფს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობას. თუმცა, რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ცნობა, რომ კორეელ დიქტატორს უკვე აქვს ატომური იარაღის შქმნისთვის საჭირო ყველა საშუალება.

*სი-ენ-ენი*

ჩვენი მსოფლმხედველობით შექმენით თქვენი მომავალი.



ATHENS UNIVERSITY OF ECONOMICS & BUSINESS
(AUEB)
MBA International Program

ათენის ბიზნესისა და ეკონომიკის მოწინავე უნივერსიტეტი გთავაზობთ საერთაშორისო MBA (მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირებაში) პროგრამას.

ეს ნოვატორული და წარმატებული MBA-ს პროგრამა (მხოლოდ ინგლისურენოვანი) დიდი შანსია იმ სტუდენტებისა და ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან ლიდერობის თვისებებით და ცოდნის მაღალი აკადემიურობით; მათთვის, ვინც ეძებს საკუთარი თავის განვითარებისა და საერთაშორისო კარიერის გაკეთების შესაძლებლობას.

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს პრესტიჟული უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხის დიპლომი, CV (curriculum vitae), ორი სარეკომენდაციო წერილი და ჩვენს ვებ-გვერდზე მოთავსებული შევსებული აპლიკაციის ფორმა (www.i-mba.aueb.gr). ამასთან საჭიროა ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

სავალდებულოა მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება.

MBA საერთაშორისო პროგრამის წარმომადგენლების ნახვა შეიძლება "თბილისი მერიოთში", 6-დან 8 ივნისის ჩათვლით.
პერსონალურ გასაუბრებაზე სურვილის შემთხვევაში გამოგვიგზავნეთ მოთხოვნა შემდეგ ინტერნეტ მისამართზე:
i-mba@aueb.gr

აპლიკაციის ფორმის გადმოწერა შესაძლებელია ჩვენი ვებ-გვერდიდან

www.i-mba.aueb.gr

აპლიკაციის წარდგენის ბოლო ვადა : 20 ივნისი

# ხელისუფლება მსხვილ სამრეწველო ობიექტებს იაფად ყიდის

კონსერვატორები პრივატიზების პროცესში მსხვილი სამრეწველო ობიექტების შეფასებისას საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას ითხოვენ.

გუშინ მათი ინიციატივით უძრავი ქონების შეფასებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხებზე გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომლის მონაწილეების თქმითაც, მსხვილი სამრეწველო ობიექტების პრივატიზება არაკომპეტენტურად და ქონების რეალური ღირებულების შეფასების გარეშე ხდება, რაც ქვეყანას დიდ ზარალს აყენებს.

უძრავი ქონების შეფასების კავკასიის აკადემიის ექსპერტის გია თვალავაძის განცხადებით, ჭიათურმანგანუმის მსგავსი საწარმო უკრაინაში 800 მილიონ დოლარად გაიყიდა, მაშინ, როცა ჭიათურმანგანუმის პრივატიზებაში სახელმწიფომ მხოლოდ 132 მილიონი დოლარი მიიღო.

დეპუტატ კახა კუკავას განცხადებით, ისინი საშემოდგომო სესიაზე ხელახალ ინიცირებას გაუკეთებენ პარლამენტში 2002 წელს შესულ შემფასებლობითი საქმიანობის შესახებ კანონს, რომლის განხილვა პარლამენტში თავის დროზე არ მოხდა.

მისივე თქმით, ეს იქნება პირველი შეთხვევა, როდესაც ისინი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ვანო მერაბიშვილის ინიციატივას დაუჭერენ მხარს.

"ჩვენ მერაბიშვილის ბევრი საინტერესო ინიციატივა აღმოვაჩინეთ, მათ შორისაა ანტიდემპინგური კანონიც. სხვათა შორის, იგი პარლამენტში ყოფნისას გაცილებით ნაყოფიერად მუშაობდა", - განაცხადა კუკავამ.

მისი თქმით, აღნიშნული კანონის მიღება ცოტა დაგვიანებულიცაა, თუმცა იგი მომავალში ხელისუფლებას ხელს შეუშლის ობიექტების "შავ და თეთრ" ფასებად გაყიდვაში.

დეპუტატის განცხადებით, დღეისათვის ობიექტები გაცილებით მეტ ფასებად იყიდება, ვიდრე ბიუჯეტში ფიქსირდება, განსხვავება კი მთავრობის წევრების ოფშორულ ანგარიშებზე ირიცხება.

*მედიანიუსი*

# ბორჯომი ინდივიდუალურად გამრიცხველიანდება

*საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ქალაქ ბორჯომის მოსახლეობას ზამთარში, წინა წლებთან შედარებით, უკეთეს ელექტრომომარაგებას ჰპირდება. ამის გარანტი გუშინ, ბორჯომში ენერგოკომპანიის გენერალურ დირექტორსა და ბორჯომის გამგებელს შორის დადებული ხელშეკრულება უნდა გახდეს, რომლის მიხედვითაც ბორჯომის გამგეობამ ქალაქში ინდივიდუალური ელექტრომრიცხველების დასამონტაჟებლად 600 ათასი ლარი გამოყო.*

დიანა ჩაჩუა

ერთ თვეში ქალაქ ბორჯომში აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი დაიწყება. ქალაქ ბორჯომის ინდივიდუალური გამრიცხველიანებისთვის საჭირო თანხას - 600 ათას ლარს, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალურ დირექტორ დინ უაითსა და ბორჯომის გამგებელს გია ტალახაძეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქალაქის ბიუჯეტი დაფარავს.

**"მე მივესალმები გამგეობის მხრიდან მსგავს ღონისძიებას. ბორჯომის გამრიცხველიანება კიდევ უფრო გააუმჯობესებს მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვიანობას, ასევე კიდევ უფრო გაიზრდება თანხის ამოღებაც,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბორჯომის გამგეობამ გამრიცხველიანებისათვის 600 ათასი ლარის გამოყოფით ენერგოკომპანიის წინაშე არსებული ძველი დავალიანება გაისტუმრა, რომელიც მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო დაგროვდა.

ხელშეკრულების მიხედვით, ბორჯომში ინდივიდუალური მრიცხველი 5 ათას აბონენტს დაუმონტაჟდება, თითოეული მრიცხველის დამონტაჟება ენერგოკომპანიას 110 ლარი დაუჯდება.

ბორჯომის გამგეობის მხრიდან ენერგოკომპანიასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნის დასადასტურებლად გამგებელმა გია ტალახაძემ 200 ათასი ლარის ოდენობის პირველი გადარიცხვა ხელშეკრულების დადების შემდეგ განახორციელა.



*დინ უაითი: "ბორჯომის გამრიცხველიანება კიდევ უფრო გააუმჯობესებს მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვიანობას".*

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია გამრიცხველიანების სამუშაოებს ქალაქ ბორჯომში, რომლის ნახევარზე მეტი ამჟამადაც ჩაბნელებულია, 4-5 თვის ვადაში დაასრულებს.

საინტერესო ფაქტი: საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია არ გამორიცხავს, რომ მომავალ ზამთარს ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულ ბორჯომს ელექტროენერგია სომხეთიდან მიეწოდოს. დინ უაითმა ხაზი გაუსვა, რომ სომხეთიდან ელექტრომომარაგება შედარებით სტაბილურია, ამიტომ ბორჯომს გაცილებით უკეთესი ზამთარი ელოდება.

# მეტალურგიული კომბინატი ვალების გარეშე იყიდება

## ვინ გაისტუმრებს კომბინატის 130 მილიონიან დავალიანებას?

*"რუსთავის მეტალურგიული კომბინატი" გასაყიდად გამოტანილ ობიექტებს შორის ჯერჯერობით ის ერთადერთი სახელმწიფო საწარმოა, რომელსაც ყველაზე მძიმე ვალდებულებები გააჩნია, თუმცა, როგორც გუშინ გაირკვა, კომბინატის ახალ მესაკუთრეს ამ ვალდებულებების გასტუმრება აღარ მოუწევს. უკვე გადაწყვეტილია, რომ საბიუჯეტო, საგადასახადო, კრედიტორული თუ სხვა სახის დავალიანებების დაფარვა, კომბინატის პრივატიზაციიდან შემოსული თანხებით მოხდება.*

ეთერ მამულაშვილი

როდესაც დიდი პრივატიზაციის დაწყების შესახებ ყოფილმა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ საზოგადოებას საჯაროდ აუწყა და ამაზე გრანდიოზული პრესკონფერენციაც მოაწყო, განაცხადა, რომ ყველა სახელმწიფო საწარმო იმ ვალდებულებებთან ერთად იყიდებოდა, რაც მისი გაყიდვის დროს დაფიქსირდებოდა. ბუნებრივია, ამ სახელმწიფო საწარმოებში მეტალურგიული კომბინატიც იგულისხმებოდა და ის, ერთი შეხედვით, გამონაკლისი ვერ იქნებოდა.

ამ განცხადებებიდან რამდენიმე თვის თავზე ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეტალურგიული კომბინატის ახალი მესაკუთრე ბოლო თეთრამდე თავისუფლი იქნება ამ საწარმოს მიერ დაგროვილი ყველა დავალიანებისგან.

საწარმოში არსებული სურათი მართლაც ძალიან მძიმეა: სახელმწიფო საწარმოებს შორის სს "რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს" დღეისთვის ყველაზე მეტი საბიუჯეტო დავალიანება დაუგროვდა. უკანასკნელი მონაცემებით, ეს ციფრი 117 მილიონ ლარამდე აღწევს. კომბინატს რამდენიმე მხვილი კრედიტორი ჰყავს. მათ შორის არიან "იტერა" და "გაზპრომი". ამ უკანასკნელის მიმართ მეტალურგიული კომბინატის დავალიანება 10 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. კრედიტორებს შორის არიან ყაზახური კომპანიებიც. სხვადასხვა სოციალური ვალდებულებების სახით (მათ შორის პენსიების და ხელფასების), კომბინატს რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დაუგროვდა. სულ ამ საწარმოს კრედოტორული დავლიანება, დღევანდელი მდგომარეობით, 130 მილიონ აშშ დოლარს აღწევს. სხვათაშორის, კომბინატს 10 მილიონ ლარზე ოდნავ ნაკლები დებიტორული დავალიანებაც გააჩნია, რომლის ამოღების პერსპექტივა ჯერჯერობით გაურკვეველია.

დღეს მეტალურგიულ კომბინატს 700-მდე მუშა-მოსამსახურე ჰყავს, რომელთა საშუალო თვიური ანაზღაურება 200-300 ლარამდეა. წინა წლების მსგავსად, გასული წელიც კომბინატმა ზარალით დაასრულა, მოცულობამ 13 მილიონ ლარს გადააჭარბა. იმ მიზეზით, რომ კომბინატი უკანასკნელი წლების განმავლობაში ზარალიანია, ის ბიუჯეტში სახელმწიფოს კუთვნილ დივიდენდებს არ რიცხავდა.

მეტალურგიული ქარხანა 5 მილიონი კვადრატული მეტრის ფართობზეა განლაგებული და მისი საწესდებო კაპიტალი 125 მილიონ აშშ დოლარს აღწევს

"აზიის გლობალური შესაძლებლობის ფონდი" (Asian Global Opportunity Fund) - ჰონგ-კონგი, შპს "გლობალ "ტელჰოლდინგი" (Global Steel Holdings LTD) - დუბაი, კორპორაცია "ინდუსტრიალნი სოიუზ დონბასა" (Индустриальный Союз Донбаса) - უკრაინა, "მეტალჯეო" (Metal Geo) - იტალია, "ესარ გრუპი" (Essar Group) - ინდოეთი - ვინ შეიძლება გახდეს ამ ხუთი კომპანიიდან სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" ახალი მესაკუთრე, დღეს რთული სათქმელია. მით უმეტეს მაშინ, როცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში თითოეული კომპანიის მიერ შემოთავაზებული წინადადებების შინაარსს მკაცრად ასაიდუმლოებენ. განაცხადების კონფიდენციალურობას სამინისტროში თავად კომპანიების მოთხოვნით ასაბუთებენ.

ვინ რამდენს იხდის კომბინატში და რა მოცულობის ინვესტიციების დაბანდებას აპირებს თითოეული კომპანია? - ჯერჯერობით ამ კითხვებზე პასუხისგან სამინისტროში თავს იკავებენ, თუმცა 30 მილიონი აშშ დოლარი ის მინიმუმია, რასაც ამ საწარმოს პრივტიზაციიდან ელიან.

ნებისმიერ შემთხვევაში კომბინატის პრივატიზაციიდან შემოსული თანხით, როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია ამბობს, პირველ რიგში კომბინატის მიერ დაგროვილი სოციალური და ბიუჯეტის მიმართ წარმოშობილი ვალდებულებები დაიფარება.

ჰონგ-კონგურ, იტალიურ, ინდურ, დუბაისა და უკრაინულ კომპანიებს შორის საბოლოო არჩევანს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დაახლოებით მომდევნო ორი თვის განმავლობაში გააკეთებს. ძირითადი კრიტერიუმები, რის საფუძველზეც ამ ხუთ კომპანიას შორის ერთი გამარჯვებულად დასახელდება, კახა დამენიას თქმით, შემოთავაზებული ფასი, პირობები და საინვესტიციო წინადადებები იქნება.

სხვათაშორის, რუსთავის მეტალურგიული კომბინატით ამ ორიოდე თვის წინათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინდური მეტალურგიული კომპანია "ლაკში მიტალი" დაინტერესდა, თუმცა, საბოლოოდ, მან განაცხადის შეტანა, რატომღაც, გადაიფიქრა.

კორპორაცია განვითარების ალტერნატივები (DAI) ეძებს შესაბამის კანდიდატურებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამხრეთ კავკასიაში წყლის რესურსების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის მომავალი პროგრამისათვის. აუცილებელია, თითოეულ კანდიდატს ჰქონდეს 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აგრეთვე სასურველია არასამთავრობო ორგანიზაციების მართვისა და განვითარების გამოცდილებაც, ისევე როგორც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) და/ან სხვა დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

1. საქართველოს პროექტის დირექტორი: ხარისხი გარემოს დაცვის, საინჟინრო, ეკონომიკის, წყლის რესურსების მართვის, პოლიტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში. აუცილებელია ინგლისური ენის ზედმიწევნით ცოდნა.
2. ჰიდროლოგი: ხარისხი საინჟინრო, ჰიდროლოგიის ან სხვა შესაბამის სფეროში. სასურველია გამოცდილება მდინარის აუზის დაგეგმვის განხრით.
3. სოციოლოგი: ხარისხი ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში. სასურველია გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარების განხრით.

გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) და თანდართული წერილი (cover letter) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: sctb@dai.com

**3 ივნისს "24 საათში" გამოქვეყნებულ სსიფ-ის სატენდერო განცხადებებში გაიპარა ტექნიკური უზუსტობა. შესწორებულ ვარიანტს გთავაზობთ დღევანდელ ნომერში.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ჩოხატაურის რაიონის, სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ხიდისთავის სათემო კავშირთან "გუბაზი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"გუბაზი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჩოხატაურის რაიონი,**
**სოფელ ხიდისთავის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი მურმან დუმბაძე, სათემო კავშირი "გუბაზი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 6 ივნისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 100** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჩოხატაურის რაიონი,**
**სოფელ ხიდისთავის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი მურმან დუმბაძე, სათემო კავშირი "გუბაზი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 5 ივლისის 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ონის რაიონის სოფ. შქმერის თემის ცენტრის შენობის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ შქმერის სათემო კავშირთან "შქმერი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "შქმერი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ონის რაიონი,**
**სოფელ შქმერის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი დალი ჯოხაძე, სათემო კავშირი "შქმერი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **4 ივნისიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ონის რაიონი**
**სოფელ შქმერის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი დალი ჯოხაძე, სათემო კავშირი "შქმერი" თავმჯდომარე**

**2005 წლის 5 ივლისი 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ორბელის სათემო კავშირთან "ორბელი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ორბელი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ცაგერის რაიონი,**
**სოფელ ორბელის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი იზა ბურჯალიანი, სათემო კავშირი "ორბელი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 6 ივნისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ცაგერის რაიონი,**
**სოფელ ორბელი, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი იზა ბურჯალიანი, სათემო კავშირი "ორბელი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 6 ივლისი 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79, ფაქსი: (995 32) 23 01 03

# არასამთავრობო სექტორი და ბიზნესი თანამშრომლობის მემორანდუმს აფორმებენ

მარიამ ჭაჭვაძე

არასამთავრობო სექტორი და ბიზნესი ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად და ამ სფეროში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად თანამშრომლობას იწყებენ.

ამ მიზნით "საქართველოს ბიზნესფედერაციის", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" და "სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" წარმომადგენლებმა გუშინ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის მთავარი მიზანი, როგორც ეს ხელმომწერებმა აღნიშნეს, თანამშრომლობის ფორმატისა და ძირითადი პრინციპების განსაზღვრაა. ამავე პროექტის ფარგლებში მოხდება ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, რომლის დროსაც ექსპერტები გაკეთებენ სათანადო დასკვნებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომელიც შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს წარედგინებათ.

მემორანდუმის ხელმომწერი ორგანიზაციები აღიარებენ, რომ ხელისუფლება გატარებული პოლიტიკით ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას აფერხებს. ამიტომ ისინი საკუთარ საზოგადოებრივ მოვალეობად მიიჩნევენ, მთავრობასთან თანამშრომლობით, შეეწინააღმდეგონ ბიზნესის განვითარებისთვის ხელის შემშლელი რეფორმების განხორციელებას და ვალდებულებას იღებენ, ყველა სადავო საკითხზე კონსულტაციები და შეხვედრები გამართონ.

**"ფედერაციის სახელით ვადასტურებ, რომ ჩვენთვის დიდი პატივია, ვიყოთ კოალიციაში, რომელიც აქტიურად აპირებს ამოქმედებას,"** - განაცხადა ბიზნესფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ.

ხოლო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის ანა დოლიძის განცხადებით, მათი მიზანია კოალიციაში შემავალ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ ქართული ბიზნესის თავისუფლება.

**"ჩვენს ორგანიზაციას მიაჩნია, რომ საქართველოში უნდა არსებობდეს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და სახელმწიფო ნაკლებად ერეოდეს მის საქმიანობაში. ჩვენი მიზანია, ამ კოალიციაში შემავალ ორგანიზაციებთან ერთად, ვიზრუნოთ ბიზნესის თავისუფლებაზე,"** - განაცხადა მან.

არასამთავრობო და ბიზნესსექტორების წარმომადგენლები გუშინ ერთობლივი სოციალური კამპანიების ჩატარების ინიციატივითაც გამოვიდნენ.

გუშინდელ შეხვედრაზე ლიცენზირების სფეროში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრეს. ამ სფეროს ექსპერტმა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრმა ნიკო თევდორაშვილმა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებელი რეკომენდაციები და ცვლილებები წარმოადგინა.

გუშინდელი შეხვედრა "სამოქალაქო ინტერესების დაცვის" პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. ორგანიზატორი იყო სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. საექსპერტო მხარდაჭერას ახორციელებენ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გერმანული ავიაკომპანია "ლუფტჰანზა" მიუნხენსა და თბილისს შორის სარეისო ფრენების განხორციელებას იწყებს. როგორც საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოში აცხადებენ, 5 ივნისს კომპანიის პირველი აერობუსი მიუნხენიდან თბილისში ჩამოფრინდება, 6 ივნისს კი უკან დაბრუნდება. კომპანია მგზავრთა გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას გერმანიიდან საქართველოში და პირიქით, კვირაში სამჯერ განახორციელებს. აერობუსი მიუნხენიდან კვირას, სამშაბათს და ხუთშაბათს 22.10 სთ-ზე გამოფრინდება. თბილისიდან კი ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 3.55 სთ-ზე გაფრინდება. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი** აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია წლის ბოლომდე საქართველოს პორტ სუფსიდან დატვირთულ ხუთ ტანკერ "Azeri Light"-ის მარკის ნავთობის გაყიდვას გეგმავს. 29-30 ივლისს გაიყიდება 1 მილიონი ბარელი (135 ათასი ტონა) ნავთობი. ამ ნავთობს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის საბადოებიდან მოიპოვებს, რომელშიც ათპროცენტიან წილს ფლობს. სუფსიდან 1 მილიონი ბარელი ნავთობის გაყიდვა, აგრეთვე 26-27 სექტემბერს, 22-23 ოქტომბერს, 16-17 ნოემბერსა და 29-30 დეკემბერს არის დაგეგმილი. შემოსული თანხები აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობფონდში ირიცხება. მაისის ბოლოს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ ინგლისურ "R-Trading"-ს ნავთობის მეხუთე პარტია მიჰყიდა. ნავთობის ამ პარტიას სუფსიდან 9-10 ივნისს გაიტანენ. **მედიანიუსი**

# თაღლითური კვანძი იმერეთსა და კახეთს შორის გაუხსნელი რჩება

*მობილური კავშირგაბმულობის კომპანიების სახელით თაღლითურმა დანაშაულებმა საკმაოდ მასშტაბური სახე მიიღო. თაღლითების მახეში ამ რამდენიმე თვის წინ ქუთაისელი პენსიონერი ნანული ორაგველიძე გაება - დამნაშავეებმა მას 210 ლარის ღირებულების მონობარათები გამოსძალეს.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

**"შინ მე და ჩემი შვილიშვილი ვიყავით, როცა უცნობმა მამაკაცმა დარეკა ჩემი სახლის ტელეფონის ნომერზე და მითხრა, რომ ჩემმა ნომერმა მოიგო დიდძალი თანხა "მაგთიკომის" ლატარიაში, ოღონდ ამ თანხის მისაღებად საჭირო იყო, მეყიდა შვიდი ცალი 30-ლარიანი მონობარათი და შესაბამისი ნომრები მეკარნახა მისთვის. იმდენად აღმაფრთოვანა ამ სასიხარულო ამბავმა, რომ მთელი სამეზობლო და საახლობლო შემოვიარე, რომ მონობარათების შესაძენი თანხა მესესხსებინა. აბა, მე მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი ქალი ვარ და ფული საიდან უნდა მქონოდა",** - იხსენებს ნანული ორაგველიძე.

ეს ამბავი გასული წლის 9 ივნისს მოხდა. ნანული ორაგველიძემ ნასესხები ფულით 7 ცალი მონობარათი იყიდა და დიდი ფულის მოგების იმედით უცნობ მამაკაცს ბარათების ნომრები უკარნახა ტელეფონით. ამის შემდეგ ორაგველიძის სახლში განმეორებითი ზარი გაისმა. ამჯერად, უცნობი მამაკაცის ხმამ მისგან კიდევ ათი მონობარათის შეძენა მოითხოვა მოგებული თანხის საბოლოოდ მისაღებად. დამატებით შესაძენი მონობართებისათვის საჭირო 300 ლარის შოვნა ორაგველიძემ ველარ მოახერხა, თანაც მომხდარის თაობაზე ამასობაში მისმა შვილმაც შეიტყო, რომელიც უმალვე მიხვდა, რომ დედამისი თაღლითების მახეში გაება.

ამის შემდეგ ნანული ორაგველიძემ დასახმარებლად პოლიციას მიმართა, საიდანაც საქმე ფინანსურ პოლიციაში გაიგზავნა.

**"იქნებ გამარკვიოთ, რაში უხდის ხელფასს ხელისუფლება ფინანსური პოლიციის მესვეურებს, თუ ის ელემენტარულ დახმარებს ვერ უწევს მოქალაქეს, იღებს ხელფასს და ვერ იცავს ადამიანის უფლებებს",** - აცხადებს ნანული ორაგველიძე.

საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული დანაშულის მოკვლევას თავდაპირველად ქუთაისის ფინანსური პოლიცია აწარმოებდა. მოკვლევის შედეგად ამოღებული იქნა ის ტელეფონის ნომრები, საიდანაც ნანული ორაგველიძეს თაღლითები დაუკავშირდნენ.

**"მობილური ტელეფონის ნომერი 899 75 94 78 ეკუთვნოდა გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში მცხოვრებ მოქალაქე ვაჟა ჯამათაშვილს. შესაბამისად, ქვემდებარეობის მიხედვით, 2004 წლის 31 დეკემბერს მასალები კახეთის ფინანსურ პოლიციას გადაეგზავნა. კახეთის ფინანსური პოლიციის მიერ მოკვლეულ მასალებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ეს არის ელემენტარული თაღლითობა. ამას წინათ მეც დამირეკეს მსგავსი შეტყობინებით. მეც ვუთხარი, სად ზიხარ, მითხარი და გამოგიგზავნი-მეთქი მონობარათს. ცხადია, მაშინვე გამითიშეს ტელეფონი. საქმე ის გახლავთ, რომ ამ დანაშაულის ავტორები, ძირითადად, ციხეში სხედან, ანუ ამას ის პირები სჩადიან, რომლებიც უკვე დასჯილები არიან სხვადსხვა დანაშაულისათვის",** - აცხადებს ქუთაისის ფინანსური პოლიციის უფროსი სოსო გაბრიჩიძე "24 საათთან" საუბარში.

რაც შეეხება მეორე დამნაშავეს, მისი ვინაობა დღემდე დაუდგენელია. როგორც ქუთაისის ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, "მაგთიკომის" მიერ აღნიშნული ნომერი (899 75 94 79) არარსებულ პიროვნებაზეა გამოწერილი. იმისათვის, რომ პირი "მაგთიკომის" აბონენტი გახდეს, აუცილებელია, რომ მან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინოს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პირადობის მოწმობა ყალბია, ცხადია, პირის ვინაობის დადასტურება შეუძლებელი ხდება.

"24 საათი" დაინტერესდა, დაისაჯა თუ არა უკვე დადგენილი ნომრის მფლობელი და საკითხის გასარკვევად კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსთან ზურაბ ბეჟანიშვილთან დაკავშირება სცადა, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ რამდენიმე დღის წინ მან კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსის თანამდებობა დატოვა. მისი შემცვლელის ვინაობა კი დღემდე უცნობია. კახეთის ფინანსური პოლიციის სხვა თანამშრომლები ჩვენთან სატელეფონო საუბარში აცხადებენ, რომ აღნიშნული დანაშაულის შესახებ ინფორმაცია არა აქვთ.

ქუთაისის ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, რომ მსგავსი სახის დანაშაულები მათ უწყებაში ხშირად არ ფიქსირდება. **"ადამიანებს რცხვენიათ, რომ მოტყუებულები აღმოჩნდნენ და ამიტომ განცხადებით არ მოგვმართავენ",** - განმარტავს სოსო გაბრიჩიძე.

ნანული ორაგველიძემ კი, მართალია "სირცხვილს" გადააბიჯა და განცხადებით სამართალდამცავ უწყებებს მიმართა, მაგრამ ამ დანაშაულისთვის დღემდე არავინ დასჯილა. მოტყუებული პენსიონერი კი თაღლითებისაგან გამოძალული ნასესხები ფულის გასტუმრების გზების ძიებაშია.

# ტერორისტი ტრაგედიის ოფიციალურად გავრცელებულ ვერსიას უარყოფს

*ბესლანის ტრაგედიის მიზეზი რუსეთის სპეცრაზმის მიერ დაწყებული შტურმი იყო - აცხადებს ბესლანის ტერაქტის მონაწილეთა შორის სიკვდილს გადარჩენილი ერთადერთი ტერორისტი ნურფაშა კულაევი, რომლის სასამართლო პროცესიც უკვე ორი კვირაა ვლადიკავკაზში მიმდინარეობს.*



ტერორისტის მიერ სასამართლო პროცესზე ნაამბობის თანახმად, 3 სექტემბერს, მძევლების აყვანიდან მესამე დღეს, სპორტდარბაზში, სადაც ათასზე მეტი ბავშვი, მათი მშობლები და მასწავლებლები იმყოფებოდნენ, "პოლკოვნიკი", ტერორისტთა რაზმის ხელმძღვანელი შევარდა და იყვირა: "შტურმი დაიწყო!". მანვე აცნობა დანარჩენებს, რომ ერთ-ერთი მისი კაცი სნაიპერმა უკვე მოკლა. კულაევისვე თქმით, შტურმის დაწყებისთანავე რუსმა სნაიპერებმა შეძლეს ორი ტერორისტის მოკვლა, რომლებსაც ხელში დიდი თვითნაკეთი ნაღმები ეკავათ. სწორედ ეს გახდა 13:15 საათზე პირველი ორი მძლავრი აფეთქების მიზეზი.

კულაევის ეს ჩვენება მთლიანად უარყოფს რუსეთის ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ვერსიას, რომლის თანახმადაც, ბესლანის ისტორიის სისხლიანი დასასრულის პროვოცირება ტერორისტებმა მოახდინეს და, ამასთან - სრულიად მოულოდნელად. ცხადია, კულაევის ნაამბობში შეიძლება იყოს უზუსტობები და მის ჩვენებაში მოყვანილ ფაქტებს მოსამართლე სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აქამდეც ოფიციალური ვერსიის ცოტას თუ სჯეროდა. როგორც ცნობილია, 3 სექტემბერს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ზუსტად 13:00 საათზე, ანუ პირველ ორ აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე, მათ სკოლის შენობასთან სამი "მაშველი" გააგზავნეს, რომ სკოლის ეზოში დატოვებული გვამები გამოეტანათ. ფრანგული გაზეთი "Liberation"-ი ამ ვერსიისა და ნურფაშა კულაევის ნაამბობის შეჯერებით, ვარაუდობს, რომ სწორედ ეს შეგზავნილი "მაშველები" იყვნენ სნაიპერები, რომლებმაც შტურმისთვის ნიადაგი მოამზადეს. კულაევის აზრით კი, ამ დროისთვის სპეცრაზმელები უკვე სკოლის შენობაშიც იყვნენ შესულები.

**"ჩვენ ეზოში გამოსვლაც კი ვერ მოვასწარით, როდესაც მეორე სართულიდან მოსწავლეების მიმართულებით სროლა დაიწყო",** - განაცხადა კულაევმა. მისივე თქმით, სავარაუდოდ, ავტობუსს, რომლითაც ტერორისტები ბესლანში ჩავიდნენ, ვიღაც აცილებდა.

**"ჩვენ ვერ მოვახერხებდით დამოუკიდებლად მთელ ქალაქში მოძრაობას. გამცილებლების გარეშე ეს შეუძლებელი იქნებოდა",** - თქვა მან.

მანვე უამბო სასამართლოს, რომ მათ ჯგუფში უმეტესობა ინგუში იყო, ჩეჩნები სულ ოთხნი თუ იქნებოდნენ.

მოსამართლისა და სახელმწიფო ბრალმდებლის შეკითხვებს, რატომ ჰყვებოდა ის წინასწარი გამოძიებისას სრულიად საწინააღმდეგოს, კულაევმა უპასუხა, რომ ზეწოლას განიცდიდა.

**"მცემდნენ, როგორ არ მცემდნენ",** - უპასუხა მან ერთ-ერთ დაზარალებულ ქალს. მან ასევე განაცხადა, რომ სარდაფში, სადაც ის დაკავების შემდეგ მოათავსეს, შევიდა ორი ჩეჩენი, რომლებმაც უთხრეს, რომ ელაპარაკა ის, რასაც მისგან სამართალდამცველები ითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდნენ.

სასამართლო პროცესზე მოულოდნელი აღმოჩნდა ერთ-ერთი დაზარალებული ქალის, სუსანა დუდიევას გამოსვლა. მას სკოლაში 14 წლის ვაჟი მოუკლეს, მისი უფროსი ქალიშვილი კი დაიჭრა.

სასამართლოში ჩვენების მისაცემად გამოძახებულმა დუდიევამ ბრალმდებლის შეკითხვაზე: **"გსურთ მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა კულაევისგან?"** - უპასუხა: **"მე მინდა ჩემი მოთხოვნები წაუყენო სახელმწიფოს. მინდა განსასჯელის სკამზე ვნახო ყველა ის, ვინც დაუშვა ბესლანის ტრაგედია!"**

შემდეგ დაზარალებულმა კულაევს მიმართა:

**"ჩვენ მზად ვართ, გაპატიოთ, თუ მართალს იტყვი. ვის დავუჯეროთ: შენ თუ გამოძიებას? ჩვენ არ გვჯერა გამოძიების. დაგვეხმარე! ჩვენ ამ სკამზე შენს გარდა ბევრი სხვის ხილვა გვსურს. მოყევი ყველაფერი, რაც გაქვს მოსაყოლი. ეს იქნება ჩემი მორალური ზიანის ანაზღაურება - სიმართლის შეტყობა."**

სასამართლო და ბრალდების მხარე არ ელოდა მოვლენათა ასეთ განვითარებას, რადგან აქამდე დაზარალებულები კულაევის უმკაცრესად დასჯას ითხოვდნენ.

დუდიევას დაკითხვიდან ცოტა ხნის შემდეგ მოსამართლემ პროცესის 7 ივნისამდე გადადება გადაწყვიტა.

როგორც ცნობილია, კულაევს ბრალად ედება უმძიმესი დანაშაულების ჩადენა - ბანდიტიზმი, ტერორიზმი, მძევლების აყვანა და მკვლელობა. სასამართლოში განსახილველად გადაცემულია სისხლის სამართლის საქმის 105 ტომი, რომელშიც დაზარალებულად ცნობილია 1315 ადამიანი, ბრალდების მოწმეებად სასამართლოში წარდგება - 69. დაცვის მხარეს მოწმეთა სია არ წარუდგენია.

*24 საათი*

# კონტრაბანდულ სპირტს პოლიციის კაპიტანი და ლეიტენანტი აცილებდნენ

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ, ზნაურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთი შემოვლითი გზით "სამხრეთ ოსეთიდან" მომავალი "ზილის" მარკის სამხიდიანი, სატვირთო ავტომანქანა დააკავა. ავტომანქანა დაახლოებით 7 ტონა სპირტით იყო დატვირთული. მას პოლიციის კაპიტანი ვეფხია კაპანაძე და ლეიტენანტი მალხაზ შუბითიძე "ჯიპის" ტიპის ავტომანქანით აცილებდნენ. კანონის დამრღვევ პოლიციელებს თან ჰქონდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი მოწმობები, თუმცა დაკავებისას ირწმუნებოდნენ, რომ ამჟამად პოლიციაში აღარ მუშაობენ.

"ფინანსურ პოლიციას წინასწარ ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია აღნიშნული ავტომანქანის შესახებ და მთელი ღამის განმავლობაში თვალთვალი მიმდინარეობდა. სატვირთო ავტომანქანას გია წიბნაძე მართავდა. სამივე კანონდამრღვევი დაკავებულია. გარდა ამისა, ფინანსურ პოლიციას ინფორმაცია ჰქონდა კონტრაბანდული სპირტის მყიდველების შესახებაც. ერთ-ერთი მათგანი - გრიგოლ დიასამიძე - ტვირთს გზაზე ფულით ელოდებოდა სურამში. ჩვენ დიასამიძეც დავაკავეთ", - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

ამჟამად ყველა დაკავებული და კონტრაბანდული ტვირთი ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოშია. მიმდინარეობს საქმის გამოძიება.

*მედიანიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოტიპიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10. ... "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

# პატიმრების ჯანმრთელობა ექიმთა ჯგუფმა გამოიკვლია

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ამჟამად 250 პატიმარი იმყოფება, გუშინ იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტმა და შრომის, ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმთა ჯგუფმა პატიმრების ჯანმრთელობა გამოიკვლიეს.

კარდიოლოგებმა, ნევროლოგებმა, ონკოლოგებმა და ენდოკრინოლოგებმა გუშინ 50 პატიმარი გამოიკვლიეს.

"დღევანდელი აქცია მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პირველი იყო, თუმცა ასეთი ღონისძიებები მომავალშიც იგეგმება. ციხის საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მწირია და პატიმრებს ბევრი საჭირო გამოკვლევა ვერ უტარდებათ, ამიტომ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

დახმარება", - აცხადებს დაწესებულების დირექტორი დავით ასათიანი.

ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა ჯგუფმა პატიმრების გამოსაკვლევად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გუშინ თავად შეიტანა ექოსკოპიისა და კარდიოლოგიური გამოკვლევის აპარატები.

*24 საათი*

# მოსკოვში ძარცვაზე საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

სააგენტო "ნოვოსტის" ინფორმაციით, 2 ივნისს მოსკოვის მილიციას 53 წლის ქალბატონმა ზუკრა ხაჯიევამ მიმართა და განაცხადა, რომ ბულვარში უცნობმა პირებმა მას ლითონის საგანი ჩაარტყეს და ხელიდან გამოსტაცეს ჩანთა, რომელშიც საბუთები და 40 ათასი დოლარი იყო.

სამართალდამცავ ორგანოებზე დაყრდნობით, სააგენტო იტყობინება, რომ ძებნისას სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ბაკულევის ქუჩაზე ორი დამნაშავე დააკავეს.

დაკავებულები აღმოჩნდნენ უმუშევრები, მოსკოვში საცხოვრებელი ადგილის გარეშე მყოფი 24 წლის სანდრო გურჩიანი და 23 წლის გოჩა გურული. თვითმხილველებმა ისინი ამოიცნეს.

*მედიანიუსი*

# რესტორანი "მარენო" დალუქეს

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ აღმაშენებლის გამზირზე რესტორან "მარენოში" დარღვევები აღმოაჩინა.

"ფინანსურ პოლიციას ამ დარღვევებთან დაკავშირებით ოპერატიული ინფორმაცია ჰქონდა, რის გამოც "მარენოს" შემოწმება დაიწყო. ამ ეტაპზე "გადასახადისთვის თავის არიდების" მუხლით გათვალისწინებული დანაშაული იკვეთება.

როგორც პოლიციაში აცხადებენ, საინტერესოა ის მეთოდი, რომლის საშუალებითაც მალავდა რესტორნის ხელმძღვანელობა გადასახადს. როგორც გაირკვა, რესტორანში საკასო აპარატი მიერთებული იყო კომპიუტერზე, რომელიც სპეციალური პროგრამის მეშვეობით, ყოველ მეათე კლიენტს აფიქსირებდა, დანარჩენი ცხრა კლიენტის მიერ გადახდილი თანხა კი არსად ფიქსირდებოდა.

"მიმდინარეობს საქმის გამოძიება. რესტორანი დალუქულია, ხელმძღვანელობა დაიკითხება და მათი ბრალეულობის საკითხი დადგინდება. გატარდება კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება", - ასეთ კომენტარს აკეთებენ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში.

*მედიანიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევრები, "ვარანცოველების" დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერები, მეტსახელად "იკაჩო" - ირაკლი ასათიანი და "შაკო" - გია ჩაჩუა. როგორც შს სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, ისინი თავს დაესხნენ საბურთალოზე მდებარე ვულკანიზაციის ერთ-ერთი საამქროს მუშებს. თავდამსხმელებმა ერთი მათგანი დაჭრეს და 30 ლარი წაართვეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება **პრაიმ-ნიუსი** .

■ ■ ■

**თბილისი.** ღონისძიება "ძებნა-2005"-ის მეორე ეტაპის გატარებისას, ძებნის სამმართველოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, სომხეთის რესპუბლიკის ერევნის პოლიციის სამმართველოს შენგავატის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ქურდობისათვის მარნეულის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 44 წლის მარიანუშ დავითიანი.მზადდება მასალები დავითიანის საქართველოში ექსტრადიციისათვის. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ღონისძიება "ძებნა-2005"-ის მეორე ეტაპის გატარებისას ძებნის სამმართველოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ხაშურის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 21 წლის თემურ ხარაიშვილი. მზადდება მასალები ხარაიშვილის საქართველოში ექსტრადიციისათვის **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს თაღლითობისთვის ძებნილი, 42 წლის გიორგი ომიაძე, რომელმაც 1998 წლის ივლისის თვეში გორის გადასახვევთან შალვა და მამუკა კაპანაძეები დააყაჩაღა. ამავე ღონისძიების გატარებისას აბაშის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისათვის ძებნილი, 22 წლის მურად ჩიქობავა. დაკავებულია აგრეთვე სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისათვის ძებნილი, 22 წლის დავით ბაინდურაშვილი.

შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კი ქურდობისათვის ძებნილი, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, 25 წლის სერგო ოხანაშვილი დააკავეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებმა განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს და ერედვის შს განყოფილებების თანამშრომლებმა სოფელ ერგნეთთან დააკავეს ავტომანქანა "მერსედესი", რომლის მძღოლს, 27 წლის ბენო ხმიადაშვილს და მგზავრებს, რუსთავში მცხოვრებ, 44 წლის ნელი სახვაძეს, თბილისში მცხოვრებ, 53 წლის ნელი მიქაძეს და 31 წლის შურას ხურცილავას ცხინვალიდან გორში უსაბუთოდ გადაჰქონდათ 2000 ლარის ღირებულების 400 კილოგრამი თევზი. ტვირთი გადატანილია გორის საბაჟო ტერმინალში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებმა ჯვარში დააკავეს ავტომანქანა "ოპელ-ვექტრა", რომლის მძღოლს, ზუგდიდში მცხოვრებ 29 წლის ლაშა ქავთარაძეს სოფელ ფახულანიდან ზუგდიდში 9500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა. საქმეს წალენჯიხის შს განყოფილება იძიებს. გორის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებმა კი სოფელ ერგნეთის ბლოკ-საგუშაგოს შემოვლით გზაზე დააკავეს თამარ ქველაძე, ირმა კიკვილაშვილი და ეკა ქარელი, რომლებსაც ცხინვალიდან გორში გადაჰქონდათ 375 ლარის ღირებულების 250 კოლოფი უაქციზო სიგარეტი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იმერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ქურდობისთვის ძებნილი, 46 წლის აკაკი მიქაბაძე. ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს თანამშრომლებმა კი ქურდობისთვის ძებნილი, 22 წლის სიმონ მამედოვი დააკავეს. დააკავეს, აგრეთვე, თაღლითობისთვის ძებნილი, 38 წლის ვასილ ნარინდოშვილი. დაკავებულები არიან - მკვლელობის მცდელობისათვის ძებნილი, 42 წლის გელა ქერქაძე და გამოძალვისთვის ძებნილი, 36 წლის ელდარ ბერიძეც. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მეორე ოცეულის თანამშრომლებმა თბილისში დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს 20 წლის თენგიზ ბრეგვაძე და ქუთაისში მცხოვრები, 22 წლის გელა ცნობილაძე, რომლებმაც ზესტაფონში მცხოვრებ, 26 წლის თამუნა გაგოშიძეს ჩამოგლიჯეს ჯვარი და ცდილობდნენ მიმალვას. ჯვარი ამოღებულია. საქმეს იძიებს თბილისის ისანი-სამგორის შს განყოფილება. **მედიანიუსი**

# დიდი ენერგოპრივატიზაცია - 2005-2006

*ერთი წელია დარჩენილი იმ მომენტამდე, როცა საქართველოს სახელმწიფოს ხელში არსებული ენერგოობიექტების საკმაოდ სერიოზული ნაწილი კერძო მფლობელების ხელში გადავა. სწორედ მომავალი წლის ივნისისთვის აპირებს საქართველოს ხელისუფლება ქართული ენერგოობიექტების მყიდველების საბოლოოდ გამოვლენას. მანამდე კი, ანუ უკვე დღეს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გამოცხადებული აქვს კონკურსი ქართული ენერგოობიექტების ყიდვის მსურველების გამოსავლენად.*

თამარ ხორბალაძე

უკვე განსაზღვრულია ვადები: ინტერესთა გამოხატვის ეტაპი მომავალი წლის 1 ოქტომბერს დასრულდება და ამ პერიოდში სამინისტრო "ინტერესთა გამოხატულების" განაცხადებს მიიღებს. მეორე ეტაპზე, ანუ წლევანდელი 1 ოქტომბრიდან 2006 წლის 1 თებერვლამდე სამინისტრო პოტენციურ მყიდველებთან კონსულტაციებს გამართავს, რეალურ მყიდველთა გამოვლენა კი მხოლოდ მომავალი წლის 1 თებერვლიდან 1 ივნისამდე მოხდება.

განსაზღვრულია ის ობიექტებიც, რომელსაც სახელმწიფო ამ ერთ წელიწადში უნდა შეელიოს: ხუთი ჰესი და სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ორივე სადისტრიბუციო ენერგოგიგანტი - "აჭარის ენერგოკომპანია" და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია".

ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული ამ ობიექტების ფასი, თუმცა გარკვეული და გადაწყვეტილია, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო საპრივატიზაციო ობიექტებს "შეარემონტებს", ანუ მათი "მომხიბვლელობის" ასამაღლებლად ბიუჯეტიდან ინვესტიციებს გასწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-საიტზე საკმაოდ მწირი ინფორმაციაა მოწოდებული იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რას წარმოადგენს ცალკეული საპრივატიზაციო ობიექტი, "24 საათმა" ამ საიტის, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციისა და ენერგოექსპერტების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე გასაყიდი ობიექტების შესახებ მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაციის შეგროვება შეძლო და მას დღეს მკითხველისა და "პოტენციური ინვესტორების" წინაშე წარმოადგენს:

### საპრივატიზაციო ჰესები:

მომავალ წელს შესაძლო საპრივატიზებო ნუსხაში მოხვდა იმერეთის ხუთი ჰესი - ქუთაისის "რიონჰესი", ქუთაისის "გუმათჰესების კასკადი", ცაგერის "ლაჯანურჰესი", თერჯოლის "ძევრულჰესი", ტყიბულის "შაორჰესი" და აჭარაში ქედის "აწჰესი".

აქვე ინფორმაციისთვის აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მეგავატი სიმძლავრის მშენებლობა, საერთაშორისო სტანდარტებით, ერთ მილიონამდე აშშ დოლარი ჯდება. ეს ისე, ინფორმაციისთვის, თუმცა მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰესების ურავლესობა დღეს დადგმული სიმძლავრის მხოლოდ 50 პროცენტს თუ "ამუშავებს", რისი ძირითადი მიზეზიც წლების განმავლობაში ჩაუტარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებია. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის განმავლობაში ამ ჰესების რეაბილიტაციას გეგმავს და ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე განსაზღვრულია შესაბამისი თანხაც.

**რიონჰესი -** *საწესდებო კაპიტალი 7 391 073 ლარი; დადგმული სიმძლავრე 48 მგვტ; სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი;*

2005 წელს ბიუჯეტიდან რიონჰესისთვის გამოყოფილი თანხა, 1080 ათასი ლარი, ძირითადად მოხმარდება ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღდგენას, მათ შორის კაშხალის რაიონში ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რადგანაც რიონი საფრთხეს უქმნის წყალმიმღებსა და მის კონსტრუქციებს, შესაბამისად - წყალგამყვან არხს, რომელიც ხანგრძლივი ურემონტობის გამო ზოგ ადგილას შემცირებულია 20-30 პროცენტით. ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ რიონჰესს საშუალება ექნება, გაზარდოს სიმძლავრე დღევანდელი 48 მგვტ-დან საპროექტო - 56 მგვტ-მდე. პროგრამა ორწლიანია (!) და უნდა გაგრძელდეს 2006 წელსაც.

**გუმათჰესების კასკადი -** *საწესდებო კაპიტალი 1 966 732 ლარი; დადგმული სიმძლავრე 44 მგვტ; სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი.*

იმერეთის რეგიონების ჰესებს შორის დღეს გუმათჰესი ყველაზე არასაიმედოდ მუშაობს და ენერგეტიკულ წყალს არაეფექტურად იყენებს. ამის მიზეზებია ხანგრძლივი შეუკეთებლობის გამო ელექტრომექანიკური მოწყობილობების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ცუდი მდგომარეობა. გუმათ-1-ში არასაიმედოდ მუშაობს N1 და N4 აგრეგატები, საჭიროა N2 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება, ამასთან, N3 ტურბინაზე მიმდინარე წელს გათვალისწინებულია გარკვეული სამუშაოების ჩატარება, რათა 2006 წელს ეს აგრეგატი აღდგეს. დაგეგმილია, აგრეთვე, ერთი კომპლექტი სტატორის შეძენა და გამოცვლა ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მყოფ გენერატორზე. გუმათი-2-ში აუცილებელია 2 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება, აქედან ერთი - N6 დიდი ხანია უკვე გაჩერებულია და არ ფუნქციონირებს.

დღეისთვის გუმათჰესი-1-ის ძირითადი ელექტროსქემის შესრულების გამო, სადგურის იმედიანობაც შემცირებულია. იმ შემთხვევისთვის, როცა აღდგება ოთხივე აგრეგატი, აუცილებელია ჩატარდეს არსებული პროექტის მიხედვით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები 35 კვ ქსელში, რამაც უნდა უზრუნველყოს, საჭიროების შემთხვევაში, ჰესის ოთხივე აგრეგატის სიმძლავრის გატარება. ზემოთ ხსენებული ღონისძიებებისთვის 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განსაზღვრულია 2 მილიონ 900 ათასი ლარის გამოყოფა.

**ლაჯანურჰესი -** *საწესდებო კაპიტალი 2 391 791 ლარი; დადგმული სიმძლავრე 112 მგვტ; სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი.*

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება კონტრაქტორებთან, რომ გატარდეს ღონისძიებები იაპონური ბანკის სესხით ლაჯანურჰესის N2 აგრეგატის დასამთავრებლად, აგრეთვე 2005 წელს დაგეგმილია N2 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება, რის შედეგადაც წლის ბოლოსთვის ჰესის სიმძლავრემ, შეიძლება, მიაღწიოს 70 მგვტ-ს (ნაცვლად ახლანდელი 25 მგვტ-სა). ამ მიზნით აღნიშნული ჰესის დაფინანსებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყოფა 2 მილიონ 550 ათასი ლარი.

**ძევრულჰესი -** *საწესდებო კაპიტალი 919 786 ლარი. დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ. სახელმწიფო წილი - 98,45 პროცენტი*

ძევრულჰესზე დაგეგმილია N3 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება, რაც არსებულ მუშა სიმძლავრეს - 55 მვტ-ს დაუმატებს 20 მვტ-ს და ჰესის სიმძლავრე მიუახლოვდება დადგმულ საპროექტო სიმძლავრეს - 80 მვტ-ს. სამუშაოების ღირებულება, დაახლოებითი გათვლებით, შეადგენს 350 ათას ლარს.

გარდა ამისა, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ექსპერტების თქმით, ჰიდროტექნიკური ნაგებობებში აუცილებელია ჰესის სადერივაციო გვირაბის გამოკვლევა, სამუშაოების პროექტირება და წელსვე მისი შესრულება. რადგანაც სადერივაციო გვირაბი მრავალგანაა დაზიანებული და იგი, შესაძლოა, დიდი მასშტაბის ავარიის მიზეზი გახდეს. სადერივაციო გვირაბის გამოკვლევა, საპროექტო სამუშაოები და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების საორიენტაციო ფასი დაახლოებით 450 ათასი ლარი გახლავთ.

**შაორჰესი -** *საწესდებო კაპიტალი 1 735 390 ლარი. დადგმული სიმძლავრე 38 მგვტ. სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი*

შაორჰესის მუშა სიმძლავრე დღეისათვის, ტურბინის მუშა თვლების და სხვა ძირითადი მოწყობილობის უვარგისობისა და ცვეთის გამო, ნახევრადაა შემცირებული. მდგომარეობის გამოსწორების პირველი ღონისძიებაა 2 ახალი მუშა თვლის (ოთხიდან) შეძენა, რისი საორიენტაციო ფასი შეადგენს 630 ათას ლარს. ორივე მუშა თვლის დაყენების შემთხვევაში, ექსპერტთა თქმით (2005 წლის ბოლოს და 2006 წლის წყალდიდობებით), ჰიდროსადგურს დაემატება საიმედო 19 მეგავატი სიმძლავრე. გენერატორის სიმძლავრის გაზრდის მიზნით აუცილებელია თუნდაც ერთ გენერატორზე რეკონსტრუქციის ჩატარება ახალი გრაგნილებით. ახალი გრაგნილის საორიენტაციო ფასი 360 ათას ლარია.

ჰიდროტექნიკური ნაგებობებიდან ძირითადად მნიშვნელოვანია ორძაფიანი მილსადენის გაწმენდა-შეღებვის სამუშაოები. ეს მილსადენები მაღალი წნევით აწვდიან წყალს ტურბინებს, მათი კოროზირება და სისქის დათხელება დაუშვებელია. გარდა ამისა, გამოსაკვლევია სადერივაციო გვირაბი, სადაც მრავალი დეფექტია და 2006 წლისთვის მოსამზადებელია გვირაბის შეკეთების პროექტი. ამ ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 მილიონ 990 ათასი ლარი.

**აწჰესი -** *საწესდებო კაპიტალი 841 284 ლარი. დადგმული სიმძლავრე 16 მგვტ. სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი.*

### საპრივატიზაციო გამოცდილება

დღეს საკმაოდ ძნელი სათქმელია, რამდენად სარფიანად და რაც არანაკლებ, მე ვიტყოდი, გაცილებით მეტადაც მნიშვნელოვანია - რამდენად შედეგიანად შეძლებს საქართველოს ხელისუფლება ქართული ჰესების პრივატიზებას. პირდაპირ ვიტყვით - დღემდე ამ კუთხით არსებული გამოცდილება არცთუ სახარბიელოა.

ორიოდე სიტყვით ამ გამოცდილების შესახებ:

პრივატიზაცია ენერგოსექტორში პირველად დაახლოებით 11 წლის წინათ, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების გაყიდვებით დაიწყო. "სიონჰესი", "კაბალჰესი", "თეთრიხევჰესი", "ჩითახევჰესი", "რიცეულაჰესი", "მარტყოფჰესი", "საცხენჰესი" - ამ ელექტროსადგურების პრივატიზება 1993-1995 წლებში მოხდა. ჰესების ნაწილი სახელმწიფომ კონკურსის, ნაწილი კი - პირდაპირი მიყიდვის ფორმით გაყიდა. ერთ შემთხვევაში, "კაბალჰესზე", 1993 წელს აუქციონი გამოცხადდა, რაშიც მყიდველმა 88 ათასი დოლარი გადაიხადა. საერთო თანხა, რაც მაშინ სახელმწიფომ ამ ქონების გაყიდვიდან მიიღო, ნახევარ მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი იყო. ექსპერტების შეფასებით, შვიდივე ჰესი სახელმწიფომ "კაპიკებში გადააგდო", რადგან მაშინ თითოეული ობიექტის საბალანსო ღირებულება სამჯერ და ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე მყიდველის მიერ მათში გადახდილი თანხა. მაგალითად "მარტყოფჰესი" 1994 წელს სულ რაღაც ნახევარ მილიონ კუპონად, მაშინდელი კურსით - 752 დოლარად გაიყიდა. 22 მილიონ კუპონად (17.312 დოლარი) გაიყიდა "რიცეულჰესი" 1995 წელს, რომელიც ამბროლაურის რაიონის 12 სოფელს ამარაგებს. იმ პერიოდში ყველაზე ძვირად - 110 მილიონ კუპონად (160.818 დოლარი), "ჩითახევჰესი" გაიყიდა.

საერთოდ, მთელ ენერგოსექტორში (არა მხოლოდ ელექტროენერგეტიკულში) დღემდე განხორციელებული პრივატიზაციიდან, თუ არ ჩავთვლით თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანიის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს, ბიუჯეტში დაახლოებით 10 მილიონი დოლარი შევიდა.

შეგახსენებთ - საუბარია პრაქტიკულად გარანტირებული მომხმარებლის მქონე ობიექტებზე. ცხადია, რომ მინიმალურ ფასებში ენერგოობიექტების "დათრევა" ძირითადად "ენერგომამებმა" და მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პერსონებმა გაახერხეს. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი - მიუხედავად სადისტრიბუციო ქსელის მოუწესრიგებლობისა და ტრადიციული "არგადახდებისა", ექსპერტთა ინფორმაციით, კერძო ჰესების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის საფასური გაცილებით უკეთესად "ანაზღაურებოდა" ხოლმე, ვიდრე - სახელწიფოს საკუთრებაში დარჩენილი ჰესების მიერ წარმოებული ელექტროენერგია.

თუმცა, "არგადახდები" ბოლო წლების მანძილზე ტრადიციულად გახლდათ დარგში ინვესტიციების შემოსვლის ხელის შემშლელი ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა.

ერთადერთი ინვესტიცია, რომელიც ჰიდროენერგეტიკაში ამ წლების მანძილზე ჩაიდო, პანკისის ხეობაში 24-მეგავატიანი "ხადორჰესის" მშენებლობა გახლდათ. თუმცა, ჰესის მშენებელმა ჩინელებმა 28 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელების სანაცვლოდ შევარდნაძის ხელისუფლებისგან ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის საკმაოდ მაღალი ტარიფით შესყიდვის გარანტია მიიღეს. სხვათა შორის, ეს გარანტია გახდა კიდეც იმის მიზეზი, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ჰესის ამუშავება რამდენიმე თვით გადაიდო და, საბოლოოდ, ისევ "გარანტირებული შესყიდვის" შეპირებით, ოღონდ - შედარებით დაბალ ფასში, დასრულდა.

ანუ, როგორც აღვნიშნეთ, ქართული ენერგოგენერაციის ობიექტებში სერიოზული დასავლური ინვესტიციების შემოსვლის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი სწორედ ზემოთ უკვე მოხსენიებული და ყველასათვის კარგად ნაცნობი პრობლემა - ტრადიციული და ქრონიკული არგადახდებია. ანუ ის, რომ საქართველოში რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი აშკარად ვერ აღწევს მეტ-ნაკლებად გონივრულ დონესაც. ამას, ცხადია, საკმაოდ ბევრი მიზეზი აქვს, მათ შორის - სოციალური ხასიათისაც, თუმცა ამ მიზეზებზე დღეს არ დავკონკრეტდებით. მით უმეტეს, რომ ექსპერტები თანხმდებიან - მიზეზთა მიზეზი აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობაა და ამ პრობლემის აღმოფხვრა სხვა ბევრსაც მექნიკურად "ხსნის", ამიტომ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების მომავალ ბედს, იგივე ჰესების სამომავლო პერსპექტივასთან მიმართებაშიც, დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

### სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები

სახელმწიფო აღარ აპირებს საკუთარ ხელში სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის დატოვებას და გასაყიდად გამოაქვს "აჭარის ენერგოკომპანია" და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია". საინტერესოა, რომ ექსპერტების ნაწილის აზრით, ამ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების პრივატიზება დაჩქარებული წესით, იმ პირობებში, როცა მათი "ამოღების მაჩვენებელი" დაბალია, ვალები კი - საკმაოდ დიდი, პრივატიზაციიდან მისაღები თანხის ოდენობას სერიოზულად ამცირებს. თუმცა, თავად სახელმწიფო ჩინები ირწმუნებიან, რომ მომავალი წლის ივნისამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამრიცხველიანების პროცესის დაფინანსება ამ ობიექტებს ინვესტორების თვალში მეტ მომხიბვლელობას შეძენს, თავის დროზე "თელასის" პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები და შესაბამისი გამოცდილება კი სახელმწიფოს მომავალი შეცდომებისგან დააზღვევს. და მაინც, რის ყიდვას სთავაზობენ დღეს ინვესტორს?

**"აჭარის ენერგოკომპანია" -** *საწესდებო კაპიტალი 27 809 464 ლარი. სახელმწიფო დღემდე ამ კომპანიის 100-პროცენტიან აქციათა პაკეტს ფლობს.*

აჭარის ენერგოკომპანია თავის დროზე აბაშიძის გავლენის ქვეშ ფუნქციონირებდა და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ იგი თავის დროზე "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია"-ში ვერ გაერთიანდა.

აჭარაში ყოველთვის იყო დეკლარირებული, რომ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 90-მდე პროცენტს შეადგენდა, თუმცა პოსტაბაშიძისეულმა პერიოდმა აჩვენა, რომ დეკლარირებული მონაცემები ერთგვარად "გადაჭარბებული" გახლდათ.

**"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" -** *საქართველოს რეგიონების მთავარი ელექტროოპერატორი, რომლის საწესდებო კაპიტალი 59 მილიონ 032 782 ლარს შეადგენს და სახელმწიფო აქაც კომპანიის 100-პროცენტიანი მეწილეა. ამასთან, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ინფორმაციით, კომპანიას დღეს 600 მილიონამდე დავალიანება აქვს და ამჟამად გაკოტრების რეჟიმში იმყოფება.*

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" 2002 წელს რეგიონული ელექტროგანამაწილებელი კომპანიების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. კომპანიას დაახლოებით 660 000 მომხმარებელი ჰყავს. მისი მომსახურების არეალი საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტს ფარავს, რომლის უმეტესობა სასოფლო დასახლებებია. 2003 წლის გაზაფხულიდან "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" USAID-ის დაფინანსებით ამერიკული "PA consulting" მართავს, რომელსაც სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულება 2006 წლის ნოემბერში ეწურება.

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით გათვალისწინებულია 20 მილიონ 182 ათასი ლარი, რომლითაც 310-350 ათასი ინდივიდუალური მრიცხველების შეძენა და დამონტაჟება არის გათვალისწინებული. იმის გათვალისწინებით კი, რომ საჭიროა ენერგოკომპანიაში დარიცხვის ელექტრონული სისტემის დანერგვა, აგრეთვე ავარიასაწინააღდეგო სათადარიგო მოწყობილობისა და მასალების შეძენა, ამ ღონისძიებისათვის განსაზღვრულია დაახლოებით 17.6 მლნ ლარი.

რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრებიდან ინდივიდუალური მრიცხველების შეძენა-დამონტაჟებას. მიმდინარე წლისთვის განსაზღვრულია მხოლოდ 43-45 ათასი ცალი ასეთი მრიცხველის შეძენა-დამონტაჟება. გამრიცხველიანების პროცესი დაგეგმილია გაგრძელდეს დუშეთში, მცხეთაში, ზუგდიდში, ტყიბულში, სამტრედიაში, ზესტაფონში და ოზურგეთში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 2591 ათასი ლარი.

გარდა ამისა, KfW-ს (გერმანიის საკრედიტო ბანკი) საკრედიტო პროგრამით, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიისთვის განსაზღვრულია 10.7 მლნ ლარის გამოყოფა, რომლითაც შეძენილ იქნება მრიცხველები საცალო მომხმარებლებისთვის (70 ათასი ცალი), ხოლო კომუნალური და ინდუსტრიული მოხმარებისთვის კომპანია 10.6 ათასი ცალ მრიცხველს იყიდის.

სამინისტროში მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ აღრიცხვის სისტემა თითქმის მოწესრიგდება ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში და რაიონში. გამრიცხველიანებულ აბონენტთა დონე ქვეყანაში მიაღწევს დაახლოებით 77-80 პროცენტს. აქედან გამომდინარე, 2006 წლის დასაწყისისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის 90 პროცენტის გადახდა განხორციელდება მრიცხველების ჩვენების მეშვეობით. შესაბამისად, ენერგოკომპანიების კომერციული დანაკარგები 2005 წელს ბოლოსათვის 15-20 პროცენტამდე შემცირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საშუალო მაჩვენებლები 80-85%-ს მიაღწევს.

■ ■ ■

ასეთია მოკლე დახასიათება იმ ენერგოობიექტებისა, რომლების ყიდვასაც საქართველოს ხელისუფლება პოტენციურ ინვესტორებს სთავაზობს. ჯერჯეროობით ძნელი სათქმელია, რამდენად სერიოზული კონკურენციის პირობებში მოხდება ამ ობიექტების პრივატიზება, მით უმეტეს, რომ ამერიკული "ეი-ი-ეს"-ის წასვლა ქართული ენერგობაზრიდან ამ ბაზარს, დასავლელი ინვესტორების თვალში, დადებითად სულაც არ ახასიათებს. აქედან გამომდინარე, არსებობს საფრთხე, რომ საქართველოს ენერგოსისტემის სრულად დაპატრონების მცდელობა ისევ და ისევ რუსული კომპანიების მხრიდან განხორციელდეს, რომლებიც, პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე, საქართველოში დასავლელზე გაცილებით დიდ ეკონომიკურ რისკებზე არიან წამომსვლელნი. სხვათა შორის, "თელასის" რუსმა მფლობელმა "რაომ", ჯერჯერობით არაოფიციალურად, უკვე დააფიქსირა თავისი ინტერესი "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიმართ. ეს ინტერესი იმ პირობებში, როცა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქტიკულად მთელ საქართველოს მოიცავს, საქართველოს ენერგოუსაფრთოებისათვის აშკარად სახიფათოდ გამოიყურება. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, ბოლომდე აცნობიერებს თუ არა ამ ენერგოობიექტების საპრივატიზაციოდ გამომტანი ხელისუფლება ამ საფრთხეებს. თუმცა, ეს უკვე ცალკე საუბრის თემა გახლავთ.




| სარეაბილიტაციო ობიექტების დასახელება | 2005 წლის განმავლობაში საჭირო ინვესტიციების მოცულობა | არსებული მუშა სიმძლავრე (მგვტ) | დამატებითი სიმძლავრის შეყვანა (მგვტ) | სულ გარანტირებული მაქსიმალური სიმძლავრე რეაბილიტაციის შემდგომ (მგვტ) |
|---|---|---|---|---|
| ვარდნილჰესი | 6,350 | 100 | 70 | 170 |
| შაორჰესი | 1,990 | 18 | 9 | 27 |
| გუმათჰესი | 2,900 | 22 | 17 | 39 |
| რიონჰესი | 1,080 | 48 | - | 48 |
| ლაჯანურჰესი | 2,550 | 25 | 10 | 35 |
| ენგურჰესი | 15,400 | 660 | 260 | 920 |
| ხრამჰესი | 3,600 | 50 | 50 | 100 |
| ძევრულჰესი | 800 | 60 | 20 | 80 |
| კეხვი, ყაზბეგი, სანალია, სნო ჰესი და გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3,000 | 0.7 | 2.5 | 3.2 |
| ჰესების ჯამი | 37,670 | 984 | 439 | 1422 |

მატარებლით მიზნებამდე



B2

ლონდონელი არისტოკრატი



B4

მოჭარბებული პოლიტიკური ჯართი



B6

ხვალ გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა

# გიორგი პაპუაშვილი: "დახარბებულთა პოზაში აღარ ვიქნებით"

ოთარ ქირია

*"ხუთი დღე, ხუთი თემა და ხუთი ათასი შესანიშნავი იდეა..." - ასეთია ხვალინდელი დღის მთავარი თემა. 5 ივნისი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა და ყველაზე გრანდიოზულად წელს ის აშშ-ში, სან ფრანცისკოში გაერო-ს მიერ დაგეგმილ ხუთდღეულზე აღინიშნება. ღონისძიება მოიცავს რამდენიმე თემატურ სამიტს, მწვანე ქალქის პრეზენტაციას, სხვადასხვა ეკო-აქციებსა და ბავშვთა ეკოლოგიური ფანტაზიის გამოფენას. თუმცა, ეს დღე ცივილზებული სამყაროს ყველა ქალაქისა და რეგიონისთვის ძვირფასია. მართალია, საქართველოში ჯერ გარემოს დაცვისთვის არ ცხელათ, მაგრამ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ახალი მინისტრი გიორგი პაპუაშვილი ამ დღის გამოყენებას სწორედ იმისთვის აპირებს, რომ ოდესმე გარემოს დაცვა მთავარი პრიორიტეტი თუ არა, სხვა პრიორიტეტებთან მიახლოებული მაინც იყოს. რა იქნება ხვალ?*

**- როგორ ხვდება საქართველო გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს?**

- მართალია ნაჩქარევად, მაგრამ მაინც მოვახერხეთ რამდენიმე მასობრივი ღონისძიების დაგეგმვა. მასობრივის იმიტომ, რომ გარემოს დაცვის დღე არ უნდა იყოს მხოლოდ სპეციალისტებისა და სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი დღე, ამ თარიღს ხალხი სიამოვნებით უნდა აღნიშნავდეს. გვინდა ჩავრთოთ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, მთავრობა, საზოგადო მოღვაწეები და სრულიად საზოგადოება. შესაძლოა, მთელ ქვეყანას არ გაუჩნდეს დასუფთავებისა და დარგვის სურვილი, მაგრამ მცირედის ყურადღებაც კი დიდი მიღწევა იქნება, განსაკუთრებით ბავშვების. ისინი აქედანვე შეიცნობენ გარემოს დაცვის მნიშვნელობას და ტრადიციად დაამკვიდრებენ დარგვასა და სუფთა გარემოზე ზრუნვას. მართალია, სოციალური და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებით შეწუხებული ხალხის ქუჩაში გამოყვანა და სისუფთავისკენ მოწოდება ცოტა რთულია დღეს, მაგრამ ეს აუცილებელია. ამ შემთხვევაში სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და მათი ყურადღების მოპყრობა. პრიორიტეტული თუ არა, ეს სფერო პრიორიტეტებთან მიახლოებული აუცილებლად უნდა გახდეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის იოლი არ არის, მაგრამ - არც მიუღწევადი.

**- კონკრეტულად სად და რა იგეგმება?**

- სხვადასხვა უბნებსა და წერტილებში ეკო-აქციების მოწყობა, სკოლების, პარკების. სკვერების, ქუჩების დასუფთავება და გამწვანება. მართალია, გადარგვის სეზონი დასრულდა, მაგრამ ყვავილებისა და გარკვეული მცენარეებისთვის ეს ხვალაც შესაძლებელია. თბილისის, მასშტაბით ღონისძიება ხორციელდება დედაქალაქის მუნიციპალიტეტთან ერთად. ხოლო რეგიონებში - ჩვენი რეგიონული სამსახურების მეშვეობით.

**- თქვენ სად იქნებით?**

- ერთ-ერთ აქციაზე. ყველაგან ვერ მივალ იმიტომ, რომ მირჩევნია ერთ ადგილზე მივიდე და იქ გავაკეთო სრულყოფილად საქმე. და ვეპატიჟებით ყველას, მათ შორის მთავრობასაც და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც.

**- რეორგანიზაციის სტადიაში მყოფ სამინისტროს ამის დრო და სახსრები აქვს?**

- ამის დრო ყოველთვის უნდა იყოს იმიტომ, რომ ამ დღის მეშვეობით ჩვენ აუცილებლად მოვიპოვებთ ხალხისა და საზოგადოების მხარდაჭერას და გარემოს დაცვა იქნება არა მხოლოდ რომელიმე უწყების, არამედ მთელი ქვეყნის საქმე და საზრუნავი. ამ გარემოში ყველა ვცხოვრობთ. რაც შეეხება რეორგანიზაციას, ის დაგეგმილ ვადებს მიჰყვება.

**- კერძოდ?**

- ერთი ეტაპი გასული წლიდან შევიდა ძალაში, როცა დამოუკიდებელი საქვეუწყებო დაწესებულებები შემოვიდა სამინისტროს სტრუქტურაში - გეოლოგიის, კარტოგრაფიის, დაცული ტერიტორიების, სატყეო დეპარატმენტები, ჰიდრომეტცენტრი და სხვები. ამ კუთხით გადავედით შემდეგ ეტაპზე. კერძოდ, მათ სტრუქტურულ ინტეგრაციაზე, რაც ძლიან რთული და მტკივნეული პროცესია. მათი ინტეგრირება არასწორად მოხდა კომუნიკაციებისა და სუბორდინაციის თვალსაზრისით. დღესაც ადგილი აქვს უფლებების დუბლირებას. ბევრი მათგანი საერთოდ არ ფუნქციონირებს. ბევრს მიზერული მაგრამ ისეთი დაფინანსება აქვს მიღებული, რომელიც არაფრისთვის დახარჯული ფულია, უმეტესობას პრობლემები აქვს სტატუსთან დაკავშირებით და დღემდე ჰაერში არიან გამოკიდებული, თითქმის არც ერთს არ გააჩნია დებულება და ა.შ. შედეგად, გადაწყვეტილების მიღება ან შეუძლებელია, ანაც ძალიან რთულია. საჭიროა სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებები, რასაც მექანიზმი ახორციელებს და არა კონკრეტული პირების ნება-სურვილი. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთ უწყებებს უჭირთ პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებაში ინტეგრირება, ამას ემატება გადამეტებული რაოდენობის ბიუროკრატიული მექანიზმები, რაც აუცილებლად შემცირდება და ეს პროცესი უკვე დაიწყო. მესამე ეტაპია საკადრო პოლიტიკა, რომელიც ასევე ძალაშია შესული. დღეისთვის ხელფასების პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა და, ამდენად, ჩვენ უკვე ძალგვიძს ახალგაზრდა და პროფესიონალი კადრის მოზიდვა. საერთოდ ამ სამინისტროში ყველაზე დაბალ ხელფასებზე მუშაობდა ხალხი და მათი შემოსავლის წყარო ძირითადად საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა იყო. შესაბამისად, კადრები მიშვებული იყო და მათ ვერც ვერაფერს მოსთხოვდი.

**- საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით არაერთხელ ითქვა, რომ "ძველებს" ერჩიან. "ახლებს" სად ეძებთ?**

- პირველ რიგში უნდა აღვნიშნო ის, რომ, მაგალითად, სატყეო დპერატამენტში ყველაზე ახალგაზრდა მეტყევე 60 წლის გახლავთ და მეორე ის, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად საკადრო ვაკუუმი ხელოვნურად იქნა შექმნილი. დოგმა, რომ ვიღაცას ვერჩით და ვიღაცას არა, არ არსებობს. სამინისტროში ძალიან ბევრი დარჩა ისეთიც, ვინც დიდი ხანია, აქ მუშაობს და ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ მათ შეძლეს თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტირება.

**- კორუფცია?**

- ყველაზე, ჯერ ერთი, ამის თქმა არ შეიძლება და მეორეც, თუკი სამინისტროს ხელმძღვანელობა, მაგალითად, მენეჯერისგან მოითხოვს ყველა ნაბიჯის გამჭვირვალობას, ხარჯთაღრიცხვის სრულად ანგარიშგებას, გრძელვადიანი პერსპექტივებისა და გეგმების კარგად დასახვას და მენეჯერი ამას უპასუხებს, რა უდგას წინ მის სამუშაოზე დატოვებას. პირიქით, ჩვენ ასეთებს მივესალმებით. ასეთები საკმაოდ არიან და მათ თანამედროვე პრონციპებთან ადაპტირება მოახერხეს ლიტერატურის გაცნობით, სხვადასხვა სემინარებსა თუ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობით. ავიღოთ, მაგალითად, ფუნდამენტალური მეცნიერების წარმომადგენლები, სწორედ მათ სდებენ ხოლმე ხშირად ბრალს, რომ ახალ ხელისუფლებასთან ვერ თანამშრომლობენ. ასე არ არის. გარემოს დაცვაში ბევრი მოიძებნა ისეთი, რომელსაც ძალიან დიდი სამეცნიერო წარსული აქვს და ამავდროულად არაფრით არ ჩამორჩება თანამედროვე მიდგომებს. ამასთან, ახალგაზრდებში მეცნიერების ძებნა ცოტა უხერხულია, ვინაიდან ამას დიდი დრო და გამოცდილება სჭირდება. მიღმა რჩებიან მხოლოდ ისინი, ვინც ახლებულ მოთხოვნებს ვერ შეეგუებიან. ახალგაზრდებთან დაკავშირებით სხვა მიდგომები ვიპოვეთ, მათი დასაქმება შესაძლებელია იურიდიულ, ეკონომიკურ და სხვა არასპეციფიკურ რგოლებში. ამ უკანასკნელში კი კვალიფიციური და ამავდროულად ახალგაზრდა კადრის შესაქმნელად თავადვე ვიზრუნებთ სტაჟირებისა და სხვადასხვა სასწავლო პრგრამების მეშვეობით.



**- სამინისტროს ხშირად აქილიკებენ, რომ სამკაციანი დეპარტამენტებით მუშაობს...**

- სტრუქტურული ცვლილებების შესახებ წინადადებით მთავრობაში უკვე შევედით და მოიწონეს.

**- შედეგად რა მოხდება?**

- ბევრი უწყება თუ დეპარტამენტი დაიხურება, გამსხვილდება ან შეიცვლება. ეს აუცილებელია, ვინაიდან ძალიან ხშირად ხდება უფლება-მოვალეობების დუბლირება. რიგი საკითხებისა ასეთი არეულობის გამო საერთოდ ვერ კონტროლდება და შედეგად ვიღებთ იმას, რომ სამინისტრო, მიუხედავად ამდენი სტრუქტურისა და მარეგულირებელი უწყებისა, მაინც ვერ ფლობს სრულად სიტუაციას. იურიდიული თავლსაზრისით უზარმაზარი ვაკუუმია შემქნილი. რამდენიმე უწყება საერთოდ ჰაერშია გამოკიდებული.

**- რაც შეიქმნება, ის როგორ იმუშავებს?**

- ახლებული სისტემით, რომელსაც პროგრამული დაფინანსება ეწოდება. ანუ ამა თუ იმ საქვეუწყებო რგოლს ჯერ სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე მოუწევს ბრძოლა და იმის დამტკიცება, თუ რამდენად საჭირო და მიზნობრივია მისი საქმიანობა, შემდეგ ჩვენ - ამის გატანა და დამტკიცება მთავრობასთან. პროგრამული დაფინანსება ზუსტად ჩამოაყალიბებს იმას, თუ ვინ რა უნდა აკეთოს და როგორ. ის ჯერ იქნება ერთწლიანი, თუმცა 2006 წლიდან გადავალთ სამწლიან პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ანუ შეწყდება წუწუნი, რომ 20 მილიონი მაქვს და მეტი მომეცი და ა.შ. ყოველ თეთრს ექნება კონკრეტული დანიშნულება. ეს, რა თქმა უნდა, კადრების გამონთავისუფლებასაც გულისხმობს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ძალიან ბევრი საქვეუწყებო რგოლი დღეს არაფრის კეთებაში იღებს თანხას.

**- კონკრეტულად რა დარჩება და რა არა?**

- ამჟამად შესწავლა მიდის. წარმოიდგინეთ, აღწერაც კი არ არსებობდა, ვის რა ფუნქცია ეკისრა. ამდენად, ჯერ ამის თქმა ნაადრევია.

**- დასავლეთში, რამდენადაც ვიცი, ლიცენზირებასა და რეგულირებას სპეციალური სააგენტოები ახორციელებენ, ხოლო სამინისტროს პოლიტიკის განსაზღვრა ევალება. ამ სქემისკენ მივდივართ?**

- სქემა უნდა იყოს ინდივიდუალური - რა სჭირდება ქვეყანას. ჩვენთან პირდაპირ არის გადმოღებული ამერიკული სისტემა. რკინიგზას, ტრასპორტს, ფლოტს და ა.შ. ყველას ცალ-ცალკე არეგულირებენ. ასეთი მიდგომა შტატებს ესაჭიროება, მაგრამ დააკვირდით, რამდენად დიდია იგი საქართველოზე. რა თქმა უნდა, სწორედ ასეთი მიდგომის გამო შეიქმნა უამარავი არაფრის მაქნისი მარეგულირებელი. ეს აფერხებდა ლიცენზირებისა და ზოგადად გადაწყვეტილებების მიღებას. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ პრეზიდენტი და მთავრობა გამოვიდა ლიცენზირების სისტემის შემსუბუქების ინიციატივით და ლიცენზიების ძალიან დიდი ნაწილი სწორედ ჩვენ სამინისტროზე მოდიოდა. ავიღოთ, მაგალითად, მშენებლობა. მშენებლობის ლიცენზია ცალკე უნდა აგეღო, ნებართვა ცალკე, კიდევ რაღაც სხვა დოკუმენტი და მინიმუმ ხუთჯერ მაინც უწევდა მეწარმეს მოსვლა. გამარტივება გულისხმობს იმას, რომ მეწარმე აიღებს ერთ გენერალურ ლიცენზიას, რომელიც ყველა პუნქტს მოიცავს და არ დასჭირდება არც ქრთამის მიტანა, არც ისეთ ადამიანებთან ვიზიტი, ვისაც სხვების წვალება მოსწონს მისი თანამდებობრივი პოზიციის გამო.

**- ეს არ ნიშნავს გარემოს დაცვაზე ხელის აღებას. როგორც ვიცი, არასამთავრობოთა ნაწილი აქციასაც გეგმავს იმის გამო, რომ თქვენ ჩუმად ხართ...**

- ჩუმად კი არ ვარ, ვემხრობი ლიცენზირების გამარტივებას და ეს არაფრით არ ნიშნავს გარემოზე ხელის აღებას. რადიაციას, კაშხლების და სხვა დიდი ობიექტების მშენებლობას სამინისტრო ისევ გააკონტროლებს. სხვა შედარებით მსუბუქ სფეროებში კი, სანამ ქვეყანა ეკონომიკურად არ გაძლიერდება, უმჯობესია მეწარმეებსა და ხალხს, პირიქით, ხელი შევუწყოთ. ხოლო, როცა საქართველოში სოციალურ პრობლემებს დავძლევთ, შემდეგ აუცილებლად იმაზეც ვიფიქრებთ, რომ გარემოს დაცვა უფრო გაძლიერდეს. ზუსტად ეს გამოცდილება აქვს დასავლეთსაც. უბრალოდ, დღეს მათ მიერ გარემოს დაცვაში დახარჯული ენერგია გაცილებით მეტია, ვინაიდან ისინი ეკონომიკურადაც ძალიან ძლიერად არიან. კიდევ ვიმეორებ, ეს არაფრით არ ნიშნავს გარემოზე ხელის აღებას და ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს, რათა გარემოს დაცვაში თავად მოსახლეობაც ჩაერთოს. მას, ვინც ამას აქილიკებს ან აქციებს გეგმავს, იქნებ იმაზეც ეფიქრა, რომ ძალიან დიდი ნაწილი არსებული ლიცენზიებისა, უბრალოდ, ვიღაცის კორუფციის მანქანა იყო და ზიანის გარდა სახელმწიფოს არაფერი ადგებოდა.

**- საერთოდ, როგორია სამინისტროს სტრატეგია არასამთავრობოებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ადრე ეს პრაქტიკა სამინისტროში არსებობდა, თუმცა შემდეგ რატომღაც შეწყდა...**

- სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ორი მოსაზრებით აპირებს თანამშრომლობას. პირველი ის, რომ ამ სექტორმა მონიტორინგი უნდა გაუწიოს სამინისტროს ქმედებებს და მეორე, სამინისტრო თავად იზრუნებს იმაზე, რომ ორმა სექტორმა ერთობლივ პროექტებზე იმუშაონ. საერთოდ ამ ქვეყანაში ასეთი ტენდენცია არსებობდა, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში არასამთავრობოთა ნაშრომები თაროებზე რჩებოდა. არადა, ამ სექტორში ბევრია ისეთი, ვინც საქმე ძალიან კარგად იცის და ხშირ შემთხვევაში სამინისტროს შიგნით არსებულ კადრებზე უკეთაც. მე ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ სამინისტრო ყველაფრის კონტროლს მარტო შეძლებს. არასამთავრობო სექტორში არსებული რესურსის გამოყენება ყველაზე პრაგმატულ გადაწყვეტილებად მიმაჩნია. თუმცა, მე მაინც გაცილებით მეტ აქტიურობას ველოდი მათი მხრიდან. მაგალითად, ხეტყის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ძალიან მიჭირს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მოძებნა.

**- შესაძლოა, ამის მიზეზი ის არის, რომ თანამშრომლობა შეწყდა და ისინი ნაწყენი არიან.**

- ასეთ შემთხვევაში სამინისტრო თავად იზრუნებს და უფრო გააქტიურდება. დამკვიდრდება როგორც სისტემატური, ისე რიგგარეშე შეხვედრების პარქტიკა, თუმცა მე მაინც ვეცდები, რომ ყოველი ასეთი შეხვედრა კონკრეტული წინადადებებით იყოს დატვირთული და არა ამაოდ მეტყველი ფრაზებით.

**- ზოგადად დღეს ისმის, რომ ხელისუფლება არასამთავრობო სექტორის დაკნინებას ცდილობს...**

- ასეთი მეც გამიგია, მაგრამ მე დონორებთან არაერთგზის შეხვედრაზეც აღვნიშნე, რომ სამინისტრო მზად არის, არასამთავრობოებთან ითანამშრომლოს და ამის კონკრეტული დასტური იქნება ერთობლივი პროექტები. ეს მათთვისაც კარგია, ვინაიდან საკუთარი ნაშრომების რეალიზებასაც მოახდენენ და პროექტებშიც მიიღებენ მონაწილეობას.

**- რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს. საერთოდ ამ სამინისტროში, მგონი, ყველაზე მეტ პროექტებს ახორციელებენ დონორები და როგორც ვიცი, გარკვეული კითხვები ბოლო დროს მათაც გაუჩნდათ.**

- დონორებთან მუშაობა გრძელდება და საკმაოდ დიდი წარმატებითაც. არსებული მიმართულებების გარდა, უამრავ ახალ პროექტზეც არის საუბარი. უბრალოდ, ცვლილება ის არის, რომ დღემდე სამინისტრო ერგებოდა პროექტების მოთხოვნებს. მომავალში კი პროექტი მოერგება სამინისტროსა და ქვეყნის სტრატეგიას. ეს არავის გაუპროტესტებია. პირიქით, ძლიერი სამინისტრო მათთვისაც ხელსაყრელია ისევე, როგორც არასამთავრობოებისთვის, ვინაიდან მათი საქმიანობის რეალიზება სწორედ სამინისტროს სიძლიერეზეა დამოკიდებული. დახარბებულთა პოზაში აღარ ვიქნებით. და ეს იგივე მსოფლიო ბანკთან უკანასკნელ შეხვედრაზეც საკმაოდ მკვეთრად დავაფიქსირეთ.

**- მსოფლიო ბანკს საკმაო ხანია, სატყეო პროექტი მიჰყავს, მაგრამ ჯერ შედეგი არაფერი მინახავს...**

- ამას ჯერ ერთი შესწავლა სჭირდება და მეორეც, სატყეო სექტორი საერთოდ ძალიან მძიმე სფეროა. ეს სამსახური აბრალებს გამგეობას, გამგებელი - პოლიციას, პოლიცია პროკურატურისკენ იშვერს ხელს და ვართ ასე გადაბრალების ორომტრიალში. ეს დასრულდება. თუ ავიღებთ პასუხისმგებლობას, მაშინ მას შევასრულებთ.

**- ძალიან მძიმედ არ გეჩვენებათ სატყეოზე კონტროლის პასუხისმგებლობის აღება?**

- გასაგებია, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა მოხდეს. ამჟამად ვაყალიბებთ ე.წ. ინსპექტორატს. ეს იქნება კარგად გაწვრთნილი და ნასწავლი მობილური ჯგუფი 400-500-დოლარიანი ხელფასით. ასეთი რამ აქამდე არ არსებობდა. ეკოპოლიციის გაუქმების შემდეგ ეს ფუნქცია ავტომატურად პატრულის დაქვემდებარებაში გადავიდა, მაგრამ პატრულს ნამდვილად არ აქვს იმის დრო და შესაძლებლობა, რომ ტყეში ირბინოს ან გარემოსდაცვით დარღვევებს სდიოს.

**- ტყის პრობლემა მაინც განსაკუთრებულად რთული საქმეა...**

- ვიცი და ამას არ ვამბობ, რომ მარტო გარემოს დაცვის სამინისტრო მოაგვარებს. ჩვენ არც ვართ ძალოვანი უწყება. ამ საქმეში მჭიდრო თანამშრომლობაზე მიდის მოლაპარაკებები შინაგან საქმეთა სამინისტროსთანაც და ზოგადად მთელ მთავრობასთან.

**- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტთან დაკავშირებით თუ არის რაიმე ახალი, რამდენადაც ვიცი, დგვარის მოსახლეობა მეწყერის გამო უსახლკაროდ რჩება და ჯერ მათ პატრონი არავინ გამოუჩნდა.**

- როგორ არა. მთავრობამაც გამოყო თანხები და ბი-პი-მაც გამოთქვა კომპენსაციების გადახდის სურვილი, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ სახლების საზღაური ლამის თბილისის ბინების ტოლფასი გახადა. ამასთან, ბი-პი-მ განაცხადა, რომ თუ ის თანხებს გადაიხდის, მაშინ მოსახლეობას იმ ტერიტორიის დატოვება მოუწევს, რაზეც მოსახლეობამ უარი განაცხადა. შედეგად, დღემდე გაურკვეველია, რა იქნება იმიტომ, რომ თვითონ მოსახლეობაც კი ვერ შეთანხმდა თანხების განაწილების პრინციპზე.

**- 2007 წელს საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას ლიცენზიის ვადა ეწურება ბორჯომის წყლით სარგებლობაზე. მისმა ხელმძღვანელობამ უკვე განაცხადა, რომ მთავრობასთან შეთანხმებას მიაღწია. საერთოდ, რას აპირებთ ამ თვალსაზრისით, ლიცენზირების მექანიზმი აქაც ისეთივე დარჩება, თუ რამე შეიცვლება. იმიტომ, რომ დღეს არსებული ლიცენზირების მეთოდის შედეგად, წყლის დატაცება მაინც შესაძლებელია და ასეც ხდება.**

- კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ არავითარი შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის. ამ კუთხით სახელმწიფოს და მთავრობის პოლიტიკა უკვე გამოკვეთილია. წყალი არ იქნება რამდენიმე კომპანიის მართვაში. ერთ წყალს განაგებს სრულად ერთი სუბიექტი. "ერთი კუბი მომეცი, ხუთი კუბი დამითმე" - უნდა დამთავრდეს. საერთოდ ბოლო ლიცენზია ძალიან ბუნდოვანი იყო და ერთი წყლის ჩამოსხმის უფლებას რამდენიმე წვრილ თუ მსხვილ კომპანიას აძლევდა. მოკლედ, ვინც მეტს გადაიხდის ბიუჯეტის სასარგებლოდ და უკეთეს პირობებს წარმოადგენს, ის მოიპოვებს უფლებას და დატაცებასა და ფალსიფიკაციაზეც ის იქნება პასუხისმგებელი. გამარჯვებული აუქციონის პრინციპით გამოვლინდება.

**- ბულგარეთში თქვენი სამინისტროსა და გაერო-ს პროგრამის ფარგლებში მომზადებულმა მოდ-ებთან და ნარჩენებთან დაკავშირებულმა გამოფენამ დიდი წარმატება მოიპოვა საერთაშორისო ფორუმზე და ის ევროპარლამენტშიც მიიწვიეს. საერთოდ რას გეგმავთ ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ეს საკითხი დღეს ძალიან მწვავედ დგას მთელ მსოფლიოში?**

- ფაქტი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. ისე კი, ეს და სხვა პროექტიც ისევე, როგორც მთელი სამინისტრო და მისი უწყებები, ამჟამად შესწავლის სტადიაშია. რამდენადაც ვიცი, ამ მიმართულებით ჰოლანდიელები გეგმავენ სერიოზულ პროექტებს. საერთოდ, ნარჩენების თვალსაზრისით, სამინისტრო ამჟამად მუშაობს სამოქმედო სტრატეგიაზე. ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ თბილისის მერიასთან იმიტომ, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით საყოფაცხოვრებო თუ სამრეწველო ნარჩენი სწორედ აქ იყრის თავს. არადა, სპეციალური საცავები არ არსებობს. ხშირად ნაგავსაყრელები პირდაპირ ქუჩის პირას არის მოწყობილი, რაც დაუშვებელია. ამჟამად მიდის საუბარი იმაზე, რომ აშენდეს სპეციალური გადამამუშავებელი ობიექტი, რომელიც, მართალია, ძალიან ძვირი ღირს, მაგრამ აუცილებელია.

**- საქართველოდან რუსული ბაზები გადის, რასაც აუცილებლად მოჰყვება ნარჩენები და შესაძლოა, რადიაქტიულიც. თუ არსებობს რაიმე გეგმა ამასთან დაკავშირებით?**

- ბაზების გაყვანას კურირებს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თუმცა რადიაქტიული და ზოგადად სამხედრო ნარჩენების კომპონენტი პირობებში ჩადებულია. ამასთან, მთავრობას თავადაც გააჩნია გეგმა. ჩვენთან ფუნქციონირებს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც ატომური ენერგეტიკის სააგენტოსთან თანამშრომლობს საკმაოდ აქტიურად და მათი მეშვეობით ეს საკითხი უყურადღებოდ ნამდვილად არ დარჩება.



# აფიშა

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"სუხიშვილები - 60"
საიუბილეო კონცერტები
დას: 20:00 სთ.

## თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ლადო ათანელის საიუბილეო კონცერტი
"10 წელი მსოფლიო საოპერო სცენებზე"
მონაწილეობენ: ლადო ათანელი (ბარიტონი), გეორგინა ლუკაჩი (სოპრანო), ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"საჩუქრები დიდებს, როდესაც ისინი პატარები იყვნენ"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ლალი კეკელიძე
"ჰეი, ვეფხისტყაოსნებო!"
(პერფორმანსი ერთ მოქმედებად)
ლექსების ავტორი, პროდიუსერი და დამდგმელი რეჟისორი - ლალი კეკელიძე
დას: 20:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დათო ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრი ათონელზე**
პრემიერა
სემ შეპარდი
"დამარხული ბავშვი"
რეჟისორი: გოგი ქაჩიბაია
ფასი: 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"აქ, ამ სავანეში..."
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ახმეტელი**
"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
დას: 14:00 სთ.

"ცოდვების ქალაქი"
დას: 16:30 სთ.

"მადაგასკარი"
ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე
დას: 19:00 სთ.

**ცირკი**
საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის საცირკო ხელოვნების ოსტატთა წარმოდგენა
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**TMS**
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ცენტრ-პოინტ გალერეა**
გალერეა "ადამიანი და ზღვა"

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

## კლუბები

**ბერლინი**
"შედოუქეთის" საღამო
დას: 22:00 სთ.
ფასი: ბიჭებისთვის 15 ლარი,
გოგონებისთვის - 5 ლარი.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge



თბილისის
მიხეილ თუმანიშვილის
სახელობის ხელოვნების
საერთაშორისო ფესტივალ
"საჩუქარის" პროგრამა
**5 ივნისი**

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ფესტივალის საზეიმო გახსნა

ანტონ ჩეხოვი
"თოლია"
("მოსსავეტის თეატრი", რუსეთი;
რეჟისორი: ანდრეი კონჩალოვსკი)
დას: 19:00 სთ.

# 60 წლისთავთან დაკავშირებით

## "კოკა-კოლა" - "სუხიშვილების" მასპინძელი

ვერა ნეფარიძე

*გუშინ "კოკა-კოლამ" ქართულ ნაციონალურ ბალეტს უმასპინძლა. "სუხიშვილების" საიუბილეო კონცერტებისადმი მიძღვნილი მიღება მსოფლიოში პოპულარული გამაგრილებელი სასმელის ქართული წარმოების ეზოში ქარის, ხალხური სიმღერისა და ქართული ცეკვის ქომაგი საპატიო სტუმრების თანხლებით გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ფოლკლორის ეროვნული ცენტრი და ღვინო "თელიანი ველი".*

ქართული "კოკა-კოლა" გააქტიურდა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში კომპანიამ მხარი დაუჭირა ორ მსხვილ კულტურულ პროექტს - თბილისის ჯაზ-ფესტივალს და "სუხიშვილების" საიუბილეო კონცერტებს, რომლებიც გუშინწინ დაიწყო სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში. "დიდი გეგმები გვაქვს ქართულ ფოლკლორთან დაკავშირებით; მხარში ამოდგომას ვაპირებთ ძალიან სერიოზულად", - გვითხრა "კოკა-კოლას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სოფო ჭყონიამ, თუმცა, კონკრეტული გეგმების გამხელისგან თავი შეიკავა. "ჩვენ სისტემატურად ვთანამშრომლობთ "სუხიშვილებთან"; ჩვენი კომპანია მათი საიუბილეო კონცერტების ერთ-ერთი სპონსორია. ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, რომ მოგვეწყო ასეთი მიღება. "კოკა-კოლა" ის კომპანიაა, რომელიც ბრენდებს შორის სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ის მთელ მსოფლიოში აფინანსებს დიდ პროექტებს - კულტურას, სპორტს... მისი სტრატეგია ისეთია, რომ ყველა სფერო მოიცვას". როგორც ჩანს, "კოკა-კოლა ინტერნეიშენელის" სტრატეგიას ქართული კომპანიაც ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს, რაც მეტად სასიამოვნო სიახლე იქნება ქართულ კულტურულ ცხოვრებაში.



*ფოლკლორის ეროვნულმა ცენტრმა "სუხიშვილებს" "კოკა-კოლაში" უმასპინძლა.*

კომპანია უკვე თანამშრომლობს ფოლკლორის ეროვნულ ცენტრთან, რისი შედეგიც გუშინდელი ღონისძიება იყო. მხოლოდ ამ ცენტრთან ერთად აპირებს თუ არა "კოკა-კოლა" ქართული ფოლკლორის მხარდაჭერას, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. "სუხიშვილების" საიუბილეო მიღება კი სწორედ ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი ნაყოფი იყო. "სამეცნიერო პროექტების გარდა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პოლიტიკის ნაწილია, პატივი მივაგოთ საქართველოში არსებულ დამსახურებულ კოლექტივებს. "სუხიშვილები" - ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაა; მათ შექმნეს ქართული ცეკვის დიდი სკოლა. აქედან გამომდინარე, გვინდა, რომ გამოვხატოთ ჩვენი თაყვანისცემა მათდამი", - გვითხრა ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა, რომელმაც გუშინდელი ღონისძიება ხალხური სიმღერის ანსამბლის "ლაშარის" მიერ შესრულებული სიმღერებითაც გაალამაზა.

მიღებას "კოკა-კოლასთან" ერთად ღვინო "თელიანი ველიც" მასპინძლობდა, კომპანია, რომელიც ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ქართულ ნაციონალურ ბალეტთან. "თელიანი ველის" ფინანსური მხარდაჭერის წყალობით მოეწყო "სუხიშვილების" გასტროლები უკრაინაში. "სპონსორიც არ შეიძლება ითქვას. უბრალოდ, ჩვენი ღვინით მოვედით და გვინდა, გავუმასპინძლდეთ ამ ლეგენდარულ ანსამბლს; ყოველთვის ვიქნებით მათ გვერდში, როგორც შეგვეძლება, ჩვენი პროდუქციით", - განაცხადა კომპანიის ხელმძღვანელმა გიორგი ხუციშვილმა.

რომ არა ბოლო დღეებში თბილისს შემოჩვეული უამინდობა, მასპინძლობა "კოკა-კოლას" ქარხნის ბაღში გაცილებით უკეთესი იქნებოდა. მართალია, ქარმა ღია ცის ქვეშ გაშლილი მაგიდასკამები არაერთხელ ამოატრიალა და ბევრი კოკა-კოლაც დაღვარა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, სტუმარმასპინძლობა სასიამოვნო გამოდგა, რითაც, ცხადია, განსაკუთრებით კმაყოფილი იყვნენ ღონსიძიების მთავარი გმირები - თითქმის მთელი შემადგენლობით მოსული ანსამბლის წევრები და თავად თენგიზ სუხიშვილი. ბატონმა თენგიზმა საიუბილეო კონცერტების პირველი დღის შთაბეჭდილებაც გაგვიზიარა: "კონცერტების პირველ დღეს ყოველთვის მეტია ნერვიულობა. თუმცა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამ კონცერტებზე ნაჩვენებია მთელი ჩვენი 60-წლიანი ისტორია, ანსამბლის მიერ განვლილი გზა; წარმოვადგენთ ძველ და ახალ პროგრამას და ორ სრულიად ახალ ცეკვას". ეს ყველაფერი სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში უანტრაქტოდ 2 საათსა და 15 წუთს გრძელდება; საცეკვაო ნომრებთან ერთად "სუხიშვილების" ისტორიას ეკრანზე გაშვებული ფილმიც გვახსენებს. რაც შეეხება ანსამბლის უახლოეს გეგმებს: ივნისში ქართული ნაციონალური ბალეტი თვენახევრით ევროპის ქვეყნებში მიემგზავრება, შემოდგომაზე დაგეგმილია კონცერტები რუსეთსა და უკრაინაში, შემდეგ - გერმანიაში. ანსამბლის 60-წლიანი ისტორიის ფოტოდათვალიერება კი კვირას ეროვნულ გალერეაში იქნება შესაძლებელი.

# მატარებლით მიზნებამდე

## გამარჯვების ათი წელი

*ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლადო ათანელმა პირველად დაიმსახურა ევროპელი მაყურებლის ოვაცია და დიდი წარმატების ძიებაც დაიწყო. უკვე დიდი ხანია, რაც ათანელს ყველაზე მაღალი დონის კრიტიკამ აღმოჩენა უწოდა. მისი ხმა კი "პლანეტის ყველაზე ძლიერ, ხავერდოვან და სასიამოვნო" ბარიტონად აღიარეს. ამ საღამოს ლადო ათანელი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში კონცერტს გამართავს. მასთან ერთად მაყურებლის წინაშე უნდა წარმდგარიყო უნგრელი ვოკალისტი გეორგინა ლუკაჩი, თუმცა, სოპრანოს ვიზიტი გადაიდო. მის ნაცვლად, ბარიტონს პარტნიორობას გაუწევს ქალბატონი მაყვალა ქასრაშვილი. იგი თბილისში დღეს, კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოვა, ამიტომ გუშინ თეატრში მოწყობილ პრესკონფერენციას არ ესწრებოდა. ჟურნალისტთა შეკითხვებს ლადო ათანელთან ერთად მისი მეუღლე და იმპრესარიო, ქალბატონი მანანა ჩიქოვანი და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანლი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი პასუხობდნენ.*

სოფო კილასონია

ხანგრძლივი განშორების შემდეგ, ლადო ათანელი ჯერ ნაცნობ და უცნობ სახეებს მიესალმა, შემდეგ კი განვლილ ათ ძვირფასსა და მნიშვნელოვან წელიწადს გადახედა. **"ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება, გამოვიდე ჩემი სამშობლოს დიდ კულტურის ტაძარში, ეროვნულ თეატრში და იმ სცენაზე, რომელზეც ფეხი ავიდგი; მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მომეცა ქართველი ხალხის წინაშე გამოსვლის საშუალება. ამისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ თეატრის დირექციას, სამხატვრო ხელმძღვანელს ზაზა აზმაიფარშვილს და გენერალურ დირექტორს დავით საყვარელიძეს, რომელმაც ღონე არ დაიშურა, რათა ეს კონცერტი შემდგარიყო. ეს ათი წელი იყო მხოლოდ და მხოლოდ აღმავლობის წლები, თუმცა, ეს ყველაფერი დიდი შრომის შედეგია. რა არის წარმატებისთვის აუცილებელი? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უნდა გქონდეს ღვთისგან ნაბოძები ხმა. მაგრამ ეს მინიმუმია, ამას უნდა მოვლა, გაფრთხილება, დახვეწა და განვითარება. განვითარება არა მხოლოდ ვოკალურად, არამედ გლობალურად, ინტელექტუალურად. მუსიკალურადაც ძალიან ბევრი ფაქტორია. იღბალიც ბევრს ნიშნავს. მატარებელი რომ ჩამოდგება, შენს კუპეში დროულად უნდა ჩაჯდე, არ დააგვიანო და ეს უკვე გარანტიაა იმისა, რომ იგი დანიშნულების ადგილზე მიგიყვანს, მიზნებამდე მიგაცილებს... ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ, ქართველ მუსიკოსებს, დონე არ გვქონდა, მაგრამ აშკარად იგრძნობა დიდი ენერგია და დიდი პროგრესი ორკესტრისა. ჟღერადობაა ძალიან სავსე. არა მგონია, რომ ეს მხოლოდ მატერიალური ფაქტორებიდან გამომდინარეობს. ბუნებრივია, შემოქმედისთვის ბევრს ნიშნავს საერთოდ დამოკიდებულება, მაგრამ ამ წინსვლას პირველ რიგში ზაზას დიდ ნიჭიერებას დავაბრალებ."**



*ზაზა აზმაიფარაშვილი და ლადო ათანელი პრესკონფერენციაზე.*

თავად დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა ლადო ათანელს მადლობა გადაუხადა ჩამობრძანებისთვის. "მისი განრიგი ხუთი წლით ადრე არის გათვლილი. ეს შესანიშნავი მოვლენაა არა მარტო თეატრის ისტორიისთვის, არამედ საქართველოსთვის. მისი ხმის გაგონებას ყველა ელოდა, ყველა დიდი ყურადღებით ეკიდება მის გასტროლს. ბევრი უსვამს თავს კითხვას - არის თუ არა ლადო ისევ ისეთი? თუ არა? - მინდა გითხრათ, რომ არც ერთ მსოფლიო ვოკალისტზე ნაკლები არ არის. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალია. მე სიამაყის გრძნობით გეუბნებით, რომ ჩვენ გვყავს ერთ-ერთი საუკეთესო ბარიტონი. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ლადოს და გამოვეკიდო მის სიტყვას - ხშირად ჩამოვალო, რომ თქვა. სამომავლოდ ჩვენ სწორედ ამაზე ვიმუშავებთ.

პრესკონფერენციის დასასრულს ბარიტონის მეუღლემ, ქალბატონმა მანანა ჩიქოვანმა მის მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნი წარმოგვიდგინა. "ლადო ათანელი - 10 წელი მსოფლიო საოპერო სცენებზე" მომღერლის ოცდახუთ პერსონაჟს და სხვადასხვა საინტერესო ფოტოს აერთიანებს. ფოტოგალერეას ათანელზე დაწერილი წერილები და ჩანახატები ახლავს. ამ წიგნისა და ლადო ათანელის დისკის პრეზენტაციას ბევრად უფრო ფართო მაყურებელი დღეს საღამოს, კონცერტის პარალელურად, ოპერისა და ბალეტის თეატრში იხილავს.

# T-REX-ის დაბრუნება

## ზაზა თვარაძის მგზავრობისდროინდელი ლექსები

ია ვეკუა

ვისაც ეგონა, რომ წერა-კითხვის თემა წიგნის ფესტივალის დასრულებისთანავე ამოიწურა, შეცდა. გარდა იმისა, რომ 10-12 ივნისს მზიურის ფესტივალის ლიტერატურული საღამოები გველის, პოეზიის მოყვარულებმა საზაფხულოდ უგემრიელესი ჩაროზი მიიღეს. ზაზა თვარაძის ლექსების კრებული Tyrannosaurus Rex ამ ჟანრის თაყვანისმცემლებთან ერთად იმ სკეპტიკოსებსაც გააბედნიერებს, ვინც უახლოეს მომავალში საკუთარ ცნობიერებაში ქართული პოეზიის დაკრძალვის დღეს ელოდა.

გამომცემლობა "არეტეს" მიერ დასტამბულ კრებულში მხოლოდ ათი ლექსია გაერთიანებული. ავტორი მათ 1991-დან 2004 წლამდე ქმნიდა. თუმცა, თხზვის ასეთი ხანგრძლივი პერიოდი არაფერია იმასთან შედარებით, თუ სად იწერებოდა თვარაძის "დამიწებული" თუ "მიზანს აცდენილი" ლექსები: მეტროში, სამარშრუტო ტაქსში, ავტობუსში - ერთი სიტყვით, მოძრაობისას უძრაობის ხანაში. კაფე "პარნასში" მოწყობილ პრეზენტაციაზე ითქვა კიდეც, რომ 90-იან წლებში ლექსის შექმნის სურვილი ძალიან ცოტას ჰქონდა შერჩენილი, ხოლო უფრო ცოტა წერდა.

წერდა ზაზა თვარაძეც:
"ღამეა. შემომიცვივდნენ
Tyrannosaurus Rex-ები"...

თუ ამ წიგნისსათაურიანი ლექსის მხოლოდ დასაწყისს წაიკითხავთ, იფიქრებთ, თვარაძეს ღამით სისხლისმსმელი მხეცები შეუხტნენ, ის კი, ყოჩაღ, როგორ გადარჩენილაო. პირველი სტრიქონების შემდეგ კი ირკვევა, რომ ეს ხორცისმჭამელი დინოზავრები პოეტის ერთადერთი კეთილისმსურველები არიან.



*ზაზა თვარაძე, შადიმან შამანაძე და ნუგზარ შატაიძე კაფე "პარნასში".*

**ზაზა თვარაძე:** "ლექსის ჩაფიქრება ან მოფიქრება შეუძლებელია, ლექსი თავისით იწერება. ჯერ რიტმი უნდა მოგივიდეს - და-გა-და-გა-და-გა, მერე ამ "დაგადუგზე" სიტყვები უნდა აასხა, აკინძო და გაამთლიანო. თავში ჯერ პირველი ფრაზა გამოჩნდა: "ღამეა. შემომიცვივდნენ Tyrannosaurus Rex-ები" (ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ დინოზავრები და მათი სამყარო ძალიან მიყვარს). მერე ამ ფრაზას სხვა სიტყვები მივაბი და ასე გავაგრძელე, ვიდრე ყველა სიტყვა არ ამოვწურე. საბოლოოდ, ასეთი ლექსი გამოვიდა. ტირანოზავრები გადაშენებული, ძლიერი არსებები არიან. ისინი კი მესტუმრნენ და დამცინიან, ეს რა დაგიწერია ("ხან ზაზოზავრი მიძახეს, ხან თვარაძოოპტერიქსი"). ასეთი რამის თქმის უფლება კი მხოლოდ გალაკტიონს და მისნაირებს აქვთ..."

ასეთ დინოზავრებთან პირდაპირმა თუ წიგნიერმა ურთიერთობამ თვარაძე იმდენად გაწაფა, რომ "დამიწებულ ლექსში" ლექსის წერის საკუთარ რეცეპტს გვთავაზობს:

"არ შეიძლება ლექსი იყოს ზედმეტად რთული.

არამედ ლექსი უნდა იყოს დამიწებული!"

შეიძლება ითქვას, რომ ავტორი საკუთარი რეცეპტისადმი ერთგულებას თითქმის ყველა ნაწარმოებში გვიმტკიცებს. იგი თითოეული ფრაზით პირდაპირ მკითხველთან ამყარებს კავშირს და მხოლოდ საკუთარი თვალისა და ყურის გასახარებლად არ წერს. თუნდაც უკვე ხსენებული Tyrannosaurus Rex, რომელიც დინოზავრის კუდივით გრძელია და წიგნის ცხრა გვერდზეა გაწოლილი, საკუთარ ოთახში პირველლამეგატარებული შვილის მიერ მოყოლილი სიზმარივით საამოდ მოსასმენია.

როგორც წესი, წიგნის პრეზენტაციაზე ავტორის მისამართით თბილი და ტკბილი სიტყვები ისმის. ასე იყო ზაზოზავრ თვარაძოოპტერიქსის წიგნის "პრემიერაზეც", თუმცა, ეს, აშკარად, ის შემთხვევა იყო, როდესაც არავინ ტყუის, რადგან მოტყუება შეუძლებელია (თანაც, ეს ის ხალხია, ტყუილი რომ არ შეშვენით).

**ნუგზარ შატაიძე:** "ერთ დროს ერთად ვმუშაობდით, ხშირად მიკითხავდა თავის ლექსებს, მერე ვკამათობდით. იგი არაორდინარული ადამიანია, რაც მის ლექსებშიც ჩანს. ყველაზე მეტად "ოდა რუსთაველს" მომწონს. ვფიქრობ, იგი საუკეთესოა იმ ლექსებს შორის, რაც ქართულად დაწერილა. მიხარია, წიგნი რომ გამოვიდა, რადგან ამ ლექსის წაკითხვა ხშირად მინდება".

**ზვიად რატიანი:** "მატყუარა ლექსები აქვს. თავიდან თითქოს არ მოგწონს, ახლოს არ გიშვებს. მე დიდი ხნის განმავლობაში ვერ შევეჩვიე მათ ჟღერადობასა და ფორმას, მაგრამ ხომ გითხარით, მატყუარა ლექსები აქვს-მეთქი. ზაზა თითქოს ადვილად წერს, დაუდევრად, იოლად. თუმცა, ვინც თავად წერს, ის მაშინვე მიხვდება, რად დაუჯდა ავტორს თითოეული ფრაზა".

**შადიმან შამანაძე:** "ზაზას პოეზიას მისი თაობა ძნელად მიხვდება, რადგან მათთვის არ დაწერილა. შემდეგი თაობა უფრო კარგად შეაფასებს - ამ პოეზიის გასაგებად კიდევ ერთი საფეხურით მაღლა ასვლაა საჭირო".

როდესაც პრეზენტაციის წამყვანმა, ბესო ხვედელიძემ, ერთ-ერთი ლექსის წაკითხვა განიზრახა, თვარაძემ გარიდება ამჯობინა, სამაგიეროდ გაგვიმხილა, როგორ წერდა ტრანსპორტით მგზავრობისას: "(იმიტომ გამოვედი, რომ კარგად ვიცი, ბესო როგორც წაიკითხავს) პოეზია, ცალკეული რითმები ადამიანს ყოველთვის უტრიალებს თავში. შეიძლება მაშინ არაფერი გაგახსენდეს, როდესაც, ვთქვათ, ვინმე გცემს. მაგრამ კარგია, თუ ამ ცემის შემდეგ კამერაში ჩაგსვამენ - დილით რომ გაიღვიძებ, ისევ ფრაზების წვიმაში აღმოჩნდები, რაც, საბოლოოდ, ლექსად იქცევა. მე ასეთი რამ ტრანსპორტში მემართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ გნიასი დიდად არ მიყვარს".

**P.S.** იმედია, მომავალ "საბამდე" ზაზა თვარაძის კრებულს ბევრი წაიკითხავს.

# ამბოხი, რომელიც არ მთავრდება

http://www.jamesdeanfest.com/index.asp და http://www.jamesdean.com/index.php - ამ მისამართებით ვიწყებთ სპეციალურად მათთვის, ვინც დღემდე "მარადიული მეამბოხის" თაყვანისმცემელია და იმის შესახებაც იცის, რომ შაბათ-კვირას ერთი პატარა ამერიკული ქალაქი ინდიანას შტატში ჯეიმს დინის სახელობის სამდღიან ფესტივალს მასპინძლობს.

2005-ში ჯეიმს დინის გარდაცვალებიდან 50 წელი გავიდა. ფესტივალიც მის მშობლიურ ქალაქში, მერიონში ამ თარიღის აღსანიშნად იმართება. წინასწარი ვარაუდით, სტუმრების რიცხვი 100 ათასს მიაღწევს. იქნებიან ვარსკვლავებიც, მათ შორის, მარტინ შინი და დენის ჰოპერი. ღია ცის ქვეშ, მერიონის აეროპორტის ტერიტორიაზე დამონტაჟებულ ასფუტიან ეკრანზე მოეწყობა დინის ფილმების ჩვენება. კერძოდ, სტუმრებს საშუალება ექნებათ გაიხსენონ: "ედემის აღმოსავლეთით", "მეამბოხე მიზნის გარეშე" და "გიგანტი".

საგანგებო ღონისძიებები იგეგმება ყველა იმ ადგილზე, რომელიც ჯეიმს დინის სახელს უკავშირდება: სასაფლაოზე, სადაც მსახიობია დაკრძალული, ფერმაში, სადაც ის 9-18 წლის ასაკში იზრდებოდა, ფერმაუნთის საშუალო სკოლაში - სადაც სწავლობდა და სასკოლო დადგმებში მონაწილეობდა.

სტუმრებისთვის ღიაა ფერმაუნთის ისტორიის მუზეუმის კარიც. საგანგებოდ საფესტივალოდ გახსნილ გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი არტეფაქტი მისი ცხოვრებიდან: ტანსაცმელი, წერილები, ხელოვნების ნიმუშები, მისი კუთვნილი დასარტყამი ინსტრუმენტები. გარდა ამისა, მერიონში მუდმივად მოქმედებს ჯეიმს დინის გალერეაც, რომელიც მსახიობის შესახებ მსოფლიოში უდიდეს კოლექციას ინახავს.

სანფრანცისკოელი კინოისტორიკოსი დევიდ თომსონი დარწმუნებულია, რომ ფესტივალზე დასწრების უამრავი მსურველი გამოჩნდება, რადგან დინი დღემდე რჩება ახალგაზრდული ამბოხის უცვლელ სიმბოლოდ. კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ნაადრევმა სიკვდილმა დინი თითქოს დროში გაყინა - ის მარადიულად სიმპათიური, პრინციპული, ვაჟკაცური, შეუვალი და ტრაგიკული დარჩა. ჯეიმს დინი დიდ ეკრანზე სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა ახალი თაობა ეიზენჰაუერის კონფორმისტულ ეპოქაში ანტიგმირებს, არაორთოდოქსულ ლიდერებს ეძებდა. თამაშის თავისებური ნიჭით, ბრაზიანი იმიჯით, სიახლისადმი მისწრაფებით და თავისუფალი ბუნებით ჯეიმს დინი სწორედ ასეთი გმირი გახდა. გარდაიცვალა 24 წლის ასაკში, ანუ იმ ეპოქის დანარჩენი ანტიგმირების - მარლონ ბრანდოსა და ელვის პრესლის დარად, არ დაბერდა და არც ღიპიანი ბაბუა გახდა.

"დინი ყოველთვის ზენიტშია. მუდამ. ის სიცოცხლეშივე უკვდავი იყო და სწორედ ეს არის ყველაზე საოცარი რამ მისი ბიოგრაფიის შესახებ. ყველა, აბსოლუტურად ყველა, თავისებურად წარმოიდგენს იმას, თუ როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, ასე ადრე რომ არ გარდაცვლილიყო", - დასძენს თომსონი.

ჯეიმს დინი 9 წლისა იყო, როცა დედა სიმსივნით გარდაეცვალა. მამამ ბავშვი კალიფორნიიდან დეიდასთან და ბიძასთან, ფერმაუნთის ფერმაში გაგზავნა. დინის ბიძაშვილი მარკუს უინსლოუ იგონებს, რომ ჯეიმსი მხიარული ბიჭი იყო, ოღონდ დროდადრო - დედის გარდაცვალების გამო სევდიანი. უყვარდა მოტოციკლები, თავიდანვე იყო არტისტული, ხატავდა, ძერწავდა და სკოლის თეატრალურ დადგმებშიც მონაწილეობდა.



ჯეიმს დინი

"როცა ფერმიდან წავიდა, უკვე დარწმუნებული იყო, რომ ყველაზე კარგად მსახიობობა გამოუვიდოდა. უნდოდა, თავის სფეროში ყველა მწვერვალი დაეპყრო. და მიზნის მიღწევა შეძლო კიდეც. დიდი შრომის შედეგად მიაღწია საწადელს", - აცხადებს უინსლოუ, რომელიც ჯეიმს დინის პირდაპირ მემკვიდრედ ითვლება.

1949 წელს, ფერმაუნთის სკოლის დამთავრების შემდეგ, დინი დასავლეთისკენ, კალიფორნიისკენ გაემგზავრა, ლოს ანჯელესში კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩასაბარებლად. შემდეგ ნიუ იორკში გადავიდა, სადაც ძალიან პრესტიჟულ "მსახიობთა სტუდიაში" მიიღეს. დიდ ეკრანზე გამოჩენამდე მიიღო რამდენიმე სატელევიზიო როლი და ბროდვეიზეც ითამაშა. შემდეგ კი გამოვიდა "ედემის აღმოსავლეთით" და ჯეიმს დინი ვარსკვლავი გახდა.

მეორე ფილმი იყო "მეამბოხე", მესამე - "გიგანტი". გადაღებების დასრულებიდან მალევე, დინის ვერცხლისფერ "პორშე სპაიდერს" კალიფორნიის ერთ-ერთ მივარდნილ გზაზე სატვირთო მანქანა შეეჯახა. დინი ადგილზევე გარდაიცვალა. ეს მოხდა 1955 წლის 30 სექტემბერს. მერიონს იმავე წელს შეესია მსახიობის თაყვანისცემელთა ჯარი. ისინი ქალაქში ყოველწლიურად იკრიბებიან. თუმცა, წელს მრგვალი თარიღის გამო, ჯეიმს დინისადმი მიძღვნილი ღონისძიებების რიცხვი ერთიორადაა გაზრდილი. სტუმრებს კი იაპონიიდან და ავსტრალიიდანაც ელიან. დენის ჰოპერი ისაუბრებს დინზე და გაიხსენებს ყველაფერს მის შესახებ. მათ ხომ ერთად ორ ფილმზე იმუშავეს: "მეამბოხე" და "გიგანტი". იქვე იქნება მარტინ შინიც, რომელიც პუბლიკას წარუდგენს დოკუმენტურ ფილმს "ჯეიმს დინი: მარად ახალგაზრდა". ფილმს შინი ახმოვანებს.

ასე რომ, მარად მეამბოხეს და მარად ახალგაზრდას ერთი გრძელი ამერიკული უიკენდი ეძლვნება.

# სამი ამბავი წიგნის თაროდან

## პოლ მაკარტნის ლიტერატურული ვნებანი

ლეგენდარულ პოლ მაკარტნის მადონას წყალი გადაესხა და საბავშვო ლიტერატურის შექმნას მოჰკიდა ხელი. ზღაპრების გამოცემამ მადონას, თავის დროზე, რეპუტაციის გამოსწორებაში შეუწყო ხელი. ახლა მას გადარეულ ალქაჯად კი არა, ორი შვილის დედად და ერთგულ მეუღლედ მოიხსენიებენ. ვინაიდან პოლ მაკარტნის რეპუტაცია ისედაც შეურყვნელია, ზღაპრების შეთხზვა, სავარაუდოდ, უსაქმურობის ნიადაგზე გადაწყვიტა.

წიგნი სახელწოდებით "მაღლა, ღრუბლებში" მუსიკოსმა ცნობილ საბავშვო მწერალ ფილიპ არდახთან ერთად დაწერა. დუეტს ანიმატორი ჯეფ დანბარიც ეხმარებოდა. ზღაპრის მთავარი პერსონაჟები ორი ციყვი და პატარა ბაყაყი არიან. ისინი მეგობრობენ და ერთობლივი ძალებით სხვა ცხოველების გადარჩენას ცდილობენ. წიგნის დაწერის სურვილი მაკარტნის 2004 წელს გამოსულ ანიმაციურ ფილმ "ტროპიკული კუნძულის ხმაურზე" მუშაობისას გაუჩნდა. ამ ფილმისთვის დაწერილმა სიმღერამ ბრიტანულ ჰიტ-აღლუმში 21-ე ადგილი დაიკავა.

წიგნი ცნობილმა პოლიგრაფიულმა ჰოლდინგმა Penguin Young Readers Group-მა დასტამბა. ინგლისის წიგნის მაღაზიებში უკვე დაიწყო სარეკლამო კამპანია, რომელიც წიგნის დახლებზე გამოჩენის შემდეგაც გაგრძელდება.

ექს-ბიტლის პირველი მცდელობის შედეგი საბავშვო ლიტერატურაში ოქტომბრიდან გამოვა. წიგნი 500-ათასიანი ტირაჟით გამოიცემა და, თუ მისი ავტორის უსაზღვრო პოპულარობას გავითვალისწინებთ, მაკარტნისაც და გამომცემლებსაც სოლიდურ მოგებას მოუტანს. ვინაიდან მუსიკოსი ქველმოქმედებითაა ცნობილი, შემოსავალს, სავარაუდოდ, რომელიმე ფონდში გადარიცხავს. მაკარტნის თქმით, ამ ნაწარმოებზე დიდი გულისყურით მუშაობდა, ამიტომ სიამოვნებას განიცდის იმის გამო, რომ, ბოლოს და ბოლოს, წიგნს იხილავს. "წერის პროცესი ძალიან მომეწონა. მით უმეტეს, რომ ამას ბავშვებისთვის ვაკეთებდი. ვფიქრობ, კარგი ისტორია გამომივიდა და ყველას მოეწონება", - აღნიშნა ავტორმა.

### 30 წლის შემდეგ

"პრეზიდენტის მთელი ამალა" - თუ წიგნი არა, ეს ფილმი მაინც უამრავ ადამიანს აქვს ნანახი, მაგრამ ინტერესი მის მიმართ მაინც არ ცხრება. წიგნი პირველად 1974 წელს გამოვიდა გასაყიდად და პრეზენტაციიდან 30-ზე მეტი წლის შემდეგ მაინც ბესტსელერია.


ისმაილ კადარე



მაკარტნის წიგნი ოქტომბერში გამოვა.



"პრეზიდენტის მთელი ამალა" ისევ ბესტსელერია.

ყველამ იცის, როგორი კოლოსალური გაყიდვების მაჩვენებელი აქვს "ამაზონს". სწორედ "ამაზონის" ბესტსელერთა ნუსხაში გავიდა 27-ე ადგილზე ეს ცნობილი წიგნი უოტერგეიტის სკანდალური გამოძიების შესახებ.

განახლებულ ინტერესს ძველი გამოცემის მიმართ კონკრეტულად ერთი გარემოება განაპირობებს: რამდენიმე ხნის წინ გაირკვა, რომ ჟურნალისტებს კარლ ბერნშტეინსა და ბობ ვუდვორდს საიდუმლო ინფორმაციებს თავიანთი გახმაურებული გამოძიებისთვის მაშინდელ FBI-ში რანგით მეორე კაცი, მარკ ფელტი აწვდიდა. სწორედ ფელტი გახლდათ იდუმალებით მოცული სუპერ-წყაროს Deep Throat-ის ("ღრმა ხახა") პროტოტიპი წიგნში.

გამომცემლობა "საიმონი & შუსტერის" წარმომადგენელი ვიქტორია მეიერი აცხადებს: "ეს უზარმაზარი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენაა, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ მკითხველის ინტერესი არ ცხრება".

"ამაზონის" გარდა, "პრეზიდენტის მთელი ამალა" წინ მიიწევს ცნობილი ქსელის "ბარნზ & ნოუბლის" ბესტსელერთა სიაშიც.

თემით დაინტერესებულებს კი გამომცემლობა "საიმონი & შუსტერი" ერთ სიურპრიზსაც უმზადებს. ივლისის დასაწყისში გამოვა წიგნი "იდუმალი კაცი: უოტერგეტელი Deep Throat-ის ამბავი", რომლის ავტორიც უოტერგეიტის სკანდალის უშუალო მონაწილე, ვეტერანი ჟურნალისტი ბობ ვუდვორდი გახლავთ. მცირე ზომის წიგნში ვუდვორდი მოგვითხრობს, თუ როგორ შეხვდა მარკ ფელტს და როგორ გახდა ის უკანასკნელი უოტერგეიტის საგის მთავარი წყარო.

### ბალკანეთი ლიტერატურულ მიკროსკოპში

მკითხველმა კარგად იცის: "ბუკერი" ორგვარი არსებობს, ბრიტანული და საერთაშორისო. თუ ბრიტანული "ბუკერი" საშემოდგომოდ ახარებს პუბლიკას, საზაფხულო საზრდოს მისი საერთაშორისო "ფილიალი" ორ წელიწადში ერთხელ გვაძლევს ხოლმე. წელს "ბუკერის" უცხოურ ვარიანტს ალბანელი მწერალი ისმაილ კადარი მიიღებს. 27 ივნისს ედინბურგში გამართულ ცერემონიალზე კადარი 60 ათასი გირვანქა სტერლინგით დაჯილდოვდება. დამატებით 15 ათას სტერლინგს ის თარგმნის ხარჯისთვის მიიღებს.

ჟიურის თავმჯდომარემ პროფესორმა ჯონ კერიმ გამარჯვებული ავტორი ასე დაახასიათა: "ის უნივერსალური მწერალია, იმ ტრადიციული წერის სტილის გათვალისწინებით, რომელიც ჯერ კიდევ ჰომეროსით იწყება".

კადარემ ძალიან ცნობილი ავტორები მოიტოვა უკან. საერთაშორისო "ბუკერის" ჯილდოზე ხომ ასევე წარდგენილნი იყვნენ: მიურიელ სპარკი, დორის ლესინგი და იან მაქევანი.

ისმაილ კადარე 1990-იანი წლებიდან მოყოლებული საფრანგეთში ცხოვრობს, როგორც პოლიტიკური ლტოლვილი. თუმცა, თავს მაინც ძველ ბალკანელად მიიჩნევს და აცხადებს: "მტკიცედ მჯერა, რომ ევროპისა და მთლიანად მსოფლიოს დამოკიდებულება ამ რეგიონის მიმართ ბევრ რამეს შეცვლის. იმედი მაქვს, რომ ბალკანეთი აღორძინდება და აღორძინდება მისი ხელოვნებაც და ლიტერატურაც".

კადარეს პირველი რომანი "გენერალი და მკვდარი არმია" 1963 წელს გამოქვეყნდა და მას შემდეგ ავტორი 40-მდე ქვეყანაში იბეჭდება.

## ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ხალხური (შემდგენელი ვახტანგ კოტეტიშვილი) | [illegible] | "დიოგენე" | 18.8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4 |
| ჭაბუა ამირეჯიბი | [illegible] | "ჭაბუა" | 3.2 |
| [illegible] | "საქართველო" | | 2.8 |
| ჭაბუა ამირეჯიბი | "გორა მბორგალი" | "ჭაბუა" | 2.8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 |
| გურამ დოჩანაშვილი | "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" | "საარი" | 2 |
| [illegible] | "საქართველოს ატლასი მოზარდთათვის. ბუნება და კულტურა" | "დიოგენე" | 2 |
| ირაკლი კაკაბაძე | "თანაგრძნობის სიმღერა" | "სიესტა" | 1.6 |

**ყველაზე პოპულარული ალბომების ათეული ევროპაში ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**

| შემსრულებელი | ალბომი | ხმის ჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| System Of A Down | Mesmerize | "ამერიკან/ქოლამბია" |
| Faithless | Forever Faithless (უდიდესი ჰიტები) | [illegible] |
| ვან მორისონი | Magic Time | [illegible] |
| ბრიუს სპრინგსტინი | Devils & Dust | "ქოლამბია" |
| ილ დივო | Il Divo | [illegible] |
| მაიკლ ბაბლი | It's Time | "რეპრაიზი" |
| 50 ცენტი | The Massacre | "ინტერსკოუპი" |
| ეკონი | Trouble | [illegible] |
| გვენ სტეფანი | Love.Angel.Music.Baby | "ინტერსკოუპი" |
| "გრინ დეი" | American Idiot | "რეპრაიზი" |



**კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი III – სითის შურისძიება" | ჯორჯ ლუკასი | ჰაიდენ კრისტენსენი, ნატალი პორტმანი, იუენ მაკგრეგორი, სემუელ ლ. ჯექსონი | 70,047,055 | 270,489,794 |
| "მადაგასკარი" | ერიკ დარნელი, ტომ მაკგრეთი | ბენ სტილერი, კრის როკი, დევიდ შვიმერი | 61,012,130 | 61,012,130 |
| [illegible] | პიტერ სიგალი | ადამ სენდლერი, კრის როკი, ბერტ რეინოლდსი, ნელი | 58,613,245 | 58,613,245 |
| [illegible] | რობერტ ლუკეტიკი | ჯეინ ფონდა, ჯენიფერ ლოპესი, [illegible] | 12,789,837 | 62,445,081 |
| Kicking & Screaming | ჯესი დილანი | უილ ფერელი, რობერტ დიუვალი, კეიტ უოლში | 6,510,385 | 44,123,965 |
| "ავარია" | პოლ ჰაგისი | სანდრა ბულოკი, დონ ჩიდლი, მეტ დილონი, ჯენიფერ ესპოზიტო | 6,059,909 | 36,197,686 |
| "თარჯიმანი" | სიდნი პოლაკი | ნიკოლ კიდმანი, შონ პენი, კეტრინ კინერი | 2,605,475 | 69,198,735 |
| Unleashed | ლუი ლეტერიე | მორგან ფრიმენი, ჯეტ ლი, ბობ ჰოსკინსი | 2,491,913 | 22,103,027 |
| [illegible] | რიდლი სკოტი | ორლანდო ბლუმი, ლიამ ნისონი, ჯერემი აირონსი, ევა გრინი | 2,284,520 | 45,028,751 |
| "ცვილის სახლი" | ხაუმე კოლეტ-სერა | ელიშა ქათბერტი, ჩედ მაიკლ მიურეი | 1,628,319 | 29,861,321 |

ინფოთეკა

### ბუფონი "იუვენტუსიდან" არ წავა

იტალიური კლუბის "იუვენტუსის" მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა უარყო ხმები გუნდიდან მისი წასვლის შესახებ. მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა "მანჩესტერ იუნაიტედი", რომელიც მზად იყო, ბუფონისთვის 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაეხადა. გარდა ამისა, მისი შეძენა სურდა მადრიდის "რეალს", თუმცა, თავად მეკარემ კატეგორიულად განაცხადა, რომ ტურინის დატოვებას არ აპირებს. მეტიც, ბუფონი დარწმუნებულია, რომ "იუვე" მომავალ სეზონზე ჩემპიონთა ლიგას მოიგებს.

### "ნიუკასლს" ჭერ კიდევ აქვს ოუენის შეძენის იმედი

ინგლისური კლუბის "ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მადრიდის "რეალის" ფორვარდის მაიკლ ოუენის შეძენა სურს. მათი წარმომადგენლის განცხადებით, ინგლისელები კვლავაც მზად არიან, თავდამსხმელისთვის 18 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ. "ნიუკასლის" გარდა, ამ ფეხბურთელისთვის იბრძვიან სხვა ინგლისური გუნდები: "არსენალი", "ჩელსი" და "მანჩესტერ იუნაიტედი".

### ადრიანოს "ჩელსიში" გადასვლა არ უნდა

იტალიური კლუბის "ინტერის" ფორვარდმა ადრიანომ განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და იგი არ აპირებს ლონდონის "ჩელსიში" გადასვლას. ბრაზილიელის განცხადებით, ინგლისში გადასვლას ესპანეთში თამაში ურჩევნია. ამ დროს კი ლონდონელები ფეხბურთელისთვის 60 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას გეგმავენ, თუმცა, როგორც ჩანს, ეს გარიგება არ შედგება.

შეგახსენებთ, გასულ სეზონზე იტალიის ჩემპიონატში ადრიანომ 16 ბურთი გაიტანა.

### პაპადოპულოს "ლაციოდან" წასვლა მოუწევს

"ლაციოს" მთავარმა მწვრთნელმა ჯუზეპე პაპადოპულომ კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის პირობებზე შეთანხმება ვერ მოახერხა, ამიტომაც ივნისის ბოლოს კლუბიდან წასვლა მოუხდება. ამის შესახებ ნათქვამია თავად პაპადოპულოს განცხადებაში, რომელიც იტალიურმა საიფორმაციო სააგენტო ANSA-მ გაავრცელა.

"სიენას" ყოფილი თავკაცი "ლაციოს" გასული წლის დეკემბერში ჩაუდგა სათავეში. რომის გუნდმა იტალიის ჩემპიონატში მეათე ადგილი დაიკავა, თუმცა, უკანასკნელ ტურამდე არ არსებობდა იმის გარანტია, რომ "ლაციო" ელიტური დივიზიონიდან არ გავარდებოდა.

იტალიური პრესა "ლაციოს" მწვრთნელის პოსტზე კანდიდატებად ასახელებს ჯოვანი ტრაპატონის (თავის დროზე იტალიის ეროვნული ნაკრებისა და პორტუგალიური "ბენფიკას" თავკაცი) და დელიო როსის ("ატალანტას" ყოფილი მწვრთნელი).

ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელობას საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

### ბალაკი შეიძლება "ბაიერნიდან" წავიდეს

მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარმცველის მიხაელ ბალაკის აგენტმა განაცხადა, რომ, კლუბის ხელმძღვანელობისა და ბალაკის შეთანხმების მიუხედავად, ფეხბურთელმა შეიძლება ამ ზაფხულს მაინც დატოვოს კლუბი. მთავარ პრეტენდენტად აგენტი ასახელებს მადრიდის "რეალს", რომელიც მზადაა, ფეხბურთელს უფრო მომგებიანი პირობები შესთავაზოს.

"ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ბალაკის "ბავარიასთან" კონტრაქტს 2006 წლამდე აქვს ვადა, თუმცა, მიუნხენელების მხრიდან გონივრული საქციელი არ იქნება ბალაკის გუნდში დატოვება მომავალ წელს, რადგან ამ შემთხვევაში მას, როგორც თავისუფალს აგენტს, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე შეეძლება "ბაიერნიდან" წასვლა. ფეხბურთელმა იცის, რომ "ბაიერნთან" კონტარქტის ვადის გასვლის შემდეგ მას შეუძლია უკეთესი შეთანხმება გააფორმოს სხვა კლუბთან. ეს შეიძლება მაშინ მოხდეს, თუ ის "რეალის" წინადადებას მიიღებს. არ მეგულება ერთი ფეხბურთელიც კი, რომელსაც მადრიდში თამაშზე უარს იტყვის", - განცხადა ბალაკის აგენტმა ბეკერმა.

ფეხბურთი

# ლონდონელი არისტოკრატი

საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება, მაგრამ, როგორც ჩანს, და თავად ფეხბურთელიც ამბობს, ის უახლოეს მომავალში ლონდონელ არისტოკრატებს შეუერთდება და "ჩელსის" ღირსებას დაიცავს. ამბობენ, რომ ეს ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება რეალური, თუ ლონდონელები ვერ შეიძენენ "ატლეტიკის" ახალგაზრდა მცველს ასიერ დელ ორნოს, რომელიც მომავალში მსოფლიოს უძლიერეს მცველად მოიაზრება. ამას წინათ კახა კალაძემ ინტერვიუ მისცა რუსულ გაზეთ "იზვესტიას", რომელშიც თავის მომავალ გეგმებზე საუბრობს.

- "ჩელსის" ხელმძღვანელობას ყველაფერზე მოველაპარაკე. ახლა დავუცდი იმას, გამონახავენ თუ არა "მილანისა" და "ჩელსის" ხელმძღვანელები საერთო ენას. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ "ჩელსის" ფეხბურთელი ვარ. ვფიქრობ, ეს საქმე მომავალ კვირაში მოგვარდება.

**- "მილანი" ახალ კონტრაქტს გთავაზობდათ, მაგრამ თქვენ ხელი არ მოაწერეთ. რატომ?**

- ბოლო მატჩები სათადარიგოთა სკამზე გავატარე. მე კი ჩემს თავს სათადარიგო მოთამაშედ ვერ ვხედავ. ვერც "მილანში" და ვერც სხვა რომელიმე გუნდში. "მილანთან" ერთად ბევრი ტიტული მოვიგე. ახლა მინდა, იგივე "ჩელსისთან" ერთადაც გავიმეორო. უკვე ხუთი წელია, რაც მილანში ვარ. აქ არის ჩემი სახლი და ბევრი მეგობარიც მყავს. ძალიან შევეჩვიე აქაურ ატმოსფეროს, მაგრამ ახლა მსურს, სხვა კულტურას ვეზიარო და ლონდონში გადავიდე - შეიძლება თანამედროვე ევროპის ცენტრალურ ქალაქში. ევროპაში ჩემი გადაადგილების მარშრუტი საკმაოდ ჭრელი გამოდის: თბილისი - კიევი - მილანი - ლონდონი. მადლობას ვწირავ უფალს, რომელმაც მომცა საშუალება, ასეთ ქალაქებში მეცხოვრა და მეშრომა.



ფოტო: ბესარიონ ზახარიძე (?)

კახა კალაძის ლონდონში გადასვლის საკითხი მომავალ კვირაში გაირკვევა.

**- თქვენ უკმაყოფილო ტონით საუბრობთ "მილანის" რეზერვში ჯდომის გამო, მაგრამ "ჩელსიში", რომელსაც გაცილებით გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს, თვითდამკვიდრება უფრო ძნელი არ იქნება?**

- უბრალოდ, საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ "ჩელსიში" ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად კონკურენცია იქნება. "მილანში" კონკურენცია არ არსებობდა. იქ შემადგენლობას საკუთარი შეხედულების მიხედვით ადგენდნენ და არა იმით, თუ ვინ უფრო კარგ ფორმაში იყო კონკრეტულ მომენტში. მე საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარ. პირველი წელი არ არის, რაც ევროპულ ფეხბურთში ვარ და, ბუნებრივია, ასეთი ყოფა არ მაწყობს. მე მაქსიმალისტი გახლავართ. მინდა, ბევრს მივაღწიო. სწორედ ამისთვის გადავდივარ "ჩელსიში".

**- "მილანში" შემადგენლობის დაკომპლექტების ასეთი უჩვეულო წესი რატომ არსებობდა?**

- ალბათ, იმიტომ, რომ მწვრთნელი კი არ წყვეტდა მინდორზე გამსვლელთა ვინაობას, არამედ სხვა ადამიანები. კონკრეტულად ვინ - ამაზე საუბარი არ მსურს.

**- როგორ ფიქრობთ, "ჩელსიში" რომელ პოზიციაზე ითამაშებთ?**

- გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ თქვა, რომ ჩემს ადგილს გუნდის დაცვის მარცხენა ფრთაზე ხედავს. თუმცა, იცის, რომ შემიძლია, დაცვის ცენტრში და საყრდენ ნახევარმცველადაც ვითამაშო.

**- ჩვენ გავიგეთ, რომ ლონდონურ კლუბში დაცვის მარცხენა ფრთაზე სხვა კანდიდატად მოიაზრება ესპანეთის "ატლეტიკის" ახალგაზრდა ვარსკვლავი ასიერ დელ ორნო, რომელიც ყველაზე პერსპექტიულ მცველად მიიჩნევა მსოფლიოში...**

- მეც მსმენია. საქმე ის არის, რომ როცა "ჩელსიმ" "მილანს" ჩემი შეძენის თაობაზე მიმართა, "როსონიერის" არ უნდოდა ჩემი გაყიდვა. მათ ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ, ამასთან, გუნდის ძირითად შემადგენლობაში აღარ მაყენებდნენ და ტრიბუნებზე მიკრეს თავი. მე კი კლუბში დარჩენაზე უარი განვაცხადე. ვფიქრობ, ამჟამად "მილანს" ჩემი გაჩერების შანსი აღარა აქვს. თუ ახლავე არ გამიშვებენ, ექვსი თვის შემდეგ უფასოდ შემეძლება წასვლა. ესეც რომ არ იყოს, გუნდში არავინ დაიტოვებს ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც იქ თამაში არ სურს. ამასთან, "მილანს" ძალიან უნდა, დაიტოვოს არგენტინელი ერნან კრესპო, რომელიც ახლა ლონდონის "ჩელსის" საკუთრებაა.

**- თქვენს ახალ დიდ ბოსს - "ჩელსის" მფლობელ რომან აბრამოვიჩს იცნობთ?**

- რა თქმა უნდა! ერთმანეთი გავიცანით შარშან, აშშ-ში, სადაც ჩვენი გუნდები საგამოფენო ტურნირზე იყვნენ ჩასული. ვფიქრობ, სწორედ იქ მოვეწონე მოურინიოს და გაჩნდა ლონდონში ჩემი გადაყვანის იდეა. აბრამოვიჩს კი ემჩნევა, რომ ფეხბურთით არის დაავადებული. რუსეთმა უნდა იამაყოს იმით, რომ ასეთი კაცი ჰყავს.

# კლუივერტი დამურობას დაყაბულდა

ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდი პატრიკ კლუივერტი პირენეებზე გადაბარგდა და "ვალენსიასთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ის ესპანეთის ზღვისპირა ქალაქში თავისუფალი აგენტის სტატუსით ინგლისური "ნიუკასლიდან" გადავიდა. "კაჭკაჭობა" ("ნიუკასლს" მეტსახელი) კი კარგია, მაგრამ პირენეის ნახევარკუნძულთან კარგი მოგონება მაკავშირებს. ამიტომ სწორედ ის დროა, მზიან ესპანეთს დავუბრუნდე", - ამბობს ჰოლანდიელი ფორვარდი. კლუივერტის კონტრაქტი 3+1 პრინციპს ეყრდნობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი სეზონის შემდეგ, თუ ფეხბურთელი კარგ ფორმაში იქნება, მხარეებს შეეძლებათ, კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივონ.

ჰოლანდიელმა ფორვარდმა ხუთშაბათს სამედიცინო შემოწმება გაიარა, გუშინ კი კონტრაქტს მოაწერა ხელი. 28 წლის ფეხბურთელი იმედს არ კარგავს, რომ "ვალენსიაშიც" იმავე წარმატებას მიაღწევს, როგორსაც "ბარსელონაში" მიაღწია. შეგახსენებთ, რომ კლუივერტი 1999 წელს კატალონიური კლუბის შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონი გახდა.

რაც შეეხება ნისლიან ალბიონს, ფეხბურთელი კუნძულზე 2003-2004 წლების სეზონში "ბარსელონადან" გადავიდა. თუმცა, ვერ გაამართლა ინგლისელი გულშემატკივრებისა





პატრიკ კლუივერტი ამიერიდან "ვალენსიას" ღირსებას დაიცავს.

და კლუბის ხელმძღვანელობის იმედები. ფეხბურთელმა ყველა ტურნირში 25 მატჩში 13 გოლი გაიტანა. გუნდმა კი ინგლისის პრემიერლიგა მე-14 ადგილზე დაასრულა და უაღრესად უსუსურად გამოიყურებოდა.

საინტერესოა, რომ ფეხბურთელი ადრე მთელ რიგ სკანდალებში იყო გახვეული და ჰოლანდიელი გოგონას გაუპატიურების ბრალდებით ერთხანს სასამართლოშიც ჰქონდა საქმე. მისი კარიერის ერთგვარი მწვერვალი კი 1995 წელს იყო, როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეცვლაზე შესულმა კლუივერტმა გადამწყვეტი გოლი გაუტანა "მილანს" და ამსტერდამის "აიაქსს" ევროპული ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო მოაგებინა. ამ გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელი "მილანში" გადავიდა, თუმცა, მისი იქ ყოფნა ხანმოკლე აღმოჩნდა და კლუივერტმაც კატალონიას მიაშურა, სადაც ლუის ვან გაალის "ბარსელონაში" ჩაირიცხა. "ბარსამ" ამ ტრანსფერში 13 მილიონი დოლარი გადაიხადა.

1999 წელს "ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონი გახდა და ამ გამარჯვებაში დიდი იყო კლუივერტის წვლილი. ჩემპიონობიდან სამი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელი უმაღლეს დონეზე თამაშობდა, მაგრამ შემდეგ მისი ძალისხმევა შესუსტდა და კატალონიელები ხშირად უსტვენდნენ უნიათოდ მოთამაშე კლუივერტს. ფეხბურთელმა შედეგიანობას უკლო და დიდი ხნის განმავლობაში გოლის გატანას ვერ ახერხებდა.

შარშან, ივლისში, ჰოლანდიელმა ფორვარდმა ინგლისის "ნიუკასლ იუნაიტედთან" გააფორმა კონტრაქტი, რომელსაც "ბარსელონას" ყოფილი მწვრთნელი სერ ბობი რობსონი ედგა სათავეში. თუმცა, ტრავმების გამო "კაჭკაჭების" შემადგენლობაში მისი თამაში ვერა და ვერ დალაგდა. კლუბის შემადგენლობაში მისი საუკეთესო მატჩი ინგლისის თასის გათამაშებას დაემთხვა ლონდონის "ჩელსის" წინააღმდეგ, რომელიც "კაჭკაჭებმა" - 1:0 მოიგეს. გადამწყვეტი გოლი კი სწორედ პატრიკ კლუივერტმა გაიტანა. ფეხბურთელმა გადამწყვეტი გოლი ერთი რაუნდით ადრე ლონდონისვე "ტოტენჰემსაც" გაუტანა. ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ფორვარდმა 79 მატჩი გამართა და 40 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება მის ახალ კლუბს, "ვალენსია" ინტერტოტოს თასის გათამაშებისთვის ემზადება და ამ კვირაში კლუბს დაუნიშნეს ახალი მწვრთნელი კიკე სანჩეს ფლორესი, რომელიც ამ სეზონში "ხეტაფეს" ედგა სათავეში. ამასთან, კლუბმა ლონდონის "არსენალიდან" ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი ედუ გადაიბირა.

კრივი

# ცზიუ ცზიუსა და ჰატონის წინააღმდეგ

გიგა გურასაშვილი

*"ჰატონს არც ჰქონდეს იმის იმედი, რომ ჩემი ასაკი მას ბრძოლაში დაეხმარება. მერწმუნეთ, ახლა ბევრად ძლიერი ვარ, ვიდრე ათი წლის წინათ. რინგზე იმდენად სწრაფად ვერკვევი სიტუაციაში, რომ საკუთარი თავის მიკვირს. დაცვისას რიკის რამდენიმე აშკარა ხარვეზი აქვს, რომლის გამოაშკარავებასაც შევეცდები. მან ერთი რამ უნდა შეიგნოს - ახლა მის წინაშე სრულად განსხვავებული კლასის მებრძოლი იქნება". ეს სიტყვები რუსეთში დაბადებულ, ახლა კი ავსტრალიაში მცხოვრებ პირველი საშუალო წონის (69.855 კგ.) აბსოლუტურ ჩემპიონს კონსტანტინ ცზიუს ეკუთვნის და კრივის მსოფლიო კავშირის (WBU) ინგლისელ ჩემპიონს რიკი ჰატონს ეხება. ჩხუბი დღეს გვიან ღამით შედგება მანჩესტერში, "MEN Arena"-ს რინგზე და მას კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) საჩემპიონო დატვირთვა ექნება.*

მანჩესტერული ორთაბრძოლის ფავორიტად რუს-ავსტრალიელი კონსტანტინ ცზიუ (31-1-0, აქედან 24 ნოკაუტით) მიიჩნევა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ორთაბრძოლას ბებერ კონტინენტზე მართავს. საგულისხმოა, რომ ევროპის მიწაზე პირველივე ჩხუბი მეტოქის - რიკი ჰატონის (38-0-0, აქედან 28 ნოკაუტით) სამშობლოში, ბრიტანეთში უწევს. მიუხედავად ამისა, შინაური კედლების ფაქტორისა და იმის გათვალისწინებით, რომ ჰატონს ჯერ მარცხი არ განუცდია, წარმატებას მაინც ცზიუს უწინასწარმეტყველებენ.

4 ივნისის მატჩის მონაწილეებმა ხუთშაბათს დასკვნითი პრესკონფერენცია მოაწყვეს. თვითმხილველთა თქმით, ინგლისელ მოკრივეს ნერვიულობა ეტყობოდა, რაც არც დაუმალავს: "დიახ, მართალია. მე ვნერვიულობ, რაც პირველი შემთხვევაა ჩემს კარიერაში. თუმცა, საკუთარ ძალებში დარწმუნებულიც ვარ. მჯერა, რომ კოსტიასთან ჩხუბში ბევრ სიახლეს ვაჩვენებ, იმას, რაც აქამდე არვის უნახავს. ჩემს არსენალშია არა მარტო კორპუსში დარტყმები (ჰატონის ძლიერ მხარედ სწორედ კორპუსზე ძლიერი იერიშების მიტანა ითვლება.-რედ.), არამედ ბევრი სხვა ფანდიც. ჩემს საუკეთესო ბრძოლებში საკუთარი შესაძლებლობების ნახევარიც არ მიჩვენებია. ხოლო ის ნახევარი, სხვათათვის აქამდე უხილავი, გამარჯვებაში დამეხმარება".





კონსტანტინ ცზიუ მანჩესტერში საკუთარი გუნდის გარემოცვაში.

აღსანიშნავია ჰატონის ის აღიარებაც, რომელიც ცზიუს დამსახურებულ ფავორიტობას ეხება, რაც, ბუნებრივია, ინგლისელს გარკვეული წნეხის ქვეშ ამყოფებს: "ყველა წინა ორთაბრძოლაში მე ვიყავი ფავორიტი, ახლა კი სრულიად განსხვავებული გრძნობა დამეუფლა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ ბრძოლის უფლება დამსახურებულად მოვიპოვე... ისტორიამ იცის ბრიტანელ მოკრივეთა - ბარი მაკგიგანისა და ნაიჯელ ბენის არაერთი მაგალითი, რომლის მიხედვითაც პროგნოზების საწინააღმდეგოდ დაუმარცხებიათ ფავორიტები. მალე თქვენც შეგეძლებათ, ამ ნუსხას დაუმატოთ რიკი ჰატონი".

ამბობენ, ინგლისელისგან განსხვავებით, კონსტანტინ ცზიუ სრულიად მშვიდად გამოიყურებოდაო. რაც შეეხება მის დღევანდელ მეტოქეს, ამაზე უთქვამს, მის მიმართ დიდი პატივსცემით ვარ განწყობილი. რიკი ძალზე ძლიერი მოწინააღმდეგეა. მინახავს მისი ორთაბრძოლები. მანაც იცის, რა შემიძლია. მეც მაქვს არსენალში რამდენიმე საიდუმლო იარაღი. დე, უძლიერესმა გაიმარჯვოსო.

"აქ დასასვენებლად კი არა, საქმეზე ჩამოვსულვარ. ეს სპორტია. ორივეს გვყავს შვილები და მათ მაგალითი უნდა მივცეთ. ამიტომაც უფლება არ გვაქვს, ერთმანეთი უშვერი სიტყვებით მოვიხსენიოთ. ეს იმათ გააკეთონ, ვინც საკუთარ თავში არაა დარწმუნებული, ვისაც საკუთარი თავისთვის დამატებითი რეკლამა სჭირდება".

დღეს ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. ერთი რამ ცხადია: კონსტანტინ ცზიუს რიკი ჰატონთან იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის. 1999 წელს მოპოვებული WBO International-ის ტიტული ინგლისელმა ხუთჯერ დაიცვა, ხოლო შარშან, 1 ოქტომბერს, როდესაც კრივის მსოფლიოს ფედერაციის (IBF) უმთავრესი ტიტულის სავალდებულო პრეტენდენტის წოდებისთვის მაიკლ სტიუარტის წინააღმდეგ გავიდა რინგზე, ეს უკანასკნელი პირველივე რაუნდში ორჯერ გაუშვა ნოკდაუნში.

და კიდევ, ის, რაზეც შესავალში გაამახვილა ყურადღება თავად კონსტანტინ ცზიუმ. საუბარია ასაკზე, რაზეც რუს მოკრივეს საკუთარი პასუხი აქვს: "როდესაც ჯანსაღ ცხოვრებას ეწევი, მნიშვნელობა არა აქვს, 35 წლის ხარ თუ 25-ის. ერთხელ მითხრეს კიდეც, 25 წლის ცზიუ 35 წლის ცზიუს ცემას შეძლებდაო. დარწმუნებული ვარ, ასე არ არის. ახლა იმდენად ძლიერი ვარ, რომ 25 წლის ცზიუს გავანადგურებდი".

ინფოთეკა

### "დეპორტივო" თურქ ფორვარდს ყიდულობს

მალე ესპანური კლუბი "დეპორტივო" კონტრაქტს გააფორმებს თურქ თავდამსხმელ ფატიხ თეკესთან, რომელმაც გასულ სეზონზე თურქეთის ჩემპიონატში "ტრაბზონსპორის" შემადგენლობაში 30 ბურთი გაიტანა.

### მოურინიო მცველს ელოდება

"ბიბისის" ცნობით, ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ ისევ მიმდინარეობს მოლაპარაკება ინგლისურ კლუბსა და "ატლეტიკოს" შორის მცველ ასიერ დელ ორნოსთან დაკავშირებით.

სავარაუდოდ, სატრანფერო თანხა 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

"დელ ორნოსთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ამას გარდა, კონტრაქტები უნდა გავაფორმოთ თავდამსხმელსა და ნახევარმცველთან", - განაცხადა მოურინიომ პორტუგალიურ პრესასთან საუბრისას.

გარდა ამისა, "არისტოკრატების" თავკაცმა დასძინა, რომ მისი კლუბი მხოლოდ ერთი მცველის შეძენას აპირებს. ამიტომ, დელ ორნოსთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ "მილანის" ქართველი ლეგიონერი კახი კალაძე "ჩელსიში" აღმოჩნდეს.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### შაბათი. 4 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - პორტუგალიის თასი. ფინალი. "ბენფიკა" - "სეტუბალი"
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ლივერპული" - "ჩელსი". საპასუხო მატჩი
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 "საფეხბურთო კლუბი"
16:55 რუსეთის თასი. ფინალი. ცსკა - "ხიმკი"
19:10 "FUTBOL MUNDIAL"
19:40 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პსვ - "მილანი". საპასუხო მატჩი
22:10 "ფეხბურთი ჭრილში"
22:40 საპასუხო მატჩი. მსოფლიო ჩემპიონატი. სერბეთი და მონტენეგრო - ბელგია

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:40, 19:30 პრესცენტრი
10:20, 19:45 "ქრონიკა"
10:25 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ვაჟთა ნახევარფინალები
13:15 "სარკის წინ"
13:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
14:30 ბილიარდი. "შესანიშნავი რვეული" სანქტ-პეტერბურგში
16:55 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ქალთა ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". შედეგები
21:00 მძლეოსნობა. IAAF-ის დიდი პრიზი ესპანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ცურვა. "Mare Nostrum Swimming Series" ესპანეთში. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
02:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. კოსტია ცზიუ - რიკი ჰატონი. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "თურქეთის რალი"
11:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩების მიმოხილვა
13:00 მულტისპორტი. VIP - საშვი
13:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
14:15 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი. სეზონის მიმოხილვა
14:45 მოტორბოლები. იტალიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. პორტუგალია - ინგლისი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
22:15 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი. სეზონის მიმოხილვა
22:45 საფრანგეთის თასი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩების მიმოხილვა
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "თურქეთის რალი"
03:45 მულტისპორტი. VIP - საშვი

საფეხბურთო გალერეა

# არიგო საკი: "ღირსეულ გუნდს შევქმნით"

მადრიდის "რეალის" საფეხბურთო დირექტორმა არიგო საკიმ გუნდის წლევანდელი შედეგები შეაჯამა.

**- სეზონი დასრულდა. თქვენთვის ეს პერიოდი ყველაზე დატვირთულია?**

- მთელი წლის განმავლობაში ვშრომობთ, მაგრამ მართალია, რომ ეს ეტაპი უაღრესად მნიშვნელოვანია.

**- თქვენი აზრი გუტის შესახებ, რომელმაც განაცხადა, რომ შეიძლება კლუბი დატოვოს.**

- ფეხბურთელის სურვილს ყოველთვის პატივი უნდა სცე, მაგრამ სამწუხაროა, რომ ის წასვლაზე ფიქრობს. ვიმედოვნებ, რომ გუტი ცოტას მოიცდის. მისი მოთხოვნა აბსოლუტურად გასაგებია. ის ამბობს, რომ 29 წლის არის და სურს, მუდმივად ითამაშოს, მაგრამ ახლა მის პოზიციაზე სამი შემტევი ნახევარმცველი - ფიგუ, ზიდანი და რაული გვყავს.

**- შეიძლება, რომ ის რომელიმე ფეხბურთელში გაცვალოთ?**

- არ ვიცი. მან ის ინტერვიუ ცხელ გულზე, სეზონის დამთავრებისთანავე მისცა. ასე რომ, დრო გვაქჩვენებს, როგორ მოვიქცეთ.

**- გაღიზიანდებით, თუ ფეხბურთელი არ მოგესალმათ?**

- მესმის, რომ ფეხბურთელი, რომელმაც დიდ სიმაღლეებს მიაღწია, როგორც, მაგალითად, ფიგუმ, შეიძლება გაღიზიანდეს. ერთხელ "პარმასთან" მატჩში მინდვრიდან გავიყვანე ფენომენალური ფორვარდი მარკო ვან ბასტენი, რადგან ცუდად ვთამაშობდით. მეორე დღეს მან განმარტება მთხოვა. ავუხსენი, რომ მან ცუდად ითამაშა. მიპასუხა, რომ სხვებიც სცოდავდნენ, მაგრამ არ დავეთანხმე - ისინი ცდილობდნენ მაინც, შენ კი არა-მეთქი. მე ფეხბურთელების წინაშე ყოველთვის გასაგებად ვლაპარაკობდი, მაგრამ ისინი ყოველთვის არ მისმენდნენ. ამიტომ ხანდახან ლაპარაკს გაჩუმება სჯობს.

**- ფიგუ მადრიდის "რეალში" რჩება?**

- არ ვიცი. მას კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ვიმედოვნებ, რომ დარჩება, რადგან სუპერპროფესიონალია და შეუძლია, ფასდაუდებელი სარგებლობა მოგვიტანოს. როცა ფეხბურთელი ასეთი ძლიერი იმიჯის პატრონია, გარკვეული სირთულეები წარმოიქმნება, მაგრამ ვფიქრობ, მისი მომავალი მასზე უფრო არის დამოკიდებული, ვიდრე ჩვენზე. მიმაჩნია, რომ ის სასარგებლო ფეხბურთელია და თუ აქ დარჩენას გადაწყვეტს, ასეც იქნება. ხოლო თუ ის კვლავ გულგატეხილი იქნება, ეს არც იმას გამოადგება და არც ჩვენ. არსებობს სიტუაციები, რომლებიც არც ისე იოლია, მაგრამ რთულია განსაზღვრო, როდის წახვიდე. ის ყოველთვის ისარგებლებს კლუბისა და გულშემატკივართა პატივისცემით. პატივი უნდა ვცეთ პრეზიდენტის პირველ სერიოზულ შენაძენს. ის პირველ სიყვარულს ჰგავს და არასოდეს გავიწყდება.

**- კასილასის კონტრაქტის საკითხი როგორ არის?**

- კასილასის ოსტატობას ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს. მას პროგრესირება შეუძლია, რადგან ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ მე ის მაფიქრებს, რომ ის კითხულობს გაზეთებს, რომლებშიც მისი ყველაზე თავმდაბლური ეპითეტი ფენომენია. ამის მიუხედავად, მისი იმდენად მწამს, რომ პრობლემას ვერ ვხედავ. ხოლო იმისთვის, რომ საუკეთესო გახდეს, რაღაცრაღაცები აკლია. ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. მას ფეხით მუშაობა და გამოსვლებზე თამაშის დახვეწა სჭირდება. დარწმუნებული ვარ, ამ ელემენტების დახვეწის უნარი აქვს. მე არასოდეს მინახავს მეკარე, რომელსაც გუნდი ამდენჯერ გადაერჩინოს. ხუთი თვის განმავლობაში მან იმდენჯერ გადაარჩინა გუნდი, რამდენჯერაც "მილანში" მოღვაწეობისას, ჩემმა მეკარეებმა ხუთი სეზონის განმავლობაში.

**- რობინიოს წარმომადგენელი ამბობს, რომ მის კლიენტს "ჩელსისა" და "არსენალისგანაც" აქვს წინადადებები. ეს ართულებს ფეხბურთელის გადმობირებას?**

- თავს უხერხულად ვგრძნობ, რადგან არ შემიძლია მოგცეთ ის, რასაც ჩემგან ითხოვთ. მე სხვა სამუშაოს ვასრულებ. მე ფეხბურთელებს არ ვყიდულობ. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ როცა "პარმაში" ვმუშაობდი, რობინიოს შეძენა მაშინაც მინდოდა. ის უაღრესად ახალგაზრდა და საინტერესო ფეხბურთელია. ფინანსურ საკითხებზე კი პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ. ჩვენ გვაქვს რობინიოს შეძენის შანსი, მაგრამ ეს საქმე ჯერ არ მოგვიგვარებია.

**- რონალდო კონფედერაციის თასზე არ ითამაშებს და კარგად დაისვენებს.**

- ჩვენ ერთი პრობლემა გვაქვს. მადრიდის "რეალი" სერიოზული კლუბია, რომელიც თვითდაფინანსებაზეა გადასული. განსხვავებით - "ჩელსის", "მილანის", "იუვენტუსის" ან "ინტერისგან", სადაც გუნდს კონკრეტული ადამიანი ინახავს. "რეალი" სწორად იქცევა, მაგრამ მან საკუთარი არსებობა უნდა უზრუნველყოს. რონალდო კი ამისთვის აუცილებელი ელემენტია. ის რომ ნაკრებში წასულიყო, ჩვენ მას დასვენების დამატებით შანსს ველარ მივცემდით, რადგან კლუბს დაგეგმილი აქვს ტურნე აშშ-სა და აზიაში, სადაც რონალდო აუცილებლად უნდა იყოს.



არიგო საკი მომავლის გუნდზე ფიქრობს.

**- როგორი იქნება კლუბის შენაძენები?**

- თქვენ შეგიძლიათ სახელები ჩამომითვალოთ, მაგრამ პასუხს ვერ მიიღებთ, რადგან ეს ჩემი მხრიდან უსამართლო და არაკორექტული იქნება. ტრანსფერებზე დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობთ. ჩვენ - პრეზიდენტი, ბუტრაგენიო და მე გავაკეთებთ გუნდს მწვრთნელის მოთხოვნათა შესაბამისად. შემადგენლობას კი მატჩებზე ის დაასახელებს. ჩვენ გუნდის ჩამოყალიბების ჩვენეული ხედვა გვაქვს, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ ფეხბურთში ბევრი იდეა საჭირო არ არის. პირიქით, იდეა ცოტა და გასაგები უნდა იყოს. მე არ ვიცი, რამდენ შენაძენს განვახორციელებთ, მაგრამ რევოლუციის მოწყობა საჭირო არ არის. ჩვენ ერთობლივ სამუშაოს ჩავატარებთ, მაგრამ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს, რადგან ფულს სწორედ ის იხდის. ჩვენ მას კვირაში ერთხელ ვხვდებით და ვიმედოვნებთ, რომ არ შევცდებით.

**- სერხიო რამოსი შედის თქვენთვის საინტერესო ფეხბრუთელთა ნუსხაში?**

- არ ვიცი, აინტერესებს თუ არა ის კლუბს. მე მხოლოდ მას კი არა, ფეხბურთელთა მთელ ჯგუფს ვაკვირდებოდი. მართალია, ის საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ ასეთი ბევრია. ჩვენ გუნდის საჭიროებას უნდა გავუსვათ ხაზი. ვფიქრობ, რომ მოედნის ცენტრში ცოტა ფეხბურთელი გვყავს. იქ არიან გრავესენი და ბექჰემი, რომელიც გუნდისთვის ფენომენალური მოთამაშეა და ტოტალურ ფეხბურთს ქადაგებს. მან ყველაფერი იცის. რაც შეეხება გრავესენს, ის კარგი ფეხბურთელი და ადამიანია.

**- ვანდერლეი ლუშემბურგო აცხადებს, რომ მომავალ წელს გუნდი სამივე ტიტულისთვის იბრძოლებს. რას იტყვით?**

- თუ ოცნებაა, ოცნება იყოს. უარესი იქნებოდა, წვრილმან საქმეებზე რომ გვეოცნება. ყველაფერი იმ გუნდზე იქნება დამოკიდებული, რომლის ფორმირებასაც ვაპირებთ.

**- როგორ მიიღეთ ის ფაქტი, რომ წელს ვერაფერი მოიგეთ?**

- მართალია, როცა "რეალი" ვერაფერს იგებს, ეს მარცხია, მაგრამ როცა აქ ჩამოვედი, ადამიანები მთხოვდნენ, ყველა გაყარე და რევოლუცია მოახდინეო. ახლა ამას აღარავინ მთხოვს. რა შეიცვალა? ის, რაც შეიძლება სრული ჩავარდნა ყოფილიყო, ღირსეული წაგებით შეიცვალა. ეს მართალია, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა ვთქვათ, რომ პრობლემა გადავჭერით. ამის მიუხედავად, ხასიათი გამოვავლინეთ. ახლა თვითკრიტიკულად უნდა განვეწყოთ და მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ იმისთვის, რომ ტიტულები მოვიგოთ. ჩვენ ხომ უძლიერეს მეტოქესთან მოგვიწევს ჭიდილი. საკმარისია ითქვას, რომ 80 ქულით სხვა წლებში ჩვენ შეიძლება ჩემპიონები გავმხდარიყავით, მაგრამ დღეს ესეც არ გვეყო. უნდა გადავხედოთ, სად გვჭირდება გაძლიერება - ტაქტიკურად, ტექნიკურად, ფსიქოლოგიურად, თუ ყველაფერზე ერთად. უნდა შევქმნათ გუნდი, რომელიც "რეალის" ისტორიის ღირსეული გამგრძელებელი იქნება.

**- რაც შეეხება სტილს. ფეხბურთი, რომელსაც თქვენ ქადაგებდით, მაყურებელს არ მოეწონა.**

- ვფიქრობ, წლევანდელ სეზონში ლუშემბურგომ ყველაფერი იღონა, რაც შეეძლო. ახლა ჩვენ მას უნდა დავეხმაროთ და ისეთი შემადგენლობა შემოვუკრიბოთ, რომელიც შარშანდელზე უკეთესი იქნება. ფეხბურთელებმა სიტუაციიდან ღირსეული გამოსავალი მოძებნეს, რადგან ვაღიარებ, რომ "იუვენტუსისა" და "ხეტაფეს" შემდეგ შემეშინდა კიდეც. ბოლო ათი მატჩიდან რვა მოვიგეთ და ორი ფრედ დავასრულეთ. თუმცა, მართალია, რომ ისე არ ვთამაშობდით, როგორც საჭირო იყო. ლუშემბურგოს საკუთარი ხედვა აქვს, როგორ ათამაშოს გუნდი. ჩვენ კი მას უნდა დავეხმაროთ და ის ფეხბურთელები შემოვუკრიბოთ, რომელთა მეშვეობითაც ის თავის იდეას ცხოვრებაში გაატარებს. იმედი გვაქვს, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელებს შევიძენთ.

**- მწვრთნელთა ცვლილებები გუნდის შედეგებზე ნეგატიურად აისახებოდა?**

- უნდა ვთქვა, რომ ლუშემბურგომ ბევრი ქულა დააგროვა, მაგრამ როცა მწვრთნელი თავიდან იწყებს, მას გარკვეული უპირატესობა აქვს. მომავალი სეზონი მნიშვნელოვანი იქნება ყველასთვის - ლუშემბურგოსთვის, "რეალისთვის", ჩვენთვის...


სახელი

გვარი

ასაკი

სიმაღლე

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა_______________ თარიღი_________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლოკი ასოებით

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, ჰაბუსაქ საზ გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მოქარბებული პოლიტიკური ჭარბი

დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ნორმალური ქართველი, რომელსაც სამშობლო უყვარს, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის გადაწყვეტილებას, ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევას საუკუნეების განმავლობაში ელოდებოდა. ეს ის ოცნება იყო, რომელსაც მთელი საქართველო ასწლეულების მანძილზე გულის სიღრმეში ატარებდა, მისი ახდენის იმედს არ კარგავდა და რაზეც ხმამაღლა საუბარს მხოლოდ ერთეულები ბედავდნენ. ყველანი ვოცნებობდით, რომ რუსული ტანკების საქართველოდან წასვლას ჩვენი შვილები მაინც მოსწრებოდნენ. დაუჯერებლია, მაგრამ დღეს ამას მეც მოვესწარი! ჩემთვის წარმოუდგენლად გულდასაწყვეტია, რომ მამაჩემი და ბაბუაჩემი მათი შორეული ოცნების ასრულებას ვერ ეღირსნენ. ჩვენ კი მოვესწარით! მე და ჩემმა ქმარმა საღამოს სახლში ერთი ბოთლი წითელი ღვინოც კი გავხსენით და მამაჩემის, ბაბუაჩემის, ჩვენი ახდენილი ოცნების სადღეგრძელო დავლიეთ. ერთმანეთს, ჩვენს შვილებს ვულოცავდით.

მოხდა! რუსები მიდიან! ჩემი, თქვენი წინაპრების, ჩვენი ოცნების ასრულების შანსი, ძალა კი დღევანდელ ხელისუფლებას მიეცა და მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი სააკაშვილის სახელთან, მის მმართველობასთან იქნება დაკავშირებული. ჩვენი შთამომავლები კითხვაზე - "როდის გავიდა ბოლო რუსული ტანკი?" - უპასუხებენ: "მაშინ საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი იყო". აი, ვინც ნამდვილად არ შევა საქართველოს ისტორიაში, ეს ის პარლამენტარები, პოლიტიკოსებია, რომელთათვისაც რუსული ბაზები უეცრად და სრულიად აუხსნელად, უვნებელ ჯართად იქცა და რომლებიც, რეალურად, საქართველოს პოლიტიკურ ჯართს თავად წარმოადგენენ.

ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოს მთელი მოსახლეობა დაძაბულად, მღელვარებით, იმედიანად ადევნებდა თვალყურს რუსულ-ქართულ მოლაპარაკებებს. თვეების განმავლობაში თითოეული ქართველი სანუკვარი ოცნების ასრულებას, მთელი საქართველო კი საუკუნოვან ტკივილზე დიდი, მძლავრი, საბოლოო წერტილის დასმას ელოდებოდა. ეს წერტილიც დაისვა, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი ბუნებრივი, ემოციური სიხარულის ნაცვლად, კვლავ ჩვეულად, უარყოფითი მხარეების ძიებით არის დაკავებული. ნუთუ სხვისი (ან რატომ სხვისი?) გამარჯვების აღიარება ასეთი ძნელია?! განა ნებისმიერი პოლიტიკოსი, თუნდაც ოპოზიციონერი, მტერი კი არა, მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტი არ არის? თანაც ქართველი ოპონენტი, რომლის ემოცია, განწყობა მთელი ერის სიხარულს ოდნავ მაინც უნდა შეესაბამებოდეს. გუშინ ბაზების გაყვანა უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო. გუშინ მოლაპარაკებების მიმდინარეობის პერიოდში უკიდურესად პესიმისტური, მოლაპარაკებების ჩიხში შესვლის პროგნოზები კეთდებოდა. დღეს კი, როდესაც მათი პესიმიზმი არ გამართლდა, იგივე ბაზები ჯართად იქცა. რა ხდება?! ნუთუ პოლიტიკოსობა ხალხისგან ამდენად გამიჯვნასა და საკუთარ ამბიციებში ჩაფლობას ნიშნავს?! ნუთუ შეიძლება შენს თავს პოლიტიკოსი უწოდო და, ამავე დროს, ერის განწყობას ამდენად აცდენილი იყო?! ნუთუ ოპოზიციონერობა ნებისმიერ საკითხზე მხოლოდ რადიკალურად განსხვავებულ აზრს ნიშნავს?! ნუთუ მთავარია შავზე თეთრი, თეთრზე კი შავი თქვა! ხომ შეიძლება, რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები არსებობდეს, რომელთა გარშემო, მთელ ქვეყანასთან ერთად, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც გაერთიანდეს?! ეს ხომ ამბიციური სიჯიუტეა და მეტი არაფერი. უაზრო, უსაფუძვლო სიჯიუტეს კი ზღვარი არ აქვს. რუსული ჯარები გავიდა - მერე რა, ჯართი იყო. ნატო-ში შევედით - მერე რა, გააჩნია რა პირობებით. ევროკავშირში გავერთიანდით - მერე რა, ისედაც მაგრები ვართ. აფხაზეთი დავიბრუნეთ - მერე რა, ისედაც ჩვენი იყო და ა.შ. ამგვარ სკეპტიკურ-ცინიკურ სიჯიუტეს ზღვარი არ აქვს, თუმცა ისევე, როგორც ნაპრალს, რომელიც ასეთი განწყობილების მქონე პოლიტიკოსებსა და ხალხს შორის, გინდა-არ გინდა, ჩნდება და ნელ-ნელა იზრდება. საკუთარი სიხარულის, გამარჯვების, საუკუნოვანი ოცნების ახდენის გაუზიარებლობას ერი არავის პატიებს. ნუთუ წამიერად მოპოვებული ყალბი პოლიტიკური ქულა, დაკმაყოფილებული ამბიცია, სიჯიუტე ამ ფასად ღირს? რაღა უნდა მოხდეს ჩვენს ქვეყანაში, რომ ამგვარ პოლიტიკოსებს, მათ ობიექტურობას, სამართლიანობას დავუჯეროთ?

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამაში ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ბედზე ღელავდნენ, გაირკვა, რომ მარტივი მოთხრობა მგელზე და ბიჭზეც კი არ ახსოვთ. ვახსენებ, ბიჭმა ტყუილად იმდენი იძახა "მგელი, მგელიო", რომ მართლა მგლის გამოჩენაზე აღარავინ დაუჯერა. იმედი მაქვს, რომ ქართული სახელმწიფოს მმართველობაში მგლის ტოლფასი საშიშროება არასდროს გამოჩნდება და მხოლოდ შეცდომებით შემოვიფარგლებით, რომელთა კრიტიკა სწორი და აუცილებელია. მაგრამ ოპოზიციონერთა ერთი ნაწილი ხალხის რწმენას, ამასობაში, საბოლოოდ დაკარგავს, მაგრამ მათ, ალბათ, ამაზეც პასუხი ექნებათ. ხალხს ჩვენი არ სჯერა - მერე რა, ეს ხალხი უბრალო ხალხია და მეტი არაფერი.

აი, პოლიტიკოსი, დეპუტატი კი ვინ არის, ეს, მე მგონი, ცალკე წერილის თემა უნდა იყოს.























ნება მომეცით, მამაჩემი, კოკა იგნატოვის მიერ წლების განმავლობაში დახატული პორტრეტების ციკლის მცირე ნაწილი შემოგთავაზოთ. არც ერთი პორტრეტი კონკრეტული არ არის, მაგრამ, ალბათ, თქვენ თითოეულ მათგანს ვინმე კონკრეტულს მიამსგავსებთ.

# გავრცობილი SMS-ები

■ მხოლოდ "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი თუ მოიფიქრებდა ჩოხაში გამოწყობილ (სხვათა შორის, უხდებოდა) მამუკა ხაზარაძესთან ცხენზე შემოხტომას. საკმაოდ სულელური ჩანაფიქრი იყო.

■ სასტუმრო "ივერიის" და რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციის ტელევიზიით ნანახ პროექტებში კატეგორიულად არც ერთი არ მომეწონა. თუ არაფერს ცვლიან, მაშინ დანგრევაც რა საჭირო იყო. გაეკეთებინათ უბრალოდ შიდა რემონტი. მე მგონი, მთავარია, არ აჩქარდნენ და ისეთი რამ არ აგვიშენონ, რასაც იუმორით აღსავსე თბილისელები რამე სახუმარო, ენამახვილურს შეარქმევენ.

■ ნიაზ დიასამიძის ახალი სიმღერების მოსმენას ნებისმიერი თაობის წარმომადგენლებს ვურჩევდი. ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით ის სიმღერა, სადაც მუსიკის ფონზე გალაკტიონ ტაბიძე "ჯერ არასდროს არ ყოფილა"-ს კითხულობს. იშვიათად გემოვნებიანი მუსიკოსია!

■ საინტერესოა, ჩვენი საინფორმაციო გადაცემების მიზანი ინფორმაციის მოწოდება თუ ელემენტარული სადიზმია? მძიმედ დაჭრილი ვინმე ასაბაშვილი გაუსაძლისი ტკივილისგან დაკლაკნილი, განწირული ხმით მყვირალი, ფაქტობრივად, შიშველი, საპროცედურო თუ საოპერაციო მაგიდაზე თხუთმეტი წუთის განმავლობაში რატომ უნდა მაჩვენო? რაღაც ელემენტარული ეთიკა, ჰუმანურობა ან თუნდაც გემოვნება ხომ უნდა გააჩნდეთ.

■ 26 მაისს მცხეთიდან პირდაპირ ჩართვაში ლელა წურწუმიას მიერ შესრულებული "თბილისო" მოვისმინე. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. წურწუმიას ვურჩევ, აუცილებლად ტრიო ჩამოაყალიბოს. კარგად გამოსდის. სიმღერა "თბილისოს" ავტორი კი კარგია, რომ საკუთარი შედევრის ამგვარ შესრულებას არ მოესწრო.

■ ვაკეში სახლების გაჩაღებული მასშტაბური ღებვის თაობაზე ნეტავი რაღას იტყვიან. სად არიან ფიქრია ჩიხრაძის ნაცნობი ხელოვნებათმცოდნეები. რატომ სდუმან?

■ ამ ლეიბორისტებმა არ შეგვჭამეს? ქუჩის აქციების მოწყობით სულ იმუქრებიან, იმუქრებიან და ვერა და ვეღარ გაიგეს, რომ ხალხს ვერ კრიბავენ.

■ რუსული ბაზების თაობაზე შეთანხმებას, ხელმოწერას ყველას გულწრფელად ვულოცავ. წარმოგიდგენიათ, რას ველირსეთ! რამდენი საუკუნეა ამაზე ვოცნებობდით და ახლა ნატვრა აგვიხდა! თუმცა, ზოგიერთებს, მაგალითად ტყემალაძეს, სულაც არ გახარებია. რა უცნაურია?!

■ ჯორჯ სოროსის თბილისში ჩამოსვლისას ერთი მუჭა ქართველების მიერ გამოვლენილი სიბნელით ძალიან შევწუხდი. ასეთი აზროვნებით, ხედვით ნეტავ, როგორ ცხოვრობენ. ამ 21-ე საუკუნეში არ უჭირთ? ამგვარი დროაცდენილობა სირცხვილია და მეტი არაფერი.

■ IST-ს ღამის ეთერში ორი დიდსათვალიანი გოგო რომ გამოდის, მე მგონი, აღმაშფოთებელია. მსგავსი ვულგარული, უგემოვნო უბადრუკობა ძნელი წარმოსადგენია. ნეტა, გადაცემის ავტორები რა მიზანს ემსახურებოდნენ, რისი მიღწევა სურდათ, ამ ორ იდიოტკას ეთერში რომ უშვებდნენ?

■ პარიზის მახლობლად ჟორდანიას მთავრობის მიერ თავის დროზე საქართველოს ფულით შეძენილი ლევილის მიწა დღესდღეობით რამდენიმე ოჯახის სააგარაკო კარ-მიდამოდ არის გადაქცეული. მგონია, ამას ბოლო უნდა მოეღოს.

■ შალვა რამიშვილის "დებატები 202"-ზე ნელ-ნელა, მგონი, მართლაც, ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ყველაზე ყურებადი, აქტუალური გადაცემა, თვით შალვა კი სიმართლის ქომაგი გახდა. კარგია ეს?!

■ ახლად შექმნილი სამეგობრო წრე - გია მაისაშვილი, გურამ შარაძე, გუბაზ სანიკიძე ნეტავი, რა ნიშნით შეიკრა? რა არის მათი მეგობრობის მთავარი პრინციპი, მათი გაერთიანების მიზეზი? ისე, კი უხდებიან ერთმანეთს "Худой, толстый, злой + Бабета" (ლალი მოროშკინა). მაგრამ ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ სწორედ ეს Бабета, ანუ ლალი მათი განხეთქილების მიზეზი არ გახდეს. ძნელია, ამგვარ ცდუნებას გაუძლო.

■ მიუხედავად იმისა, რომ ივლიანე ხაინდრავას პატივს ვცემ, მჯერა მისი, აეროპორტის მშენებლობის უკან არსებული დაინტერესების, გარიგების, რატომღაც მაინც არ მჯერა. თბილისში ახალი აეროპორტი კი ძალიან მინდა. არსებული საკმაოდ პროვინციულად გამოიყურება.

■ ბასილ მკალავიშვილის გაჭიანურებულ სასამართლოზე გამოძახებულმა მოწმეებმა პოზიციები ასე რადიკალურად რატომ შეცვალეს? ნუთუ მოისყიდეს, ან დააშინეს? თუ მღებრიშვილმა მკალავიშვილისეული რწმენა მაინც იწამა?

■ არაერთი გაფრთხილების, თხოვნის, მითითების მიუხედავად, ვაკის პარკის წინა მოედანზე მდებარე საცხოვრებელ სახლზე იშვიათი თავხედობის დაშენება დღესაც წარმატებულად მიმდინარეობს. მერიის მხრიდან არავითარი რეაგირება არ შეიმჩნევა, რაც, სამწუხაროდ, გარკვეულ ეჭვებს იწვევს.

■ სოფელ ფონიჭალის ცნობილი ნარკობუდის მოშლა, დარბევა ძალიან გამიხარდა. ეგება ამაზე არ გაჩერდნენ და საქმე ბოლომდე მიიყვანონ. ყველამ იცის სად, ვინ, რომელ ნარკოტიკს ყიდის.

■ შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, საბურთალოს სასაფლაოსკენ მიმავალი გზის ნაწილი როგორ დაულაგებიათ! ყოჩაღ! ერთ ცელოფანის პარკსაც ვეღარ ნახავთ. ესე იგი, შესაძლებელი ყოფილა?!

■ მთავრობის კრიტიკა ნელ-ნელა კარგი ტონის ფორმას ღებულობს. რა თქმა უნდა, ბევრად უფრო იოლია! არავითარ პასუხისმგებლობას არ მოითხოვს. ჩვენ, ქართველებს კი ზედმეტი პასუხისმგებლობა მაინცდამაინც არ გვიყვარს.

■ თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელებს ცოტა მიხედვა, დალაგება, მოწესრიგება სჭირდება.

■ შარაძე ხომ მეცოდება და მეცოდება, მაგრამ ამ ბოლო დროს ნათელაშვილიც შემეცოდა, განსაკუთრებით ამერიკაში მისი "ვოიაჟის" შემდეგ.

■ არც მჯერა, რომ ბათუმში მყოფი რუსული ბაზა გავა და სოფლები: გონიო, ახალსოფელი რუსული ზარბაზნებისგან აღარ იზანზარებს.

■ სულ მიკვირს, ნიკა ქავთარაძესთან შოუში მონაწილეობის მისაღებად რატომ მიდიან, რომ ჰკითხო, ეს ჩვენი პოლიტიკოსები საკმაოდ ამბიციურები არიან, მაგრამ ტელევიზორში ზედმეტად გამოჩენაზე უარს, ეტყობა, ვერაფრით ამბობენ.

■ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს პრეზიდენტმა აჭარისადმი ყურადღება ცოტა მოადუნა. ეს კი კარგს არაფერს ნიშნავს. აჭარაში კორუფცია, მექრთამეობა მძვინვარებს.

■ გამაგებინეთ, ჟურნალისტმა არ უნდა იცოდეს, მის ქვეყანაში ამჟამად ვიზიტით ლატვიის თუ ლიტვის პრეზიდენტი იმყოფება? სააკაშვილი პრეზიდენტიც უნდა იყოს და გეოგრაფიის მასწავლებელიც?

■ ზაზა სიორიძეს 26 მაისს ჩოხა ისევე უხდებოდა, როგორც მე კოსმონავტის სკაფანდრი. ექვთიმე თაყაიშვილი შეურაცხყო და შერჩა, ახლა ჩოხას მიადგა.

■ ნეტავი, ქუთაისს თუ ეშველება რამე. როდის მოიცლის ამ უძველესი ქალაქისთვის მისი მაჟორიტარი დეპუტატი? შაბათ-კვირას გუდაურში სიარულს, ქუთაისში იაროს ხოლმე, რა მოხდება? ნუ ისრიალებს თხილამურებზე, როდესაც მისი მშობლიური ქალაქი ინგრევა.

■ სცენაზე გამოსვლა, სიმღერა ჩემი ოცნებაა და ეგება, ვინმე ღვთისნიერმა თიკა რუხაძეს დამამეგობროს. გავიგე, დღეს ყველაფერი მის ხელშია.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს საგზაო სამშენებლო მასალების გამოცდისა და საგზაო სამოსის შესწავლისათვის უცხოური წარმოების საგზაო ლაბორატორიის ხელსაწყოებისა და დანადგარების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

ლაბორატორიული მოწყობილობები და ხელსაწყოები საგზაო-სამშენებლო მასალების გამოცდისათ

ვის (ინერტული მასალები, ორგანული შემკვრელი მასალები, ასფალტო-ბეტონი), ასევე თანამედროვე ხელსაწყოები და დანადგარები არსებული საგზაო სამოსის დიაგნოსტიკისათვის, საგზაო-საექსპლუატაციო მაჩვენებლებისა და მიწის ვაკისის მახასიათებლების განსაზღვრისათვის.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის

1 სექტემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ივნისის 12 საათიდან 21 ივნისის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირისათვის:**

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

5.2 **ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილ უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან);

ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

**6**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

*7*. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 22 ივნისის 12 საათიდან 23 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**8.** ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებულ იქნება პრეფერენციული შეღავათი 15% -ის ფარგლებში.

**9.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი დათუნაშვილი-სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-66-05 და ნუგზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

***სატენდერო კომისია***

# განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი

**ქვემო ალაზნის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია**

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი N3542-GE
პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068
IFB N PCC/IDCDP/CW/ICB/11-2005

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს ქვემო ალაზნის საირიგაციო სისტემის (2304 ჰა) რეაბილიტაციის NPCC/IDCDP/CW/ICB/11-2005 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

ქვემო ალაზნის საირიგაციო სისტემა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში. სარეაბილიტაციო ფართობი მდებარეობს გურჯაანის რაიონში, თბილისიდან აღმოსავლეთით 120-140 კმ-ში, სოფლების შაშიანის, ვაზისუბნის, ველისციხისა და ჭანდარის ტერიტორიაზე, ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხისა და მდ. ალაზანს შორის. ობიექტთან მისვლა თბილისი-თელავის გზატკეცილისა და რკინიგზიდან ხდება და ისინი სამშენებლო მოედნებამდე 4-10 კმ-ით არის დაშორებული.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს მაგისტრალური არხისა და მეორე რიგის გამანაწილებლების (83,4 კმ) აღდგენას 2304 ჰა ფართობზე:

- ღია არხები -- 4,15 კმ;
- დახურული მილსადენების ქსელი -- 79,25 კმ.

არსებული ჰიდრავლიკური ნაგებობების შეკეთებასა და ახლების მშენებლობას:

- წყალამღებები მაგისტრალურ არხზე -- 23 ცალი;
- წყალგამშვებები მეორე რიგის გამანაწილებლებზე -- 31 ცალი;
- ჰიდრანტები მილსადენების ქსელზე -- 710 ცალი;
- მილხიდები -- 6 ცალი;
- წყალსაგდებები და დამცლელი ჭები -- 100 ცალი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

- მიწის სამუშაოები (თხრილი და ყრილი) --95 000 $მ^3$;

წინასწარ დაძაბული მონოლითური ბეტონისა და რკინა-ბეტონის ნაგებობები - 1485 მ3;

- ლითონკონსტრუქციები და მოწყობილობები (ფარები, ურდულები) - 337 ტ;

ფოლადის მილსადენების მონტაჟი (D=114-630 მმ )- 21 კმ;

- არხის ტრასის გაწმენდა მცენარეებისაგან - 23 ჰა.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე. დამატებითი განმარტებების მისაღებად დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის ჩატარდება წინასაკონკურსო შეხვედრა ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 23 ივნისის 11 საათზე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ინგლისურ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 150 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC) ანაგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 365802896, სავალუტო ანგარიშის ნომერია 361800665, მიმღები ბანკი - "ინტელექტბანკი", თბილისი, საქართველო, SWIFT: IBTBGE2X, ანგარიშის ნომერი - 04414630, შუამავალი ბანკი - BANKER TRUST COMPANY, New York, SWIFT: BKTRUS33.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში , ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 2005 წლის 14 ივლისის 11 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი კონტრაქტორები უფლებამოსილნი არიან მიიღონ პრეფერენციული შეღავათი 7,5 პროცენტის ოდენობით საკონკურსო წინადადებების შეფასებისას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC)

ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული (IDCD-PTU)

**საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224**
**ტელ: +995 32 989924 / 935169**
**ფაქსი: +995 32 921467 / 989924**
**ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge**

## TV პროგრამა, 4 ივნისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ტრუფალდინო ბერგამოდან" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** დოკ. ფილმი **19.10** მხ. ფილმი "მისტერ პიტკინი ესტრადის ვარსკვლავი" (გ) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - "იღბლიანი" (გ) (რეჟ. დიდსეი ანდერსონი) **01.00** კურიერი **01.20** მხ. ფილმი "როცა ამერიკაში ცრუობენ" (18)

### [მთავარი]

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "კლიფორდი" **08.40** საბავშვო სერ. "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "აღსარება" **11.30** "ტაქსი" **11.55** ძიუდო. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი (პირდაპირი რეპორტაჟი გერმანიიდან) **16.00** "ჰოლმარკი" - "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **17.00** დოკ. ფილმი "გენერალ დუოს გასაოცარი ბედისწერა" **18.00** "მთავარი" **18.10** ანსამბლი "მართვე" **18.30** "მრწამსი" - ბუნება და რელიგია **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- პარიზი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი "დანაშაული" **21.30** "რაციო" - პ. ბურჭულაძე **22.30** "ჩვენ" **23.45** ბიოგრაფიული პორტრეტები - კევინ კოსტნერი **00.45** მხ. ფილმი "ცუდი ბიჭი" (15) **02.00** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნისფერი ციხესიმაგრე" **10.00** ანიმაც. ფილმი "მხიარული მელოდიები" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** მხ. ფილმი "დუბლიორი ქალი" (ბერნარ ჟიროდო) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** მხ. ფილმი "დუბლიორი ქალი" (გაგრ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.20** სერიალი "სენიორ ვიანელო" **17.50** მარიონეტები "ყოჩაღები" **18.20** საფესტივალო ჩვენება. **20.30** "ქართული ხმები" ფილმი მე-3. **21.30** მხ. ფილმი "ორნი ზღვასთან" (გ) (სანდრა ბალოკი) **23.30** ფარული კამერა **00.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი გაქცევა" (გ) (არმანდ ასანტე)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** ტელეზღაპარი **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **20.55** დოკ. ფილმი "ჭადრაკის ომი" **21.50** კინოსეანსი "ლაქა"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **09.10** იმედის მელოდიები **10.00** ანიმ. ფილმი "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.25** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15, 00.35** ტვ-მარკეტი **13.15** იმედის მელოდიები **13.40** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.15** მხ. ფილმი ":ანდარმი და :ანდარმი ქალები" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **19.55** "არ იდარდო" **21.15** ტვ-ლოტო **22.30** მხ. ფილმი "80 დღე დედამიწის გარშემო" (გ) (ჯ. ჩანი) **01.10** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** მულტფილმი **10.30** დოკ. ფილმი **11.40** თეატრი **13.45** კომედია "თაგვებზე ნადირობა" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.25** თრილერი "ოცნება არგენტინაზე" **17.10** "ჭიტაჭიტა" **18.10** კომედია "სტრიპტიზი" **20.00** "ფერისცვალება" **21.05** დრამა "არიზონის ოცნება" **23.20** მუსიკა **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.20** მხ. ფილმი "მოდი ჩემს სანახავად" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### 1 ОРТ

**06.00, 10.00, 12.00** Новости. **06.10** Сериал **"МАКСИМАЛЬНОЕ ВЛИЯНИЕ". 06.40** Клара Лучко в фильме **"ЧУЖОЕ ИМЯ". 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Три окна" Андрея Макаревича. **10.40** Док. фильм "Костя Цзю. Быть первым". **12.10** История с географией. "Подземная армия императора". **1**-я с.. **13.10** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.40** Умницы и умники. **14.20** "Слабое звено" **15.10** Игорь Костолевский в детективе **"КОДЕКС БЕСЧЕСТИЯ". 18.00 Футбол.** Отборочный матч чемпионата мира. **Сборная России - сборная Латвии**. Прямой эфир из Санкт-Петербурга. В перерыве - Вечерние новости. **19.50** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Харрисон Форд в триллере **"ПАУТИНА ЛЖИ". 02.10** Рахул Кханна в комедии **"БОЛЛИВУД-ГОЛЛИВУД".** Мать и бабушка канадского миллионера индийского происхождения Рахала Сета настаивают, чтобы он выбрал, наконец, себе невесту, но непременно индианку. В индийских семьях строго почитают традиции. Они намерены даже сорвать свадьбу его сестры. Но молодой человек не хочет подчиняться устаревшим порядкам и решает подшутить над родней. Он нанимает девушку Сью из службы эскорт-услуг, чтобы та изображала его индийскую невесту... **04.10** Кристиен Энхолт в драме **"КЛАСС 61".** Соединенные Штаты Америки времен Гражданской войны. Страна разделилась на северян и южан. В центре повествования судьба трех приятелей-выпускников военной академии Вест Поинт. Жизнь и война раскидала их по разные стороны баррикад, заставив переосмыслить те главные жизненные ценности, о которых столько спорили в юности. И каждый из них, как и многие соотечественники в это тяжелое для всей нации время, встал перед необходимостью самого, быть может, главного выбора в своей жизни.

### НТВ

**06.05** Мультфильм "Рикки-Тикки-Тави". **06.25** Боевик **"КИКБОКСЕР". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: ДЕНЬ ПОЛНЫЙ РИСКА". 08.50** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" с Тимофеем Баженовым. **10.15** "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **13.55** Лариса Шахворостова в комедии **"РЕБЕНОК К НОЯБРЮ" 16.20** "Женский взгляд". Галина Беседина. **16.55** Своя игра. **17.55** Лжец. **19.35** Профессия - репортер. **20.05** "Программа максимум". Скандалы. Интриги. Расследования. **20.55** Жан Рено в комедии **"ЯГУАР".** Самый уважаемый шаман из индейского племени верховьев Амазонки, великий Вану, прибыл во Францию для правительственных переговоров в связи с хищнической вырубкой амазонских лесов. Поднимаясь в лифте в предназначенный ему номер гостиницы вместе с сопровождающим переводчиком-телохранителем Кампана, индеец проявил необычайный интерес к случайно вошедшему в кабину французу. Этим французом оказался Франсуа Перрен - беспутный молодой человек, проигравшийся в покер и намеревавшийся решить свои финансовые проблемы с помощью бывшей любовницы, живущей в этой гостинице. Индеец объявил Франсуа "избранным" и не захотел с ним расставаться. И вдруг индейцу стало плохо... **23.05** Мировой бокс. Ночь нокаутов. **00.05** Микки Рурк в фильме **"ДИКАЯ ОРХИДЕЯ". 02.00** Футбол в разрезе. **02.35** Крэйг Фергюсон в фильме **"РОЖДЕННЫЙ РОМАНТИКОМ". 04.45** Патрик Берджин в фильме **"ДРАКУЛА". 1**-я с.

# ცარიელი ბუდეები - კადრები ფილმიდან

ანა შერმადინი

კავკასიურმა სახლმა მოაწყო მანანა ლომაძის სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის "ცარიელი ბუდეების" პრეზენტაცია. უფრო სახალხო და ყველასთვის ხელმისაწვდომი რა უნდა იყოს, ვიდრე სატელევიზიო ფილმია, მაგრამ ფილმს, როგორც ავტორი აღნიშნავს, სატელევიზიო კომპანიები ჯერ არ უჩვენებენ. "ცარიელი ბუდეები" წალკის რაიონის ბერძენი მოსახლეობის დღევანდელ მძიმე მდგომარეობას აღწერს. წალკაში ბერძნების დღევანდელი ყოფა ბერძნების საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ოსვენციმს შეადარა.

ფილმი დოკუმენტურია და ბერძენი მოსახლეობის სოფლების დღევანდელ ყოფას ასახავს. მაგალითად, სოფელი ოლიანკა, რომელიც ორი საუკუნეა, წალკის რაიონის სოფელია. ოლიანკა დაუმარცხებელს ნიშნავს და ეს სახელი ოსმალეთის იმპერიაში ერთ პატარა ბერძნულ სოფელს მეზობელმა ბერძნებმა შეარქვეს, რადგან ისინი ოთხასი წელი თავგანწირულად იბრძოდნენ საკუთარი რწმენისა და ენის შესანარჩუნებლად. მერე სხვა ბერძნებთან ერთად სოფელი აიყარა და 1830 წელს წალკას თურქეთიდან დევნილი 44 ოლიანკელი ოჯახი მიადგა. დაღლილი ხალხი ერთ ნასოფლართან შეჩერდა და ნაკადულთან კარვები გაშალა. ჯერ კიდევ კარვებში ცხოვრობდნენ, წმინდა პანტელეიმონის ეკლესია რომ წამოიწყეს. ტაძრის მარჯვენა კედელი ქვის აუზზე დააშენეს, რომელშიც, ბიზანტიური ტრადიციის თანახმად, კალმახი გაუშვეს. ოლიანკა მალე ცნობილი გახდა, როგორც წმინდა ადგილი - ყოველ 9 აგვისტოს წალკელი ბერძნები და ქართველებიც აქ დიდ დღესასწაულს მართავენ. აუზში დედალ-მამალი კალმახი დღესაც დაცურავს, მაგრამ სოფელი 30 მოხუცის ამარაა დარჩენილი. 15-20 წლის წინ კი სოფელში 1 600 ბერძენი ცხოვრობდა. მოხუცი ქალბატონი ლიკა პარასკევოვა ფილმში ამბობს: **"აქ ისე ვცხოვრობდი, როგორც ზღაპარში, მაგრამ მარტო დავრჩი - შვილები წავიდნენ, სამუშაო არ იყო."**



*ფილმის ავტორი - მანანა ლომაძე.*

ფილმში ადგილობრივ მცხოვრებლებთან დიალოგით წალკის რაიონის ბერძენი მოსახლეობის დღევანდელი პრობლემატიკა კარგად იკვეთება. ავტორები არ აკეთებენ დასკვნებს, აღწერენ მხოლოდ იმას, რაც არის. ბოლო ათწლეულში მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა წალკის რაიონის დემოგრაფიული სახე რადიკალურად შეცვალა. წალკაში 1984 წელს 47 850 ბერძენი ცხოვრობდა, დღეს კი მხოლოდ 1500 ხანდაზმული მოსახლეა დარჩენილი. სამუშაო გაქრა და სიღარიბემ ბერძნები დროებითი სამუშაოს საძებნელად ისტორიულ სამშობლოში, ნაწილი - რუსეთში გადახვეწა. წალკა, სადაც 150 წელი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ქართველებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად, სადაც ეგულებათ მამა-პაპის საფლავები და სალოცავები, მათთვის სამშობლოს ცნებასთან გაიგივდა. მაგრამ ჯერ სეზონური სამუშაოდან მომავალი ბერძნების ავტობუსების დაყაჩაღება დაიწყო, მერე - შინ დარჩენილი ოჯახების აწიოკება. შიშმა და დაუცველობამ ბევრი აიძულა, აქედან სამუდამოდ გადახვეწილიყო. 1997 წლიდან წალკაში ეკომიგრანტების - აჭარლებისა და სვანების ჩასახლება დაიწყო.

**"მახსოვს, როგორ დავხვდით სვანებს, აჭარლებს, როცა პირველი ჩასახლება დაიწყო. მეზობლებს ვეხმარებოდით სულით და გულით, რითაც შეგვეძლო. რა მივიღეთ? ბერძნებს ძარცვავენ, კლავენ. რამდენმა აგო პასუხი?"** - კითხულობს ფილმში ლამარა საბუგასოვა.

მანანა ლომაძისა და გიორგი ხარებავას დოკუმენტური ფილმი "ცარიელი ბუდეები" წალკის პრობლემებზე უამბობს მაყურებელს, მთავრობას და სამოქალაქო საზოგადოებას.

მანანა ლომაძე, ფილმის ავტორი, ქართულ-ბერძნული ურთიერთობების განვითარების საზოგადოების თავმჯდომარე: **"წალკის პრობლემებს დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ ასეთი სამუშაოს ჩატარების საშუალება არ მქონდა. შარშან "სოროსის ფონდმა" პროექტი დააფინანსა და ფილმი გადავიღეთ, "აქტუალური მინიატიურები". პირველი და მეორე ნაწილი აჭარის ტელევიზიით აჩვენეს. მესამე - "ცარიელი ბუდეები" - უფრო მძაფრია, თუმცა, ფილმი უკომენტაროა, ეს მხოლოდ ფაქტებია. ფილმს ჰყავს კონსულტანტი, ეთნოლოგი ლია მელიქიშვილი, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია პროექტს."**

გიორგი ხარებავა, ფილმის რეჟისორი: **"რამდენჯერმე ჩავედი გადასაღებად. დაახლოებით სამ თვეში დავასრულეთ ფილმი, თუმცა, წინ მოსამზადებელი სამუშაო უძღოდა. ეს ჩემი მეხუთე ფილმია. დოკუმენტალისტი ვარ, მაგრამ გადამიღია მხატვრულიც. ფილმის პრობლემატიკა ძალიან მტკივნეულია. მუშაობის პროცესში მოსახლეობისგან, ყველასგან ვგრძნობდით კარგ დამოკიდებულებას და გვეხმარებოდნენ. ვხედავდი, რომ იქ, ეროვნების განურჩევლად, ყველას უნდა მშვიდობიანი ცხოვრება".**

ფილმი უნდა ნახოს ყველამ - წალკელმაც და არაწალკელმაც, რომ ერთად იფიქროს ყველამ.

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

# ანდრეი კონჩალოვსკი - "საჩუქრის" პირველი სტუმარი



ინფორმაცია, თითქოს ანდრეი მიხალკოვ-კონჩალოვსკი თბილისში არ ჩამოდის, ჭორი აღმოჩნდა. ცნობილი რუსი რეჟისორი მილანიდან, ჩეხეთის ავიახაზებით დღეს, საღამოს ექვსის ნახევრისთვის ჩამოფრინდება. როგორც ცნობილია, ფესტივალ "საჩუქარზე" იგი წარმოადგენს "მოსსავეტის თეატრში" დადგმულ სპექტაკლს "თოლია".

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში კი "საჩუქრის" დაწყებასთან დაკავშირებით პარტნიორთა წერილებს იღებენ. გუშინ ერთ-ერთი ასეთი ბარათი ქეთი დოლიძეს მოსკოვის მერიიდან, კონკრეტულად კი მერის მოადგილისგან ლუდმილა შვეცოვასგან მიუვიდა. "მოსკოვის ხელისუფლების, რუსეთის დედაქალაქის ინტელიგენციის სახელით გილოცავთ ფესტივალის დაწყებას, რაც ეჭვს გარეშეა, საქართველოს კულტურული ცხოვრების ნათელი მოვლენა იქნება. დარწმუნებული ვარ, რთული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, ფესტივალი ემსახურება ჩვენი ხალხების, საუკუნოვანი კულტურული კავშირების გამყარებას ", - წერია ბარათში.

ფესტივალი "საჩუქარი" ხვალ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალითა და "მოსსავეტის თეატრის" თეატრალური დასის სპექტაკლით გაიხსნება.

# პიკასოს მინიატიურა ჩინელებმა შეიძინეს

ჩინურმა ოჯახმა პაბლო პიკასოს მინიატიურულ ნახატში, რომლის ზომაც, არც მეტი, არც ნაკლები, 28,3 x 21,6 სანტიმეტრია, სასტარტო ღირებულებაზე - 18,4 ათას დოლარზე ათჯერ მეტი გადაიხადა.

ტილოს ძველი მფლობელისგან წითელ, ყვითელ, იასამნისფერ და თეთრ ფერებში შესრულებული აბსტრაქტული ნამუშევრის კონფისკაცია ჩინურმა ხელისუფლებამ გადასახადების გადაუხდელობის გამო მოახდინა.

კანაგავას პრეფექტურის ადმინისტრაციის განცხადებით, ის, რომ ეს ნამდვილად პიკასოს ნამუშევარია, რამდენიმე სამხატვრო ექსპერტმა დაადასტურა. სავარაუდოდ, ნახატზე ოთხი ადამიანის აბსტრაქტული სახეა, რომელიც მხატვარმა სიცოცხლის ბოლოს შეასრულა.

ოფიციალური ინფორმაციით, ტილოს ახლანდელი მფლობელი იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში გამართულ აუქციონზე პეკინიდან ჩამობრძანდა და დიდად არც უვაჭრია. აუქციონზე ფასის ზრდის პროცედურა მხოლოდ სამ წუთს გაგრძელდა. ნამუშევრის წინა მფლობელის ვინაობა კი დღემდე უცნობია.

რამდენიმე წელია, რაც იაპონიაში მსგავსი აუქციონები იმართება. გასული საუკუნის 80-იან წლებში, ეკონომიკური ბუმის პერიოდში (მას "საპნის ბუშტსაც" უწოდებდნენ), იაპონური ფირმები მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოტანილ ხელოვნების ნიმუშებსა და ძვირფას აქსესუარებს ყიდულობდნენ. ექსპერტთა შეფასებით, იაპონური კორპორაციების საწყობებში პიკასოს, დალის, მატისის, რენუარისა და სხვათა არაერთი შედევრი ინახება.







საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24